

მარადიული კასტრო - ფიდელის გარეშე

A2



"თქვენი აფხაზეთი"

A2



არ გინდათ? ნუ გინდათ!

A7

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი   ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 2006 წელი. №172 (1324)   ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

# რუსეთი

## აგრესიული სეპარატიზმის მხარდამჭერი

### საქართველოს საგარეო უწყება გამოსავალს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაში ხედავს

ვერიკო თევზაძე

**"რუსეთი კარგავს მიუკერძოებელი მედიატორის როლს კოფლიქტების მოგვარებაში, სულ უფრო აქტიურად უჭერს მხარს აგრესიულ სეპარატიზმს და ყველა ღონეს ხმარობს, რათა არ მოხდეს ტერიტორიული კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა,"** - ეს არის ციტატა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან, რომელიც საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ქართული მხარისადმი წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ გააკეთა.

გაგრძელება A3 გვერდზე





*ირაკლი ოქრუაშვილი რუსეთის თავდაცვის მინისტრს პასუხობს.*

## პოლიტიკური კონსულტაციები

### იუშჩენკო პარლამენტით უკმაყოფილოა

უკრაინაში პოლიტიკური ვნებათაღელვა არ ცხრება. პოლიტიკურ პერიპეტიებში დადებითი ცვლილებების შეტანა ვერც ქვეყნის აღმავალმა ეკონომიკამ შეძლო. სწორედ ამიტომ, ქვეყნის პირველი პირი უკვე პარლამენტის დათხოვნაზეც ფიქრობს. ვიქტორ იუშენკო კონსულტაციებს საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელებთან და უმაღლესი რადას სპიკერთან ალექსანდრე მოროზთან გადის. უკრაინის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შესაძლო შეცვლის შესახებ ინფორმაცია, სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახურზე დაყრდნობით, უკრაინულმა საინფორმაციო სააგენტომ "ProUA"-მ გაავრცელა.

გაგრძელება A2 გვერდზე



## რა სიახლე ელოდება ბიზნესს ახალ საგადასახადო რეჟიმში

B

*საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მიმდინარე წლის სექტემბერში, ქვეყანაში ახალი საბაჟო კოდექსი და ახალი ტარიფები ამოქმედდება. მაგრამ, ცნობილია, რომ ყველა სიახლეს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. საბაჟო ტარიფების შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე.*
*"24 საათთან" საუბარში ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი ამბობს: "აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, ჩვენი პროგნოზით, ბიუჯეტს წლის ბოლომდე საგადასახადო შემოსავლების ნაწილში (დღგ-ს სახით) დაახლოებით 20 მილიონი ლარით შეამცირებს.*



*მთავრობა ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, მაგრამ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას ელის.*

## ამბები

### ახალი სახელმწიფო მინისტრის გაცნობითი შეხვედრები

გუშინ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში მერაბ ანთაძე, რეგიონს სიტუაციის გაცნობის მიზნით პირველად ეწვია. მერაბ ანთაძე შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს შეხვდა.

A2

## სამართალი

### ექსპერტიზის დასკვნა და ადვოკატების პროტესტი

სანაპიროზე, ხალხმრავალ ადგილას დილის საათებში ჩატარებული სპეცოპერაციიდან, რომელსაც დიდი ხმაური მოჰყვა და რომლის კვალიფიციურობაც თავიდანვე ეჭვქვეშ დადგა, ზუსტად სამი თვე გავიდა, თუმცა მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები, ოჯახის ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები" გენერალური პროკურორის პასუხს მათ შუამდგომლობაზე დღემდე უშედეგოდ უცდიან. ისინი ზურაბ ადეიშვილს კანონდარღვევაში ადანაშაულებენ.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 2/08 | 3/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 38 |
| ბათუმი | 33 | 38 |
| სოხუმი | 33 | 36 |
| ქუთაისი | 37 | 41 |
| გორი | 32 | 34 |
| ონი | 28 | 30 |
| ზუგდიდი | 36 | 40 |
| ახმეტა | 36 | 37 |
| სამტრედია | 36 | 40 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.2477 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.2935 |
| რუბლი | 0.0658 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

## კოდორის გაკვეთილი ხელისუფლებისთვის

ია ანთაძე

როდესაც პირველად გამოქვეყნდა ინფორმაცია ემზარ კვიციანის შეიარაღებული ამბოხის შესახებ, მაშინვე გაჩნდა შიში, რომ შეიძლებოდა საქართველოში ბევრი სისხლი დაღვრილიყო. საზოგადოებამ არ იცოდა, რა უნდოდათ ამბოხებულებს, რამდენი შეიარაღებული ადამიანი იდგა ემზარ კვიციანის გვერდით ან რას ფიქრობდა იქაური მოსახლეობა. ერთადერთი საკითხი, რომელიც პირველივე საათებიდან ინტენსიურად განიხილებოდა, იყო ალტერნატივა: სწრაფი სპეცოპერაცია თუ მოლაპარაკება. საზოგადოების ნაწილისთვის პირველი არჩევანი გაიგივებული იყო სისხლისღვრასთან, მეორე - კეთილგონიერებასთან. ხელისუფლებამ პირველი გზა აირჩია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოებში შეიარაღებულ მეამბოხეებთან და ტერორისტებთან ხელისუფლება მოლაპარაკებებს არ მართავს. თუმცა, საქართველოში ბევრმა მტკივნეულად აღიქვა პრეზიდენტის აგრესიული კომენტარი ემზარ კვიციანისა და მისი თანამდგომების მიმართ. გაჩნდა შიში, რომ ხელისუფლება ჩაატარებდა უხეშ, ძალისმიერ ოპერაციას, რომლის დროსაც განურჩევლად გაანადგურებდა არა მხოლოდ ამბოხებულებს, არამედ, კოდორის მოსახლეობის ნაწილსაც.

დღეს, ოპერაციის შედეგების გათვალისწინებით, ბუნებრივად იბადება შეკითხვა: რამდენად ლეგიტიმური იყო ამგვარი შიში?

სისხლისღვრის გამო პირველი დიდი საფრთხე, რომელიც მიხეილ სააკაშვილს დაუკავშირდა, ვარდების რევოლუციის დროს გაჩნდა. მაშინ რომ სისხლი დაღვრილიყო, რევოლუციის ლიდერები პასუხისმგებლობას ვერ აიცილებდნენ. მაგრამ ეს არ მოხდა და საზოგადოებამ აღიარა, რომ მიხეილ სააკაშვილს, ძალასთან ერთად, საკმარისი სიფრთხილეც აღმოაჩნდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მუდმივი სახელმწიფო ღირებულებები

### თუ ბრძოლა ხელისუფლებისათვის?

*ხელისუფლების და ოპოზიციის ურთიერთბრალდებები გრძელდება. ხელისუფლება ოპოზიციას სამშობლოს ღალატში, არაპატრიოტულ საქმიანობაში ადანაშაულებს; ოპოზიცია ხელისუფლებას - ტყუილსა და ცრუ ბრალდებებში.*

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა გივი თარგამაძემ და ნიკა გვარამიამ გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ოპოზიციამ თავად მოახდინა საკუთარი თავის ლუსტრაცია კოდორის ხეობაში მიმდინარე ოპერაციის შეფასებისას.

გვარამიას თქმით, ოპოზიციისთვის უცხოა სახელმწიფო ღირებულებები, მისთვის თვითმიზანს ხელისუფლებასთან დაპირისპირება წარმოადგენს: **"დღევანდელ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს, სამწუხაროდ, არ აღმოაჩნდათ მუდმივი სახელმწიფო ღირებულებები. ისინი მხოლოდ ხელისუფლებისთვის პრობლემის შექმნის მიზნით მოქმედებენ და სწორედ ამიტომ დაგმეს წარმატებული სპეცოპერაცია".**

პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გვარამია ასეთ შეფასებებსაც აკეთებდა: **"ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან სახელმწიფოსადმი მტრული განცხადებები სამშობლოს მოღალატეობის ტოლფასია. ოპოზიციის მხრიდან რუსული ეთერით გაკეთდა განცხადებები, რომ საქართველოში სამხედრო ოპერაცია მიმდინარეობს და ამ განცხადებებს რუსული იმპერია უმაგრებდა მხარს. ეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის ზურგის შექცევაა".**

გაცილებით უფრო კრიტიკული განცხადებებით გამოირჩეოდა გივი თარგამაძე, რომლის თქმით, ოპოზიციაში უსინდისო ადამიანები არიან. **"საკუთარი მოკლე პოლიტიკური კარიერის მანძილზე კობა დავითაშვილმა ყველაფერი იკადრა, რაც კი შეიძლება იკადროს პოლიტიკოსმა,"** - ასე შეაფასა თარგამაძემ კონსერვატორების ლიდერის საქმიანობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დაუსწრებელი განაჩენი ყოფილ გუბერნატორს

*ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენელთაგან პირველი მაღალჩინოსანია, რომელსაც განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანეს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლევან მამალაძეს 17 წლით პატიმრობა მიესაჯა.*

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ და შსს-მ წლების მანძილზე თაროებზე შემოდებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ბოლოს და ბოლოს, მტვერი მოაშორეს და ხმაურიან დაპატიმრებათა სერიალიც დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას, ლევან მამალაძის "მოლარის" თამაზ სუპატაშვილისა და "კვარციტის" ოქროს ზოდების დაპატიმრებისა და სემეკ-ის თავმჯდომარის დავით მირცხულავას ეჭვმიტანილად გამოცხადების შემდეგ ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის ჯერიც დადგა.

ვაკე-საბურთალოს სასამართლომ "უსერიოზულესი კრიმინალის", ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის დაპატიმრების ბრძანება თავდაპირველად მხოლოდ ქრთამის გამოძალვისთვის გასცა.

მამალაძისთვის ბრალის წაყენების საფუძველი გახდა ინგლისელი ბიზნესმენის, ერთ-ერთი ინგლისური კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, ჯაინ პანდიტისთვის ლევან მამალაძის მიერ 35 ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტზე 1997 წელს აღძრული საქმე. პროკურატურის ბრალდებით, გუბერნატორმა მამალაძემ ინგლისელ ჯაინ პანდიტის, რომელიც "კვარციტის" პარტნიორი იყო, თბილისში, დიდუბეში მდებარე ფირმა "მიცუბიშ მოტორსის" მაღაზიაში 35 ათას დოლარად ღირებული "შევროლე ბლეიზერის" მარკის ჯიპი იძულებით აყიდინა. უარის შემთხვევაში, უცხოელ ბიზნესმენს საქართველოდან გაგდება და "კვარციტის" წილების წართმევა ელოდა. როგორც პროკურატურა ირწმუნება, ასეთი გახლდათ ლევან მამალაძის ულტიმატუმი. უცხოელმა ბიზნესმენმა გენერალურ პროკურატურას მისთვის ქრთამის გამოძალვის თაობაზე 1997 წელსვე მიმართა, თუმცა მამალაძის პასუხისგებაში მიცემა მაშინ არ მოხერხდა, თუ რატომ - ყველასთვის ცნობილია.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ახალი სახელმწიფო მინისტრის გაცნობითი შეხვედრები

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გუშინ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში მერაბ ანთაძე რეგიონს სიტუაციის გაცნობის მიზნით პირველად ეწვია. მერაბ ანთაძე შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს შეხვდა.

გორში ვიზიტამდე ახლად დანიშნული სახელმწიფო მინისტრი ცხინვალში იმყოფებოდა, სადაც ბორის ჩოჩიევთან ასევე გაცნობითი სახის შეხვედრა ჰქონდა.

**"ეს არის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, მე ცხინვალშიც, გორშიც და საერთოდ კონფლიქტის ზონის სოფლებში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობას ვაპირებ. ჩვენ ერთად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები და მერე განვახორციელოთ. დღეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგრამ შეხვედრები სისტემატურ ხასიათს მიიღებს, რათა დავხვეწოთ კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. მე გაცნობის მიზნით, შევხვდი ჩოჩიევს, ასევე სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს,"** - განაცხადა მერაბ ანთაძემ.

სახელმწიფო მინისტრი კონკრეტული საქმეების და გეგმების შესახებ ოთხმხრივი შერეული კომისიის სხდომაზე აპირებს განცხადების გაკეთებას.

**"ჩვენ შეხვედრისას ვისაუბრეთ ეუთო-ს მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებაზე, რომელიც კონფლიქტის ზონაში მიმდინარეობს და რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის ზონაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ვფიქრობ, რომ მერაბ ანთაძე არის ის დიპლომატი, რომელიც მნიშვნელოვნად დაგვეხმარება კონფლიქტის მოგვარებაში,"** - განაცხადა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა.

# აფხაზებს სააკაშვილის და ოქრუაშვილის ეშინიათ

აფხაზეთი აუცილებლად მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას და ეს საქართველოს სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული, აცხადებს დე-ფაქტო აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი სულთან სოსნალიევი სააგენტო "რეგნუმთან" საუბარში.

სოსნალიევის თქმით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი "საშიში ადამიანები" არიან. მათ, სოსნალიევის თქმით, შეუძლიათ "ფართომასშტაბიანი ომის წამოწყება შედეგებზე დაუფიქრებლად და ეს იქნება ქართველი ერის ტრაგედია". ასეთ შემთხვევაში კი, აფხაზეთის დე-ფაქტო მინისტრის თქმით, "სააკაშვილი საკუთარ სკამს ვერ შეინარჩუნებს". ის ასევე კომენტარს აკეთებს ემზარ კვიციანის ადგილსამყოფელის შესახებ და აცხადებს, რომ არ იცის და არც აინტერესებს, თუ სად იმყოფება პრეზიდენტის ექსრწმუნებული კოდორის ხეობაში. თუმცა დარწმუნებულია, რომ "სადაც არ უნდა იმყოფებოდეს კვიციანი, ის საქართველოს ხელისუფლებას აუცილებლად შეახსენებს თავს". სოსნალიევი ასევე არ გამორიცხავს საქართველოში პარტიზანული მოძრაობის დაწყებას. მისი განცხადებით, კოდორის ხეობის ზედა ზონაში ვითარება კვლავაც რთულია, საქართველო კი, უწინდებურად, ყველა საერთაშორისო და რუსეთის შუამდგომლობით მიღწეული ხელშეკრულების დარღვევას განაგრძობს. **ინტერპრესნიუსი**

# ახალქალაქში დისლოცირებული ეშელონი რუსეთში გაემგზავრა

გუშინ რუსეთში, აზერბაიჯანის გავლით, ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის კუთვნილი სამხედრო ტექნიკით დატვირთული ეშელონი გაემგზავრა.

წალკის რკინიგზის სადგურიდან გასული სამხედრო ეშელონის შემადგენლობაში 10 ტანკი, 2 ჯავშანმანქანა და 100 ტონამდე ჯავშანმანქანის ნაწილები და შესაბამისი ქონებაა დატვირთული.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი საქართველოდან სამხედრო ბაზის გაყვანაზე მიღწეულ შეთანხმებას გრაფიკის დაცვით ასრულებს. "დღემდე არ მომხდარა მიღწეული შეთანხმების გრაფიკიდან არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო გადახვევა. რუსული მხარე ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებს", - განაცხადა რუსეთის სამხედრო ბაზის ოფიცერმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# გურჯაანში საკადრო ცვლილებებმა შეშფოთება გამოიწვია

გურჯაანის რაიონში მიმდინარე საკადრო ცვლილებებმა რეგიონში მოქმედი უფლებათადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეშფოთება გამოიწვია. ისინი ადგილობრივ ხელისუფლებას თანამშრომლებისადმი დიქტატორულ დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ.

"ნუ ბლუყუნებთ... გეყოთ ტლიკინი. არ მაინტერესებს მოხსენებების წაკითხვა, საქმე მაჩვენეთ, საქმე. სახელმწიფო სამსახურებში ვიწყებ შემცირებებს. ასაკიანი ხალხი, ჩაფრენილები რომ არიან სკამებს, გადაუხადეთ მადლობა, ან უამისოდაც გაუშვით სამსახურიდან. წინააღმდეგობის გაწევას ნუ შეეგუებით. თვით გამგეობაშიც კი 90-ის ნაცვლად 25 თანამშრომელი უნდა დარჩეს. ხომ გაიგეთ? გამეორება ნუ მიხდება! ... ორღობეში ან სოფლის ბოლოს კი არ ხართ, ენა მეთქი. ...ასეთ ხალხს, ამდენ ხანს არ უნდა აბოგინებდეთ. მიიღეთ შენიშვნა," - ამ სიტყვებით მიმართა აკაკი სიხარულიძემ რაიონის გამგეობის ბოლო სხდომაზე იმ თანამშრომლებს, რომელთაც სხდომის მიმდინარეობისას სიტყვის თქმის უფლება ითხოვეს.

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის რაიონის გამგეობა "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ადგილობრივი ოფისის წარმომადგენლებს გამგეობის სხდომების შესახებ ყოველგვარ ინფორმაციას უბლოკავს. ამასთან ერთად რაიონის გამგეობაში კადრებს მონური მორჩილების ხარისხით არჩევენ. იმ ადამიანებს, ვინც საჯარო შეხვედრებზე გამგეობის მუშაობის შესახებ კრიტიკულ განცხადებებს აკეთებენ, ფინანსური პოლიციით უსწორდებიან. "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" შეშფოთებას გამოთქვამს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და შესაბამისი ორგანოებისგან სასწრაფო რეაგირებას ითხოვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პრეზიდენტი პოლონეთში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდა. გუშინ იგი თავის პოლონელ კოლეგას ალექსანდრ კვასნევსკის შეხვდა. ასევე დაგეგმილი იყო მიხეილ სააკაშვილის შეხვედრები პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან, სეიმის თავმჯდომარესთან და პოლონეთის ექსპრეზიდენტთან. მიხეილ სააკაშვილმა პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებსა და ქართულ-პოლონურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე ისაუბრა. საქართველოს პრეზიდენტი თბილისში დღეს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

# მარადიული კასტრო - ფიდელის გარეშე

## გაუმარჯოს სამშობლოს, გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს სოციალიზმს!!!

თეა მაისურაძე

*ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, კუბის ვეტერანმა ლიდერმა, ფიდელ კასტრომ თავისი თანამდებობა ძმას, კუბის თავდაცვის მინისტრს, რაულ კასტროს დაუთმო - ეს პირველი შემთხვევაა კუბის თითქმის ნახევარსაუკუნოვან რევოლუციურ ისტორიაში, როდესაც მას "რკინის" ფიდელი აღარ მართავს - თუმცა, კასტრო კუბის სოციალისტური რეალობის განუყოფელ ნაწილად კვლავაც რჩება.*



*ფიდელ და რაულ კასტროები.*

ფიდელ კასტრო კუბის სათავეში 1958 წელს მოვიდა. მიმდინარე წლის აგვისტოში დასავლეთ ნახევარსფეროს ერთადერთი სოციალისტური რევოლუციის ბელადს 80 წელი შეუსრულდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით გრანდიოზული ზეიმი იყო დაგეგმილი 13 აგვისტოს, თუმცა ეს ღონისძიება სავარაუდოდ 2 დეკემბრისათვის გადაიდება.

კასტროს გადაწყვეტილება კუბის ლიდერის თანამდებობის რაულ კასტროსათვის გადაბარების თაობაზე, ფიდელ კასტროს პირადმა თანაშემწემ კარლოს მანუელ ვალენსიაგამ კუბის სახელმწიფო ტელევიზიით 1 აგვისტოს აცნობა მოსახლეობას. თანაშემწის თქმით, კუბის ლიდერმა განაცხადა, რომ მას რამდენიმე კვირით მოუწევს თანამდებობის დატოვება.

თანაშემწის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ კუბას აშშ ყოველთვის ემუქრებოდა, მან (ფიდელ კასტრომ) გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღო ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. კერძოდ, - ფიდელ კასტროს გადაწყვეტილებით, კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური სამხედრო არმიის მთავარსარდლის, კუბის რესპუბლიკისა და ქვეყნის საბჭოს პრეზიდენტის პოსტს მისი ძმა რაულ კასტრო დაიკავებს.

ეროვნული და საერთაშორისო ჯანმრთელობის პროგრამების განხორციელება პოლიტბიუროს წევრსა და ჯანდაცვის მინისტრს "ამხანაგ" ხოსე რამონ ბალაგუერ კაბრერას დაევალა, ხოლო ეროვნული და საერთაშორისო განათლების პროგრამებს კი პოლიტბიუროს წევრები "ამხანაგი" ხოსე რამონ მაჩადო ვენტურა და ესტებან ლაზო ერნანდესი უხელმძღვანელებენ. კუბის რევოლუციური პროგრამისა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების კოორდინაცია კარლოს ლაგე დავილას დაევალა, რომელიც პოლიტ ბიუროს წევრი და მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანია.

გავრცელებული მიმართვის თანახმად, ფიდელ კასტრო იმედოვნებს, რომ კუბელი ხალხი სიცოცხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებს რევოლუციური მონაპოვრის დასაცავად, ხოლო იმპერიალიზმი - ვერასოდეს დაამხობს კუბას.

კასტროს თანაშემწემ აღნიშნა, რომ კუბის ლიდერის არგენტინაში ვიზიტისა და გასულ კვირას კუბის რევოლუციისადმი მიძღვნილი იუბილეს გამო კასტრომ დატვირთულ რეჟიმში იმუშავა, რამაც მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა. კასტროს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს, შესაბამისად ფიდელ კასტრო თავის მოვალეობას რამდენიმე კვირის განმავლობაში ვეღარ შეასრულებს.

ის ფაქტი რომ, ფიდელ კასტროს თვითონ არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება კუბის ლიდერის თანამდებობის დატოვების შესახებ, ბევრ ეჭვს ბადებს.

ფლორიდის შტატის ადმინისტრაციული ცენტრის მაიამის მერმა მენი დიასმა (იგი წარმოშობით კუბიდანაა) განაცხადა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კუბის ლიდერის ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესებაზე მეტყველებს. საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტის" თანახმად, კუბის ამერიკული ემიგრაციის ლიდერის, დიასის თქმით, კასტროს გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, "არაორდინარულია". მაიამის მერის სიტყვებით, კუბის ემიგრანტული სათვისტომო ყურადღებით მიადევნებს თვალს კუბაზე განვითარებულ მოვლენებს.

გაცილებით კატეგორიულია, მიგელ სააჟედრა, კუბის კონსერვატიული პარტიის ლიდერი. იგი მიიჩნევს, რომ ფიდელ კასტრო უკვე დაიღუპა. **"გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კასტრომ კუბის ლიდერის თანამდებობა თავის ძმას გადასცა, არის ყველაზე კარგი და სასიამოვნო ახალი ამბავი მთელი 48 წლის განმავლობაში,"** - აღნიშნავს სააჟედრა.

კუბის მოსახლეობის 70 პროცენტისათვის ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტი ალმაშფოთებელი იქნება, ხოლო რაც შეეხება გარეშე მტრებს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ აღნიშნული მდგომარეობა ცვლილებებისათვის გამოიყენონ და კუბაში არსებული მმართველობის სისტემა შეცვალონ, თუმცა ზოგიერთისათვის ეს ძალზედ სასიხარულო სიახლეა.

ფიდელ კასტრო მსოფლიოს იმ მმართველთა სიაშია, რომლებმაც ქვეყანა ძალიან დიდხანს მართეს, საყურადღებოა, რომ კასტროს მმართველობის განმავლობაში ამერიკაში 9 პრეზიდენტი შეიცვალა.

ოფიციალური ვაშინგტონის განცხადებით, აშშ სიტუაციას ყურადღებით აკვირდება, თუმცა კასტროს ჯანმრთელობით სპეკულირებას არ მოახდენს. თეთრი სახლის წარმომადგენლის, პიტერ ვოლკინსის განცხადებით, აშშ გააგრძელებს ბრძოლას კუბის თავისუფლებისათვის.

# პოლიტიკური კონსულტაციები იუშენკო პარლამენტით უკმაყოფილოა

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტის აპარატის მიერ გავრცელებული ცნობებით, ვიქტორ იუშენკო უკვე ესაუბრა იულია ტიმოშენკოსა და "ნაშა უკრაინას" ბლოკის ხელმძღვანელს რომან ბესმერტნის. იუშენკოს შეხვედრა რეგიონების პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერთან ვიქტორ იანუკოვიჩთანაც საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ტიმოშენკოსა და ბესმერტნისთან შეხვედრისას ქვეყნის პრეზიდენტი უმაღლეს რადაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე საუბრობდა. იუშენკოს აზრით, კრიზისის დარეგულირება უკვე შეუძლებელია "საპარლამენტო მეთოდებით". ხანგრძლივი საუბრის მიუხედავად, იულია ტიმოშენკომ პოზიციები არ დათმო და კვლავ უარი განაცხადა, ხელი მოეწერა ეროვნული ერთიანობის უნივერსალად წოდებულ დოკუმენტზე, რომელიც პოლიტიკოსებმა, ექსპერტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა გასულ კვირას შეიმუშავეს. ტიმოშენკოს შეუვალი პოზიციის გამო კი, ვიქტო იუშენკო უკანასკნელ არგუმენტად პარლამენტის დათხოვნის კონსტიტუციურ უფლებას იტოვებს.

ის, რომ იუშენკოს ერთადერთ გამოსავლად პარლამენტის დათხოვნა მიაჩნია, არც იულია ტიმოშენკოს დაუმალავს შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებში.

პრეზიდენტის საკონსტიტუციო უფლების გამოყენების შემთხვევაში, დეპუტატები საერთოდ ჩიხში შესვლაზე საუბრობენ. რეგიონების პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელის მოადგილე ევგენი კუშნარიოვი აღნიშნავს, რომ უმაღლესი რადას დათხოვნა და ამ ვითარებაში არჩევნების თავიდან დანიშვნა უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს კარიერას წერტილს დაუსვამს.

**"კმარა ჩვენი დაშინება უმაღლესი რადას დათხოვნის მუქარით. განმეორებითი არჩევნები იუშენკოს პოლიტიკური კარიერის დასასრული იქნება,"** - აცხადებს კუშნარიოვი. თუმცა, მისი თქმით, ეს დამღუპველი ქვეყნისთვის სულაც არ იქნება, რადგან რეგიონების პარტიას მეტი შანსი ექნება, უფრო მყარი პოზიციები დაიკავოს პარლამენტში და ბოლოს და ბოლოს აღარც პოლიტიკოსებს მოუწევთ იმ ადამიანის გაუთავებელი და მოსაწყენი საუბრის მოსმენა, რომელიც მთელ პოლიტიკურ ელიტას ქვეყნის პრობლემებში ჩაფლობის საფრთხით აშინებს.

**"პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება პარლამენტის დათხოვნასთან დაკავშირებით კონსულტაციების ჩატარების შესახებ, სხვა არაფერია, თუ არა ანტიკრიზისულ კოალიციაზე ზეწოლის მეთოდი. პირველ რიგში კი, ეს რეგიონების პარტიის წინააღმდეგაა მიმართული და მიზნად ერთადერთ რამეს ისახავს - ხელი მოვაწეროთ პრეზიდენტის "უნივერსალურ რეცეპტს" ქვეყნის გადასარჩენად,"** - განაცხადა ევგენი კუშნარიოვმა.

## მოკლედ

### ცხინვალმა და აფხაზეთმა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი

ე.წ. სამხრეთ ოსეთში აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი პოლკოვნიკი სერგეი გაბნია ჩავიდა. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ბეჭდვისა და ინფორმაციის სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, აფხაზეთის წარმომადგენლის ვიზიტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული "მეგობრობისა და თანამშრომლობის" ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ეს შეთანხმება გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობისა, ამ ორ სეპარატისტულ რესპუბლიკას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობასაც ითვალისწინებს. აფხაზეთის წარმომადგენელი ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრს ანატოლი ბარანკევიჩს შეხვდა. შედეგად, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს აგრესიის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს სამხედრო დახმარებას აღმოუჩენენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კოკოითმა რეზერვისტების შეგროვება დაიწყო

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ სამხედრო შეკრებებისთვის რეზერვისტების შეგროვება დაიწყო. კოკოითის სამართალდამცავთა ინფორმაციით, ე.წ. რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან. ამის მიზეზად კი საქართველოს საზღვართან არსებული დაძაბული ვითარება და ქართველ ძალოვანთა ქმედებები სახელდება. ცხინვალის ხელისუფლების განცხადებით, საქართველოს სამხედრო დანაყოფები ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან რეგულარულ სამხედრო წვრთვნებს ატარებენ. ამას გარდა, მათივე ინფორმაციით, უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს სამხედრო თვითმფრინავებმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საჰაერო სივრცე რამდენჯერმე დაარღვიეს. კოკოითის სამართალდამცავი სტრუქტურები, მოსახლეობის მასობრივი თავშეყრის ადგილებსა და სასიცოცხლოდ აუცილებელ ობიექტებს გაძლიერებულად იცავენ. გზებზე კი სადღეღამისო პატრულირება მიმდინარეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციაზე სხდომა გაიმართება

3-5 აგვისტოს თბილისში სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის ქართულ-აზერბაიჯანული კომისიის მორიგი სხდომა ჩატარდება. როგორც აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ელჩინ გულიევმა, განაცხადა, ამ შეხვედრიდან იგი სერიოზულ "გარღვევას" ელოდება. "ჩვენ საზღვრის მხოლოდ მცირე მინაკვეთებიღა დაგვრჩა შესათანხმებელი, ასე რომ, ძალიან ბევრი რამ ამ სხდომაზე იქნება დამოკიდებული", - განაცხადა გულიევმა. მეზობელი ქვეყნიდან დელეგაციას აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხალაფ ხალაფოვი, უხელმძღვანელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**




24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რუსეთი - აგრესიული სეპარატიზმის მხარდამჭერი

პირველი გვერდიდან

ივანოვი საქართველოს ხელისუფლებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებს. რუსეთის თავდაცვის მინისტრი კოდორში განვითარებულ მოვლენებს "საკმაოდ სახიფათოს" უწოდებს.

ფრიად საყურადღებოა, რომ რუსების და აფხაზების პოზიცია კოდორის მოვლენების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. რუსები აფხაზებს ეთანხმებიან იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებებმა კოდორის ხეობაში შეიძლება გამოიწვიოს სახიფათო სცენარის განვითარება, მიგვიყვანოს ახალ დაძაბულობამდე და არაპროგნოზირებად კონფრონტაციამდე.

რუსული მხარის ამგვარი განცხადებები იმ ფონზე, როცა კოდორში საპოლიციო ოპერაციის აქტიური ფაზა დასრულდა და ხეობაში წესრიგი მყარდება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეჭვნარევ კითხვებს უჩენს: **"ხომ არ ხედავს რუსეთის მხარე საშიშროებას სწორედ აფხაზეთის, საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში, სიტუაციის ნორმალიზაციაში, კანონიერების აღდგენასა და სოციალურ-ეკონომიური რეაბილიტაციის დაწყებაში?"**

საგარეო უწყების ინფორმაციით, კოდორში სპეცდანიშნულების რაზმების გამოყვანის პროცესი შეიარაღებული კრიმინალების გაუვნებელყოფის შემდეგ დასრულდება. გარდა ამისა, **"კანონიერების და მართლწესრიგის დაცვისთვის აუცილებელი პოლიციური ქვედანაყოფები დარჩება ხეობაში."**

ივანოვმა გაახმოვანა რუსეთის სურვილი კოდორის ხეობაში მონიტორინგის ჩატარების შესახებ. რუსულ-აფხაზური პოზიციების თანხვედრა ამჯერადაც სახეზეა. ხეობაში მონიტორინგის განახლების აუცილებლობაზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფშიც საუბრობს. **"თუ იქ მონიტორინგი არ განახლდა, ჩავთვლით, რომ საქართველო ომისთვის ემზადება,"** - აცხადებს ბაგაფში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხობს ივანოვის განცხადებას და რუსეთს დელიკატურად შეახსენებს, რომ გაერო-ს მონიტორინგის ჩატარება ხეობაში წესრიგის და უსაფრთხოების აღდგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი: **"უნდა შევახსენოთ რუს კოლეგებს, რომ მონიტორინგი შეწყდა სამი წლის წინ სწორედ უსაფრთხოების არარსებობის გამო".**

როცა საუბარია კოდორის მონიტორინგზე, ქართული მხარე ანალოგიური ღონისძიების გატარებას გუდაუთის რუსულ სამხედრო ბაზაზეც მოითხოვს. პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, გივი თარგამაძის განცხადებით, საქართველო კოდორის ხეობაში საერთაშორისო მონიტორინგის ჩატარებას მხოლოდ მაშინ დასთანხმდება, როცა რუსეთი გუდაუთის სამხედრო ბაზის ინსპექტირებას ჩაატარებს. **"რუსეთის მხარემ ჯერ საქრთველოს ხელისუფლების აღნიშნული მოთხოვნა შეასრულოს და ამის შემდეგ დააყენოს საკითხი კოდორის ხეობის ინსპექტირების შესახებ".**

თარგამაძის მსგავსად, რუსეთს ივანოვის ქართველი კოლეგა ირაკლი ოქრუაშვილიც შეახსენებს, რომ იგი ქართული მხარის მოთხოვნას დიდი ხანია არ ასრულებს. **"ჩვენ მზად ვართ იმისათვის, რომ კოდორში საერთაშორისო დამკვირვებლებმა ხეობის ინსპექტირება ჩაატარონ, ოღონდ გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის ინსპექტირების შემდეგ,"** - აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი.

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ადასტურებს, რომ საქართველო სულაც არ არის კოდორის ინპექტირების წინააღმდეგი. როგორც ბაქრაძე განმარტავს, აქამდე ეს ღონისძიება ხეობაში არსებული კრიმინოგენული სიტუაციის გამო ვერ ხორციელდებოდა.

დავით ბაქრაძე ივანოვის ბრალდების იმ ნაწილსაც ეხმიანება, რომელიც ქართულ მხარეს 1994 წლის სამშვიდობო ფორმატის დარღვევაში ადანაშაულებს. მიუხედავად იმისა, შენიშნავს ბაქრაძე, ქართულ მხარეს ყოველთვის ჰქონდა პრეტენზიები ხსენებული ხელშეკრულების მიმართ, მისი მოთხოვნები არც ერთხელ არ დაურღვევია. ბაქრაძის განმარტებით, კოდორის ოპერაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები ახორციელებენ. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, იგი მხოლოდ ლოჯისტიკურ დახმარებას ახორციელებდა.

**"ნებისმიერი ძალის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ საქართველო ომისთვის ემზადება, არის ცეცხლთან თამაში,"** - აღნიშნავს პარლანეტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს საგარეო უწყებამ, ქართველმა პარლამენტარებმა და საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა გუშინ კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლების კურსი კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგებას ემხრობა და ის ურყევია. **"საქართველოს ხელისუფლება კვლავ ადასტურებს მზადყოფნას, გამართოს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან პირდაპირი, ურთიერთსასარგებლო და შედეგზე ორიენტირებული დიალოგი, რაც საფუძველს ჩაუყრის ახალ ფორმატს კონფლიქტის მოგვარებისა,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განცხადებაში.

საგარეო უწყება ეხმიანება რა რუსეთის ბრალდებებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების პოზიციას იმის თაობაზე, რომ, არც თუ იშვიათად, თავად რუსეთი არღვევს სამშვიდობო ფორმატს. ეს კი, თავისთავად, იძლევა შესაძლებლობას, რომ დავასკვნათ: სამშვიდობო მოლაპარაკებების უკვე არსებულმა ფორმატებმა თავიანთი შესაძლებლობები ამოწურეს: **"შექმნილი ვითარება ცხადყოფს, რომ არ არის უსარგებლო პრაქტიკა, როცა ქვეყანაში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ექსკლუზიური უფლება, როგორც წესი, არ ეძლევა მეზობელ სახელმწიფოს, მით უმეტეს, როცა იგი არსებითად არის კონფლიქტის მხარე და არა მედიატორი".**

ამგვარ ვითარებაში, საგარეო უწყების აზრით, გამოსავალი კონფლიქტების მოგვარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურად ჩართვაა.

# მუდმივი სახელმწიფო ღირებულებები

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, **"ვინც ირაკლი ბათიაშვილი პოლიტიკურ პატიმრად აღიარა, ის საკუთარი სახელმწიფოს ღალატის პროცესში იყო ჩართული".**

უმრავლესობის წევრები ოპონენტებს ურჩევენ, საქართველოს მტრებს გაემიჯნონ.

ირაკლი ოქრუაშვილის გუშინდელმა ბრიფინგმა ცხადყო, რომ თავდაცვის მინისტრს კოდორის პოლიციური ოპერაციის მსვლელობისას ოპოზიციის მიერ გაკეთებული სატელევიზიო კომენტარები არ დავიწყებია: **"ესაა არაადამიანური, არაპატრიოტული და მოღალატეობრივი პოზიცია, რომელსაც გარკვეული პოლიტიკოსები ქადაგებდნენ. როდესაც გამყრელიძე და ნათელაშვილი ჯარს მოუწოდებენ იარაღის დაყრისაკენ, ეს არის ქვეყნის ღალატის ტოლფასი. შეიძლება მთავრობას არ ეთანხმებოდე პოლიტიკაში, მაგრამ რაღაც პრინციპების მიმართ ერთგულები უნდა ვიყოთ და რაღაც საკითხების მიმართ ერთიანი აზრი უნდა გაგვაჩნდეს,"** - აღნიშნა ოქრუაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილისათვის ასევე მიუღებელია ოპოზიციონერ კობა დავითაშვილის მადლობა ე.წ მებრძოლებისადმი, რომელთა სინდისზეა ოპერაციის დროს დაღუპული ქალბატონის სიკვდილი.



გუშინ ოპოზიციონერი დეპუტატის მიმართვის ადრესატი მიხეილ სააკაშვილთან ერთად ირაკლი ოქრუაშვილიც იყო.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, ოპოზიციას ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია, რა განსხვავებაა სახელმწიფოსა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას შორის. ხელისუფლების გამოსვლებს ოპოზიცია გუშინვე გამოეხმაურა. ოპოზიციურ ძალთა წარმომადგენლების ხელისუფლებისადმი წაყენებულ ბრალდებათა ჩამონათვალი ვრცელია.

კობა დავითაშვილის მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლებაში დამკვიდრდა კრიმინალური მენტალიტეტი, რომელიც, ჩვეულებრივ, დამნაშავეთა ბანდებში არსებობს ხოლმე. პარლამენტარს, კერძოდ, მხედველობაში აქვს ის წესი, როდესაც ყველას აიძულებენ, მსხვერპლს თითო ტყვია მაინც დაახალოს, რათა მოხდეს ბანდის საეჭვო წევრების შემომტკიცება.

**"ასე იყო ციხის ბუნტის დროს, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელსაც, წესით, ამ საკითხთან შეხება არ უნდა ჰქონოდა, აღნიშნა, რომ თუ ასეთი რამ განმეორდება, ბუნტის ჩახშობაში თვითმფრინავებითა და ტანკებით ჩავებმებიო. ასე მოხდა კოდორის ამბების დროსაც, როდესაც თავდაცვის მინისტრმა პრეზიდენტისგან მიიღო პირდაპირი დავალება, დაესახელებინა ოპოზიციონერი ლიდერების გვარები, რის გაკეთებაც თავად სააკაშვილმა ვერ გაბედა,"** - აცხადებს კობა დავითაშვილი.

პარლამენტარი მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, რომ თუ მას დავითაშვილის მიმართ რამე აქვს სათქმელი, პირადად განაცხადოს და ამისთვის სხვას ნუ შეაწუხებს. "დემფრონტის" წარმომადგენელი ყოფილ თანამოაზრეს სხვა საყვედურსაც აკადრებს.

**"არ მიმაჩნია ღირსეულ საქციელად, რომ დამნაშავის ნაცვლად, მისი დედა დაიჭირო, ციხეში ჩასვა და ატირო, რათა პირდაპირი მნიშვნელობით აღასრულო მუქარა, "დედას გიტირებო"**, - აღნიშნავს დავითაშვილი.

გუშინ ოპოზიციონერი დეპუტატის მიმართვის ადრესატი მიხეილ სააკაშვილთან ერთად ირაკლი ოქრუაშვილიც იყო. კობა დავითაშვილი წარმატებას უსურვებს საქართველოს თავდაცვის მინისტრს მის ცნობილ დაპირებაში, რომ 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში შეხვდება.

**"არ მინდა ოქრუაშვილის ეს სიტყვები ისეთივე ტყუილი გამოდგეს, როგორც ხელისუფლების სხვა დაპირებები, რომლებიც შეეხებოდა ანაბრების დაბრუნებას, პენსიების დანიშვნას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, მცირე მეწარმეებისთვის შეღავათების დაწესებას და სხვა,"** - ახალი წლის დადგომას მოუთმენლად ელის ოპოზიციონერი დეპუტატი.

გუშინ ხელისუფლების, კერძოდ ირაკლი ოქრუაშვილის კრიტიკას გამოეხმაურა "მემარჯვენე" დავით გამყრელიძეც. მან თავდაცვის მინისტრთან პაექრობისას ცნობილი ანდაზა მოიშველია: ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს!

*24 საათი*

ზაფხულის 5 საღამო
მაგთისგან

მობრძანდით და ისიამოვნეთ
თანამედროვე ქართული მუსიკით!

დასწრება
უფასოა



გელაპარაკებით ყველას მცხეთის "თეატრონში"

პარასკევს, 4 აგვისტოს, 18:30-ზე, ჯგუფების:
ბაკის პარკი, Jazz or cat
კონცერტზე

მცხეთის „თეატრონი" თბილისიდან ოციოდე წუთის სავალზე, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ისტორიული ძეგლის — ბებრისციხის — კალთებზეა განლაგებული, სადაც არც მოსვლა გაგიჭირდებათ და არც მანქანის გაჩერება.

უფასო ავტობუსები გადის 18:00, 18:30
საორტის სასახლე, მეტროს სადგურები დელისი, დიდუბე და ავლაბარი.
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 25 00 00, 25 11 11

მაგთი
MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან

# კოდორის გაკვეთილი ხელისუფლებისთვის

პირველი გვერდიდან

შემდეგ სისხლისღვრის შიში გაჩნდა ბათუმის ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით. საქართველოში არ იყო ბევრი ადამიანი, რომელიც ფიქრობდა, რომ ასლან აბაშიძე აჭარას ბრძოლის გარეშე დატოვებდა. მას ჰქონდა იარაღი, ჰქონდა ძლიერი მხარდაჭერა რუსეთიდან და ერთგული ადამიანების საკმარისი რაოდენობაც ჰყავდა. რაც მთავარია, აბაშიძის ცნობიერება მრავალი წლის განმავლობაში დამძიმებული იყო განცდით, რომ აჭარა მისია - მთლიანად და განუყოფლად. ამ მეტად რთულ მოცემულობაში სახელმწიფომ შეძლო, რევოლუციის აჭარული ნაწილიც მშვიდობიანად დაესრულებინა.

ორი მძიმე გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, წესით და რიგით, საზოგადოებას უნდა ეფიქრა, რომ პრეზიდენტი სხვა კრიზისულ სიტუაციებშიც სიფრთხილეს და საზრიანობას გამოიჩენდა. მათ შორის, კოდორის ამბოხის დღეებშიც არ უნდა გავრცელებულიყო შიში, რომ ხელისუფლება დაუნდობლად მოიქცეოდა და სპეცოპერაცია ერთნაირად შეიწირავდა როგორც ამბოხებულებს, ისე ადგილობრივ მოსახლეობასაც. მაგრამ იმ მძიმე დღეებში არავის მოჰყავდა მაგალითად პრეზიდენტის კეთილგონიერება, გამოჩენილი სხვა რთულ სიტუაციებში. როგორც ჩანს, ტელეეთერში მოსაუბრეთაგან ვერავინ დადებდა თავს სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო სისასტიკისა თუ ჰუმანურობის ხარისხზე.

ემზარ კვიციანის შეიარაღებული ამბოხის ჩახშობას ორი არსებითი მხარე ჰქონდა: სამართლებრივი და პოლიტიკური. სამართლებრივი კუთხით, პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტა გაცილებით ახლოს იდგა ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებასთან, ვიდრე მოლაპარაკება. თუმცა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალის გამოყენება მეტისმეტად სარისკო იყო ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. მარტივად თუ ვიტყვით, ოპერაციას მეტი მსხვერპლი რომ მოჰყოლოდა, სახელმწიფოს არჩევანი სამართლებრივად მაინც გამართლებული იქნებოდა, პოლიტიკურად კი - არა.

საბოლოოდ, როდესაც აღმოჩნდა, რომ დიდი რესურსის ამოქმედების მიუხედავად, გადაწყვეტილების მიმღები პირები კოდორში ფრთხილად იქცეოდნენ და დანაკარგის მინიმიზაციას ცდილობდნენ, მეხსიერებაში ამოტივტივდა წინა ორი შემთხვევაც, როდესაც მეტად სახიფათო სიტუაციები მშვიდობიანად დასრულდა.

იქნება თუ არა კოდორის კონფლიქტი საკმარისი იმისათვის, რომ ქართულმა სახელმწიფომ მოსახლეობის ნდობა მოიპოვოს? გაჩნდება თუ არა საზოგადოებაში განცდა, რომ ხელისუფლება გულგრილი არ არის ადამიანების სიცოცხლის მიმართ და რომ კრიზისულ სიტუაციებში პრეზიდენტისგან მოსალოდნელია პასუხისმგებლობით გაჯერებული ქმედებები? ყოველ შემთხვევაში, კოდორის პრობლემის ფაქტობრივად უსისხლო მოგვარებამ ტენდენციის სახე მისცა კრიზისული სიტუაციების ფრთხილ და გონივრულ გადაწყვეტას სახელმწიფოს მხრიდან.

მაგრამ იმის გამო, რომ ახალი ხელისუფლება ხშირად ატარებს ძალისმიერ პოლიტიკას და სადაგ დღეებში ადამიანების სიცოცხლის მიმართ განსაკუთრებული გულშემატკივრობით არ გამოირჩევა, პირადად მე სხვადასხვა სიტუაციაში უკვე ბევრჯერ მომისმენია ფრაზა: "ესენი არჩევნებით წავლენ? ესენი ხალხის სისხლს დაღვრიან!" თუ ვინმესთვის გულსატკენია საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილის მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება, მიზეზები ხელისუფლების ქმედებებში უნდა ეძებოს. ამიტომ, კოდორის პრობლემის ძალისმიერი, მაგრამ კეთილგონივრული გადაწყვეტა, შესაძლოა, თავად ხელისუფლებისთვის არანაკლებ სასარგებლო აღმოჩნდეს, ვიდრე საზოგადოებისთვის.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით.*

# ბრაიზას თავდაცვის რეფორმები მოსწონს

ევროპის და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ მეთიუ ბრაიზამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეხვედრა გამართა. მას თან ახლდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში მარკ პერი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ჯონ ქროსბი, საქართველოში ამერიკის საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ბრიჯიტ ბრინკი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ატაშე საქართველოში, პოლკოვნიკი ალან ჰესტერი და საქართველოში ამერიკის საელჩოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დეპარტამენტის წარმომადგენელი ქრისტოფერ სმიტი. წარმომადგენლობით დელეგაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა შეხვდა. მხარეებმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივებზე და ინტენსიური დიალოგის ფორმატზე გადასვლის საკითხზე ისაუბრეს. მეთიუ ბრაიზამ თავდაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმებს წარმატებული უწოდა. გარდა ამ საკითხებისა, საუბარი კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე კოდორში ჩატარებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას პოზიტიურ შეფასებას აძლევს.

*მედიანიუსი*

# გაგრასთან მცირერიცხოვანი შეიარაღებული დაჯგუფებაა დაბანაკებული

გაგრასთან ჩრდილოეთ კავკასიიდან შესული მცირერიცხოვანი შეიარაღებული დაჯგუფებაა დაბანაკებული. ამის შესახებ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა. მისივე თქმით, მეოთხე დღეა აფხაზეთში ჩრდილოკავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, ძირითადად ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან და ადიღეიდან სამ-ოთხ კაციანი ჯგუფებად მოხალისეების, სავარაუდოდ, ლიდერები შემოდიან და სხვადასხვა სასტუმროებსა და სანატორიუმებში ბინავდებიან.

"ჩემი ინფორმაციით, პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ადგილობრივ ძალოვნებს დაავალა მაქსიმალურად კონსპირირებული იყოს მათი ყოფნა აფხაზეთში. ვიცე-პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბასა და პრემიერ-მინისტრს ალექსანდრე ანქვაბს დავალებული აქვთ მოხალისეთა ლიდერების საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა. საბრძოლო კოორდინირების უზრუვნელყოფა და ინტეგრირება ადგილობრივ სამხედრო ფორმირებებთან კი კაპბას დაევალა", - განაცხადა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. მისივე თქმით, მოხალისეთა შორის ყველაზე ცნობადი სახე, რომელიც ამჟამად სოხუმში იყოფება ყაბარდო-ბალყარეთის მოხალისეთა კავშირის ლიდერი რუსლან ტოკოვია. სწორედ იგი ახდენს მოხალისეთა და დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის კოორდინაციას. ირკვევა, რომ რუსლან ტოკოვი აფხაზეთის ომის მონაწილეა. იგი გამორჩეული სისასტიკით უსწორდებოდა ქართველებს და თავისი დამსახურებებისათვის აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. აფხაზეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, სოხუმში კიდევ ერთი ცნობილი მოხალისეთა ლიდერი ანზორ შორივი გამოჩნდა, რომელმაც დე-ფაქტო ხელისუფლებას ადიღეური მოხალისეთა ორგანიზაცია "ადიღე ჰასეს" დახმარება აღუთქვა.

მოხალისეები და არაღიარებული აფხაზეთის ლიდერები იმედოვნებენ, რომ საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ. ამასთან, კვალვ დასტურდება ინფორმაცია, რომ ოჩამჩირეში, არსებულ სატანკო ბრიგადა და ოჩამჩირის ანტიტერიოორისტული ცეტრი გაძლიერებულ რეჟიმზეა გადაყვანილი.

"კონტრდაზვერვას დავალებული აქვს გაძლიერებულ კონტროლზე აიყვანოს მოხალისეთა გადაადგილებები და მათ არავითარი ინიციატივის გამოვლენის საშუალება არ მისცენ", - განაცხადა ინფორმაციის წყარომ. ამასთან, აფხაზეთში ჩეჩენი ბოევიკების ყოფნა, ფაქტობრივად, არ დასტურდება. "ჩეჩნები აქ არ არიან, შესაძლოა მათი რიცხვი ორ სამ ადამიანს არ აღემატებოდეს, მით უფრო, რომ მათ ბოლომდე არც აფხაზები ენდობიან და არც რუსები". ცნობისათვის: სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ყაბარდო-ბალყარეთის მოხალისეთა კავშირი 1200 აქტიურ წევრს და 2000 ატასამდე რეზერვისტს აერთიანებს, ხოლო "ადიღე ჰასეს" აქტიური წევრების რაოდენობა ათასს, ხოლო რეზერვისტთა რაოდენობა 1500-ს შეადგენს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

მოკლედ

### ადმინისტრაციული სასჯელი პოლიციელებს

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა მონიტორინგის საბჭოს წევრებმა, რომლებიც პოლიციის საქმიანობაზე მონიტორინგს ახორციელებენ, წალკის დროებითი მოთავსების იზოლატორი და რაიონული განყოფილებები შეამოწმეს, სადაც დარღვევები აღმოაჩინეს.

წალკის შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორიში ვერ მოხერხდა დაკავებულთა აღრიცხვის წიგნის შემოწმება, რადგან წიგნი დაწესებულებაში არ აღმოჩნდა; შს განყოფილების დაკავებულთა აღრიცხვის წიგნში კი არც ერთ დაკავებულზე არ იყო შეტანილი სრული მონაცემები; რაიონული განყოფილების დროებითი მოთავსების იზოლატორის აღრიცხვის წიგნში არ იყვნენ რეგისტრირებულები იზოლატორში შესახლებული პირები - წიფიანი და ნიგურიანი.

სოზარ სუბარმა "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, მიმართა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ჩიკვილაძეს და შსს-ს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს კიკნაძეს და მათგან მოითხოვა კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

საქართველოს შს სამინიტროს გენერალური ინსპექციიდან მიღებული პასუხის თანახმად, გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნის საფუძველზე, შს მინისტრის ბრძანებით, ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს წალკის რაიონის განყოფილების მორიგე-ინსპექტორებს - თამაზ ფარჯიანს და ზურაბ იაკობიძეს შეეფარდათ დისციპლინური სასჯელი - საყვედური. **24 საათი**

### სახალხო დამცველი მტკიცებულებების სიმცირეზე საუბრობს

უშიშროების ყოფილი მინისტრის ირაკლი ბათიაშვილის დასაპატიმრებლად მედიასაშუალებებით გავრცელებული ჩანაწერი სახალხო დამცველს სოზარ სუბარს საკმარის მტკიცებულებად არ მიაჩნია. როგორც ომბუდსმენი აცხადებს, ის ჯერ არ გაცნობია, კიდევ რა მტკიცებულებებს ფლობს გამოძიება. "მე ჯერ არ გავცნობივარ გამოძიების მასალებს და არ ვიცი, კონკრეტულად, რა მტკიცებულებებით იხელმძღვანელეს ბათიაშვილის დაკავებისას. სახალხო დამცველს არ აქვს უფლება, ჩაერთოს გამოძიების პროცესში, თუმცა თუ მათი მხრიდან უკანონო ქმედებები გამოიკვეთება, ჩემს პოზიციას აუცილებლად დავაფიქსირებ. რაც შეეხება გავრცელებულ ჩანაწერს, მასში ბათიაშვილის დაკავების საფუძველს ვერ ვხედავ", - აცხადებს სახალხო დამცველი. **ინტერპრესნიუსი**

### დაჯგუფების კიდევ ორი წევრი დააკავეს

სამართალდამცველებმა კოდორის ხეობაში კვიციანის დაჯგუფების კიდევ ორი წევრი დააკავეს. დაკავებულები - თენგიზ პირველი და იგორ არღვლიანი ხიდების დანაღმვა-აფეთქებაში, იარაღის უკანონო შეძენასა და შენახვაში არიან ეჭვმიტანილები.

დაკავებულები სოფელ ჩხალთადან თბილისში გადმოიყვანეს.

გუშინ მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა კვიციანის დაჯგუფების კიდევ ოთხი წევრის დაკითხვა, რომლებიც იარაღის უკანონოდ შეძენასა და ტარებაში არიან ეჭვმიტანილები. ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, ეჭვმიტანილებს ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დაკავება საბრძოლო მასალის შენახვის ფაქტზე

საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ფაქტზე 44 წლის ემზარ გამისონია დააკავეს.

როგორც შს სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, გამისონია სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, ეჭვმიტანილის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას რუსული წარმოების ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ე.წ. ლულისქვეშა "გპ-25"-ის ტიპის ყუმბარმტყორცნის 5 ცალი ჭურვი ამოიღეს. **ინტერპრესნიუსი**


### შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სალიანდაგო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 13 ივლისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სალიანდაგო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობეთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლელბა რის მიხედვითაც წყვეტს სატედერო პროცედურებს 4, 7, 8 ლოტებზე და შესყიდვის ობიექტი განისაზღვროს შემდეგი სახით:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | გაჟღენთილი შპალი | ლარიქსის ჯიშის ხის, I ტიპის, ახალი. გაჟღენთვის გოსტ – 20025 – 75 | ც | 30 986 |
| 2 | გაჟღენთილი შპალი | წიწვოვანი ჯიშის ხის, I ტიპის, ახალი. გაჟღენთვის გოსტ 2 – 20025 – 75 | ც | 61 767 |
|  | გაჟღენთილი შპალი | წიწვოვანი ჯიშის ხის, II ტიპის, ახალი. გაჟღენთვის გოსტ 2 – 20025 – 75 | ც | 24 451 |
| 3 | ისრული გადამყვანის ძელი (გაჟღენთილი) | წიწვოვანი ჯიშის ხის, I А3 ტიპის, ახალი. გაჟღენთვის გოსტ 2 – 20025 – 75 | კომპლ. | 27 |
| 5 | ომბოხი | სალიანდაგო, გოსტ 5812-82, ახალი | ტ | 112.5 |
|  | ზედი | რ-50 ტიპის, ახალი | ტ | 1 |
| 6 | ისრული გადამყვანი | რ-65 ტიპის, 1/9 მარკის, ახალი, პრ.2434, 1 მარცხენა, 4 მარჯვენა | კომპლ. | 5 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.



### ს.ს. "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი" აცხადებს სამეურნეო კონკურსს, ფართის იჯარით გაცემის თაობაზე, შემდეგი საკონკურსო პირობებით:

1. კონტაქტური კორექციის ლინზების ლაბორატორიის ფუნქციონირება;
2. უახლესი ოფთალმოლოგიური ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამედიცინო განყოფილების ფუნქციონირება;
3. კომპიუტერული დიაგნოსტიკის მოწყობა, აღჭურვა, ფუნქციონირება. (ნეირორადიოლოგია);
4. საკაბელო ტელერადიომაუწყებლობის ფუნქციონირება.

**დეტალური ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდნენ საკონტაქტო ტელეფონზე:**
**75-28-82**

პატივისცემით,

*ს.ს. "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი"-ს გენერალური დირექტორი: მ. ომიაძე*


# დაუსწრებელი განაჩენი ყოფილ გუბერნატორს

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით ყოფილ გუბერნატორს ბრალდება 33 ეპიზოდში წაუყენეს, მათგან, 31 - ქრთამის აღებას, ერთი - ავტომანქანის გამოძალვას და ერთიც საარჩევნო ბიულეტენების განადგურების ორგანიზებას ეხებოდა. მამალაძის მიერ გამოძალული ქრთამის ოდენობა, გამოძიების მონაცემებით, 600 ათას ლარს აღემატება.

ყოფილი გუბერნატორი სამართალდამცველებმა ძებნილადაც გამოაცხადეს და მისი ძებნის მოთხოვნით ინტერპოლსაც მიმართეს. თუმცა, ჟურნალისტებისგან განსხვავებით, სამართალდამცველებმა ბრალდებულის მოხელთება ვერ მოახერხეს. მას შემდეგ, რაც მოსკოვის მეტროში მისი სეირნობის კადრები მთელმა საქართველომ იხილა, ყოფილი გუბერნატორის ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაცია აღარ გახმაურებულა.



*17 წლით პატიმრობა - ასეთია ყოფილი გუბერნატორის განაჩენი.*

არადა, მამალაძის არყოფნას პროკურატურისთვის ხელი არ შეუშლია, რომ მისი საქმის გამოძიება ბოლომდე მიეყვანათ, მისთვის დაუსწრებლად ჩამოერთმიათ სოლიდურ თანხად შეფასებული დაუსაბუთებელი ქონება და განაჩენიც გამოეტანათ.

გენერალურმა პროკურატურამ მამალაძის დაუსაბუთებელ ქონებად ყოფილი გუბერნატორის დედისა და მეუღლის სახელზე გაფორმებული კოჯრის აგარაკი, თბილისში, ატენის ქუჩაზე მდებარე ბინა, შინდისსა და წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთები და თავად მამალაძისა და მისი მეუღლის საბანკო ანგარიშები მიიჩნია და სასამართლომაც დააკმაყოფილა ამ ქონების ჩამორთმევის შესახებ შუამდგომლობა. ეს ქონება, გამოძიების განმარტებით, ძებნილს გუბერნატორად მუშაობის პერიოდში აქვს შეძენილი და, მთლიანობაში, ნახევარ მილიონ დოლარად ფასდება.

ყოფილი გუბერნატორისთვის გამოტანილ განაჩენს ლევან მამალაძის ადვოკატი ალექსანდრე ალადაშვილი არაობიექტურს უწოდებს და აცხადებს, რომ ბრალდების მხარეს, ფაქტობრივად, არ მოეპოვება არანაირი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ლევან მამალაძემ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა. მისივე თქმით, ავტომანქანის მითვისების ეპიზოდიც აბსოლუტურად დაუსაბუთებელია.

ალეკო ალადაშვილი განაჩენის გასაჩივრებას ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში გეგმავს.

*24 საათი*

# ექსპერტიზის დასკვნა და ადვოკატების პროტესტი

*ჩოგბურთის კორტებთან 2 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნების მიხედვით, ავტომანქანას, რომლშიც, პოლიციელების მტკიცებით, ეჭვმიტანილები ისხდნენ, 70-ზე მეტი ტყვია აქვს მოხვედრილი. სანაპიროზე, ხალხმრავალ ადგილას დილის საათებში ჩატარებული სპეცოპერაციიდან, რომელსაც დიდი ხმაური მოჰყვა და რომლის კვალიფიციურობაც თავიდანვე ეჭვქვეშ დადგა, ზუსტად სამი თვე გავიდა, თუმცა მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები, ოჯახის ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრები", გენერალური პროკურორის პასუხს მათ შუამდგომლობაზე დღემდე უშედეგოდ უცდიან. ისინი ზურაბ ადეიშვილს კანონდარღვევაში ადანაშაულებენ.*

შეგახსენებთ, რომ შს სამინისტროს ინფორმაციით, სპეცოპერაციისას ლიკვიდირებულები - ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი, მძიმედ დაჭრილი და გადარჩენილი ბონდო ბუთურიძე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ. **"წინაღმდეგობის გაწევის გამო, ადგილზე იქნა ზომები მიღებული და ადგილზე იქნა ლიკვიდირებული ყაჩაღობის ჩასადენად მიმავალი ჯგუფი"**, - ასეთი გახლდათ სამართალდამცველთა ოფიციალური ინფორმაცია.

სპეცოპერაციის ფაქტზე ორი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის ერთ-ერთი - ოპერაციის დროს სამართალდამცველების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტი და თბილისის პროკურატურა იძიებენ. ზურაბ ვაზაგაშვილის ინტერესების დამცველებმა იურისტ თინა ხიდაშელთან ერთად გენერალურ პროკურორს ერთი თვის წინ მიმართეს და სპეცოპერაციის საქმეზე აღძრული ორი საქმის გაერთიანება და გამოძიების გენერალური პროკურატურისთვის გადაცემა მოითხოვეს. ადვოკატები შსს-სა და თბილისის პორკურატურას საქმის არაობიექტურ გამოძიებაში ადანაშაულებენ და მიიჩნევენ, რომ ამ საქმის გამოძიება გენპროკურატურის პრეროგატივაა.

მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობაზე პასუხი გენერალურ პროკურორს, კანონით, 24 საათში უნდა გაეცა, გენერალურ პროკურატურას შუამდგომლობაზე რეაგირება დღემდე არ მოუხდენია. გუშინ ზურაბ ვაზაგაშვილის ინტერესების დამცველებმა იმავე შუამდგომლობით, გენერალურ პროკურორს კიდევ ერთხელ მიმართეს და მის უწყებასთან კიდევ ერთი პრესკონფერენცია გამართეს. როგორც ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატები აცხადებენ, სისხლის სამართლის საქმეზე მომზადებული ექსპერტიზის დასკვნები ცხადყოფენ, რომ ეჭვმიტანილთა ავტომანქანიდან წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**"მომხდარს აბსოლუტურად სხვაგვარი კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა, ვიდრე დღეს აქვს მინიჭებული. ამ დროისთვის სპეცოპერაციის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია მუხლით, რაც არის მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომების გადამეტებით. ეს მუხლი სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, თუმცა საქმე რეალურად უნდა იყოს აღძრული მუხლით - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, რაც 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს"**, - აცხადებენ ადვოკატები ირმა ჭკადუა და მალხაზ ჯანგირაშვილი. მათივე თქმით, თბილისის პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ტენდენციურად იძიებენ საქმეს და მათ გარდაცვლილი ზურაბ ვაზაგაშვილის დედა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ მხოლოდ ადვოკატების მიერ გენპორკურატურაში შეტანილი განცხადების შემდეგ ცნეს.

როგორც ადვოკატები განმარტავენ, ვინაიდან დაზარალებულს არ აძლევენ საქმეზე შეკრებილი მასალების ქსეროასლებს, ციალა ვაზაგაშვილს ხელით უწევს იმ ექსპერტიზის დასკვნების გადაწერა, რომელშიც დაწვრილებით არის მოცემული, თუ რამდენი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული ზურაბ ვაზაგაშვილს. ექსპერტიზამ კი, ჭრილობათა სიმრავლის გამო, დაზიანებების რაოდენობა ვერ დაადგინა.

**"დედისთვის შვილის შესახებ ამგვარი ინფორმაციის ხელით დაწერის იძულება, ფაქტობრივად, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია"**, - ასეთია ადვოკატთა პოზიცია.

კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის ობიექტურ გამოძიებას არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც" მოითხოვს. ასოციაციის თავმჯდომარის ანა დოლიძის ინფორმაციით, ექსპერტების დასკვნების თანახმად, ვაზაგაშვილს ერთი ტყვია თავში, საფეთქლის არეში ძალიან ახლო მანძილიდან აქვს მოხვედრილი, რაც იმის ეჭვს ბადებს, რომ ვაზაგაშვილი სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ცოცხალი იყო. თუმცა, შემდეგ იგი, სავარაუდოდ, მიზჯენით ნასროლი ტყვიით დაიღუპა.

ამ და სხვა დეტალებიდან გამომდინარე, ანა დოლიძე დარწმუნებულია, რომ ჩოგბურთის კორტებთან 2 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს სამართალდამცველებმა უფლებამოსილება გადაამეტეს.

*24 საათი*

# ახალი დეტალი გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეში

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის გამოძიების საქმეში ახალი მოწმის ჩვენება გაჩნდა.

ბორის ბერეზოვსკის "საზოგადოებრივი თავისუფლების ფონდის" აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრ გოლდფარმა უკრაინის გენერალურ პროკურატურას მკვლელობის მოწმის ოფიციალური ჩვენება გადასცა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჟურნალისტის მკვლელობა სხვებთან ერთად შეუკვეთეს უკრაინის უმაღლესი რადის ამჟამინდელმა სპიკერმა ალექსანდრ მოროზმა და რუსული "ალფა-ჯგუფის" ხელმძღვანელმა მიხაილ ფრიდმანმა.

გოლდფარის განცხადებით, მოწმე უკრაინის მოქალაქე არაა და ჩვენების მიცემის დროს იგი აშშ-ში იმყოფებოდა. მოროზს მომხდარ ფაქტზე კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია. ცნობისთვის, სწორედ მოროზმა აღმოაჩინა ცნობილი აუდიო ჩანაწერი, სადაც ჩაწერილია უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას მიერ გაცემული განკარგულება ჟურნალისტის მოკვლის შესახებ.

როგორც ცნობილია, გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეს უკვე განიხილავს კიევის სასამართლო. უკრაინის გენერალური პროკურატურის განცხადებით, დღემდე სასამართლოს ღონღაძის მკვლელობის საქმის მხოლოდ ერთი ნაწილი გადაეცა განსახილველად - ასამართლებენ მკვლელობის შემსრულებლებს. როგორც გენერალური პროკურატურა აცხადებს, მართალია, მათ დამკვეთების შესახებ ინფორმაცია აქვთ, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, მათი დაკავება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. თუმცა, პროკურატურა პირობას დებს, რომ უმოკლეს ვადაში სასამართლოს წინაშე შემკვეთებიც წარდგებიან.

გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს დაიკარგა. იმავე წლის ნოემბერში კიევის მახლობლად მდებარე ტყეში აღმოაჩინეს მამაკაცის ცხედარი, რომელსაც თავი მოკვეთილი ჰქონდა. ექსპერტთა დასკვნით, გარდაცვლილი გიორგი ღონღაძე იყო. გენპროკურატურამ საქმე მკვლელობის მუხლით აღძრა, თუმცა წლების მანძილზე საქმის ძიება შეწყვეტილი იყო.

ჟურნალისტის მკვლელობას უკრაინაში სერიოზული პოლიტიკური სკანდალი მოჰყვა. მაშინვე გავრცელებული ვერსიით, მკვლელობა პრეზიდენტმა კუჩმამ შეუკვეთა, ორგანიზება უკრაინის შს მაშინდელ მინისტრსა და შსს-ს მაშინდელ მაღალჩინოსნებს დაევალათ, ხოლო დაკვეთა რიგითმა პოლიციელებმა მოიყვანეს სისრულეში.

2005 წლის გაზაფხულზე უკრაინის გენპროკურორმა განაცხადა, რომ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობა გაიხსნა და მკვლელობის შემსრულებლები დაკავებულები არიან.

2005 წლის 19 დეკემბერს კიევის სასამართლომ დაიწყო ღონღაძის საქმის განხილვა, უფრო ზუსტად - მკვლელობის შემსრულებელთა სასამართლო პროცესი. განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ მილიციის ყოფილი ოფიცერი ვალერი კოსტენკო, ნიკალაი პროტასოვი და ალექსანდრ პოპოვიჩი. სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

პროცესის მსვლელობისას ორმა განსასჯელმა თავი დამნაშავედ სრულად ცნო, მესამემ კი ნახევრად აღიარა დანაშაული. იმის გამო, რომ სასამართლო პროცესი დახურულია საქმის დეტალები საზოგადოებისთვის უცნობია. თუმცა, გაზეთ "Сегодня"-ს ინფორმაციით, პროტასოვმა და კოსტენკომ მკვლელობა აღიარეს, პოპოვიჩმა ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. პოპოვიჩის განცხადებით, ის მკვლელობის დღეს მართავდა მანქანას, რომლითაც გიორგი ღონღაძე მკვლელობის ადგილზე მიიყვანეს. საქმეში აღმოჩენილი ახალი გარემოების - ახალი მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამო, კიევის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმის განხილვა 14 სექტემბრამდე გადაიდოს.

*24 საათი*

### უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# გაყინული მოლაპარაკებები უკეთესი პირობების მოლოდინში

ზაზა ფაჩუაშვილი

*27 ივლისს საზოგადოებრივი მოძრაობა "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" მასპინძლობდა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელს გაერო-ში ირაკლი ალასანიას, რომელსაც მოძრაობის თავმჯდომარემ, პროფესორმა თემურ ჩილაჩავამ "საგზაო რუკის" განხილვა სთხოვა. თემურ ჩილაჩავა: "მოგეხსენებათ, რომ აფხაზებმა შემოგვთავაზეს ე.წ. "მომავლის გასაღები", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ "24 საათში" შესავლის გარეშე. ქართული მხრიდან კი მომზადდა ბატონ ირაკლი ალასანიასა და მისი ჯგუფის მიერ დამუშავებული "საგზაო რუკა", რომლის განხილვა ფართო საზოგადოებაში ჯერ არ მომხდარა. დიდ მადლობას მოვახსენებთ ბატონ ირაკლის ჩვენთან შეხვედრისათვის და ვთხოვთ, გვესაუბროს ამასთან დაკავშირებით".*



**ირაკლი ალასანია:** "იმის მიუხედავად, რომ, პრაქტიკულად, ნიუ იორკში მომიწევს მუშაობა, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მოლაპარაკებების პროცესში ვრჩები მის წარმომადგენლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მე მუდმივად მექნება შეხება ქართულ-აფხაზური პროცესის დარეგულირების პროცესთან. ეს საშუალებას მაძლევს, ახლა უფრო კომპეტენტურად ვისაუბრო იმ სამომავლო გეგმის შესახებ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით გააჩნია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული დოკუმენტი არ არის საბოლოო ვარიანტი. სათაურშივეა განმარტებული, რომ წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი პრინციპები, რომლებიც კიდევ უნდა დამუშავდეს. ამასთან დაკავშირებით გავაკეთეთ სპეციალური განცხადება, რომ ჩვენ მზად ვართ, აფხაზური მხარისაგან მივიღოთ ნებისმიერი რაციონალური წინადადება, მაგრამ არა ის პუნქტები, რომლებიც ჩამოთვლილია "მომავლის გასაღებში".

ამ დოკუმენტების შეჯერების პირველი ეტაპი დავიწყეთ სოხუმში, როცა მეორედ ვიყავი ჩასული. გვქონდა ლაკობასთან შეხვედრა, სადაც მოეწყო მცირე განხილვა. პირდაპირ ვუთხარით, რომ ჩვენ, ქართული მხარე მათი მხრიდან უფრო მნიშვნელოვან დოკუმენტს ველოდებოდით. იმიტომ, რომ ეს არის აბსოლუტურად მოუმზადებელი, გაუმართავი დოკუმენტი, რომელიც გამოიწვევს ნეგატიურ ტალღას ქართულ მოსახლეობაში. პირველ რიგში, დევნილებში, ვინაიდან ჩანს, რომ აფხაზური მხარე, პრაქტიკულად, არაფერზე წამოსვლას არ აპირებს. ჩემდა გასაკვირად, ლაკობას რეაქცია იყო ანალოგიური და მან პირდაპირ უთხრა შამბას, რომ ეს არ არის ის დოკუმენტი, რომელიც აფხაზურ მხარეს ქართული მხარისთვის უნდა გადაეცა და ამიტომაც არის ქართული დოკუმენტიც ასეთი მკაცრი.

რაც შეეხება ჩვენს დოკუმენტს, ძირითადი პრინციპები გამომდინარეობს საქართველოს სუვერენიტეტიდან, მისი ტერიტორიული მთლიანობიდან. ეს არის ის თემა, რომლის შესახებაც აფხაზებს წინასწარვე უნდა ვუთხრათ, რომ ის ხელშეუხებელია. თუმცა, ამ სუვერენიტეტის შიგნით ჩვენ მზად ვართ, აფხაზეთს მივანიჭოთ ფართო სუვერენიტეტი. ეს ფრაზა ჩვენ შეიძლება გამოგვადგეს როგორც ავტონომიური მოდელის შექმნისთვის, ასევე სხვა ნებისმიერი ფედერალური წარმონაქმნის ჩამოყალიბებისთვის. სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ექნება რეგიონის რეალური მართვის უფლებამოსილება. მეორე განუხრელი პირობა არის დევნილთა საკითხი, რომელსაც აფხაზებმა, თავისდა სამარცხვინოდ, დოკუმენტში მხოლოდ რამდენიმე აბზაცი დაუთმეს. დოკუმენტის პირველ ვარიანტში უფრო დიდი ადგილი ეკავა დევნილების საკითხს. იქ, პრაქტიკულად, საუბარი იყო დევნილთა დაბრუნების უფლების აღიარებაზე აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსულ-ქართული ურთიერთობების დაძაბვის ფონზე, აფხაზებს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთანაც კი ჰქონდათ შეხვედრა, მდგომარეობა შეიცვალა, დოკუმენტი შემცირდა და დევნილების საკითხის მათებური გადაწყვეტა ჩვენთვის სრულიად მიუღებელი გახდა. აფხაზურმა მხარემ ვერ გათვალა, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ასეთი დოკუმენტის წარდგენა მათთვის უკიდურესად წამგებიანი იქნებოდა. მაშინ, როცა დევნილთა დაბრუნების კანონიერი უფლება ყველასათვის ნათელია, აფხაზები ამას საფრთხედ აღიქვამენ. ეს ძალიან მტკივნეულად მიიღეს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებმა.

ამის მერე საქმე წინ აღარ წასულა. სულ უფრო რთულდებოდა ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, ვინაიდან მათ იცოდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დსთ-ს კოლექტიურ ძალების განლაგების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად ვემზადებოდით. ეს გადაწყვეტილება მიიღო კიდეც საქართველოს პარლამენტმა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს მისი განხორციელებისთვის ფორმალური გზა არ მიუცია, ვინაიდან საჭირო იყო, რომ პუტინთან შეხვედრის წინ გარკვეული ლუფტი დაგვეტოვებინა. რა თქმა უნდა, პუტინისაგან კონსტრუქციული წინადადებების ილუზია არ გვქონია, მაგრამ ეს გავაკეთეთ იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე პირნათელი ვყოფილიყავით. იცით, რომ პუტინთან შეხვედრა არ შედგა.

ახლა ასეთი მდგომარეობაა. დოკუმენტებთან დაკავშირებით გაკეთდა შესაბამისი განცხადებები და გადაწყდა, რომ ქართული და აფხაზური მხარეები დაველოდებით უკეთეს გარემოს იმისათვის, რათა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები განვაახლოთ. ორივე მხარე შევთანხმდით, რომ საგზაო რუკა უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტი. რა უნდა ვუყოთ არსებულ უთანხმოებებს? - ჩვენი აზრით, საგზაო რუკის შესრულების პერიოდი ფაზებად უნდა დაიყოს.

სანამ დსთ-ს კოლექტიური ძალების გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილება შესრულდება, პროცესს გარკვეულწილად გავყინავთ. თუმცა, მანამდე, რა თქმა უნდა, პროცესი უმოძრაოდ არ უნდა იყოს. დღესაც შეხვედრა მქონდა გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელთან, რომელთანაც შევთანხმდით, რომ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა ჩატარდება, ალბათ, ამ კვირაში, რომელსაც უხელმძღვანელებს მერაბ ანთაძე და პროცესი სამი მიმართულებით - უსაფრთხოება, დევნილთა დაბრუნება და სოციალური უზრუნველყოფა - დაიძრება.

ჩვენი დოკუმენტი გავუგზავნეთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცას. მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლებს პირადად გადავეცი. მათ ეს დოკუმენტი მოიწონეს და გააკეთეს განცხადება, რომ ელიან ქართულ-აფხაზური დიალოგის გაღრმავებას ერთობლივი დოკუმენტის ჩამოყალიბების კუთხით.

რაც შეეხება საფრთხეებს. მას შემდეგ, რაც გართულდა ურთიერთობა და დავიწყეთ სერიოზული მსჯელობა საქართველოდან დსთ-ს კოლექტიურ ძალების გაყვანის თაობაზე, რუსეთის ფედერაციის მხრიდან სერიოზული ლაპარაკი დაიწყო კოსოვოს პრეცედენტის ინტერნაციონალიზაციაზე. დაიწყო მცდელობა, გაერო-ს რეზოლუციაში შეიტანონ ახალი ელემენტები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ პუნქტში სურდათ ამოეღოთ ფრაზა - "საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში" - და, მათი გათვლით, შემდგომ უკვე დაიწყებდნენ საუბარს ტერიტორიულ მთლიანობაზე დე ფაქტო საზღვრებში. ამის საპასუხოდ ჩვენ, რა თქმა უნდა, ადეკვატური ზომები მივიღეთ, საქმეში ყველა ჩვენი მეგობარი ჩავრთეთ, მეც რამდენჯერმე ჩავედი გაერო-ში და ეს შემოტევა მოვიგერიეთ, მაგრამ ასეთი მცდელობები კიდევ იქნება.

ოქტომბერში, გაერო-ს უშიშროების საბჭოზე იმსჯელებენ საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელებაზე, რასაც რუსები დაბლოკავენ. ეს, პრაქტიკულად, გამოიწვევს გაერო-ს მისიის შეწყვეტას.

ჩვენი რეაგირება ასეთია. მეგობართა ჯგუფს შემდეგი მოდელი შევთავაზეთ: რუსეთის სამშვიდობო ძალები 12 წლის წინათ შემოიყვანეს. ყველა შეთანხმება, რომელიც ამ პროცესს განსაზღვრავს, არის 12 წლის წინანდელი და გამოდის, რომ ჩვენ კონფლიქტის დარეგულირებას 12 წლის წინანდელი ინსტრუმენტებით ვცდილობთ, რაც დღეისათვის აბსოლუტურად არაადეკვატურია. ამიტომ მოვითხოვეთ, რომ სამშვიდობო ოპერაციის ხასიათი შეიცვალოს. საუბარი გვაქვს 300-400-კაციან საერთაშორისო საპოლიციო ელემენტზე, რომელთა მოვალეობა იქნება დევნილების უსაფრთხო დაბრუნება. ამის შესახებ ვსაუბრობთ ჩვენ გაერო-სთან. რამდენად რეალისტურია ეს? რუსების პოზიცია ასეთი იყო: თავიდან ისინი გვთავაზობდნენ, რომ საპოლიციო ჯგუფი შეიქმნას მათი სამშვიდობო კონტინგენტის ბაზაზე, რაც აბსურდულია. შემდეგ მათ თქვეს, რომ იმ შემთხვევაში დაეთანხმებიან საპოლიციო შენაერთის შემოყვანას, თუ სამშვიდობო კონტინგენტს საქართველოში მთლიანად დავტოვებთ. ჩვენ ვუთხარით, რომ საერთაშორისო საპოლიციო შენაერთის შექმნაში მონაწილეობას მათაც მივაღებინებთ. ოღონდ, იმ პირობით, რომ მათი წარმომადგენლობა არ იქნება ერთ მესამედზე მეტი და ხელმძღვანელობა იქნება საერთაშორისო. შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობები ისე გაუარესდა, რომ მოლაპარაკებები შეწყდა."

# "აქ ჩვენც ვიყავით და უკვე მზად ვართ!"

## აცხადებს აფხაზეთის 28-ე ბატალიონი

ნატო კორსანტია

"აქ ყოფნა ძალიან საინტერესოა, ბევრ საჭირო და აუცილებელ ჩვევას ვიძენთ. თუმცა ბიჭებს ხანდახან მაინც ბეზრდებათ ერთფეროვნება, მოიწყენენ ხოლმე. ამიტომაც, იქნებ, ჩამოგვაკითხოთ ჩვენს მუსიკოსებთან ერთად", - უთხრა სატელეფონო საუბრისას სარეზერვო ბანაკში მყოფმა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა ალექსანდრე აპლაკოვმა პირველ მოადგილეს სალომე კაპანაძეს. სალომე კაპანაძემ კი ეს წინადადება გაუზიარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მალხაზ აკიშბაიას, რომელმაც, თავის მხრივ, იდეა მოიწონა და რეზერვისტებთან შეხვედრის მსურველი ხელოვანები ტრანსპორტით უზრუნველყო. მერე მუსიკოს-შემსრულებელთა თავმოყრა კულტურის სამმართველოს უფროსმა ზაზა მიქავამ ითავა. ერთ მშვენიერ დღესაც, მუსიკოსი ია მაისაია, მომღერალი ნანა ბოჯგუა ქალთა ანსამბლით "მაფშალია", ახალგაზრდა შემსრულებელი მაკა გიორგობიანი და ცნობილი თბილისელი მომღერალი დათო ოთიაშვილი ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანის სარეზერვო ბანაკში გაემგზავრნენ.

... ტყის სიღრმეში გაშლილი სარეზერვო ბანაკი დილიდანვე მოლოდინში იყო. რეზერვისტებს ვეება მუხის ჩრდილქვეშ პატარა სახელდახელო სცენა მოეწყოთ.

აფხაზეთის 28-ე სარეზერვო ბატალიონი რამდენიმე ასეულ რეზერვისტს ითვლის. რეზერვისტთა უმეტესობა აფხაზეთიდან არის. ბევრი მათგანი აფხაზეთის ომში იბრძოდა და სამწუხაროდ, ერთხელ უკვე იწვნიეს დამარცხების ტკივილი. ამიტომაც კარგად იციან, თუ ქვეყნის გასამთლიანებლად ისევ ომი გახდა გარდაუვალი, მათ მხოლოდ გამარჯვების უფლება აქვთ.

აფხაზეთის 28-ე ბატალიონის მეთაური თენგიზ ბენდელიანი აფხაზეთში ნაომარი კაცია. იგი ინტერვიუსგან თავს იკავებს. ასევე სიტყვაძუნწობენ რეზერვისტებიც, თუმცა ზოგადად მაინც ჰყვებიან თავიანთ დღის რეჟიმზე. ეს ყველაფერი კი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანამშრომლების თქმით, დაახლოებით ასე გამოიყურება: უთენია ადგომა, სირბილი, მოწესრიგება, სწავლებები ტექნიკურ მომზადებაში, მარშირება, სადილი, მერე ისევ სწავლებები - სანგრის თხრა, ტყეში გადაადგილება, მიზანში სროლა და ა.შ. ზოგჯერ კი მთელი დღის განმავლობაში დაღლილ-დაქანცულებს შუა ღამისას ან სულაც გამთენიისას განგაშს გამოუცხადებენ, ფეხზე წამოყრიან და შესაძლო საფრთხისთვის მზადყოფნას შეუმოწმებენ.

ბატალიონს თავისი პატრულიც ჰყავს და საკონტროლო გამშვები პუნქტიც აქვს. პატრული მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს, რომ "მოწინააღმდეგე ბანაკიდან" ვინმე არ შემოეპაროს.

რაც შეეხება იმდღევანდელ შეხვედრას, რა თქმა უნდა, ის ემოციური იყო. სალომე კაპანაძემ აღნიშნა და მერე თითქმის ყველა სტუმარმა ქალბატონმა

დაადასტურა, რომ მათ ახლა უფრო მეტად ეიმედებათ და ეამაყებათ ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდები, ვიდრე ოდესმე. ამასთანავე, მიაჩნიათ, რომ წართმეული ტერიტორიები აუცილებლად მშვიდობიანი გზით უნდა დავიბრუნოთ და ეს მოწინააღმდეგემაც უნდა გაიგოს.

სიმღერები სამშობლოზე და კონკრეტულად აფხაზეთზე, სიმღერები სიყვარულსა და მეგობრობაზე... ერთმანეთს ენაცვლებოდა. მიწაზე ფეხმორთხმული რეზერვისტები მხურვალე აპლოდისმენტებს არ იშურებდნენ. კონცერტის კულმინაცია კი მაინც ის ჟესტი აღმოჩნდა, როცა ბებერი მუხის მიწიდან ამოხეთქილ ფესვზე ჩამომჯდარმა ერთმა ახოვანმა რეზერვისტმა მომღერალ ქალბატონს იქვე, მინდორში დაკრეფილი გვირილები მიართვა. ტყესა და ველს მხედრულ შესაძლებლობებთან ერთად ბიჭების ჯენტლმენობაც გამოეცადა. აქ თუნდაც მხოლოდ ამის სანახავად ღირდა ჩამოსვლაო, ამბობდნენ ქალბატონები.

კონცერტი საქართველოს ჰიმნით დაიწყო და ჰიმნითვე დასრულდა. სტუმარ-მასპინძელი, ყველა ერთად მღეროდა. ბოლოს ისიც ითქვა, რომ იმ მთის მწვერვალზე, რომელიც ბანაკს გადმოჰყურებს და რომელზეც საქართველოს დროშა ფრიალებს, ამ ბატალიონის დროშასაც აღმართავენ. - აქ ჩვენც ვიყავით და უკვე მზად ვართ!.. - ეს იქნება ერთგვარი გზავნილი, რომელსაც აფხაზეთის 28-ე სარეზერვო ბატალიონი ქვეყანას აუწყებს.

# აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადება

საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ბოლო ქმედებები და განცხადებები, რამაც შექმნა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში სამხედრო ოპერაციის ჩატარების ფონი, არაორაზროვნად ადასტურებენ, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში პრობლემების პოლიტიკური დარეგულირების მომხრენი საქმეში აღარ არიან. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გ. თარგამაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ კოდორის სპეცოპერაცია ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებას, თავად ხეობა კი წარმოადგენს "სოხუმიდან ხუთი წუთით საფრენ მანძილზე დაშორებულ სტრატეგიულ პლაცდარმს". ამ სახის განცხადებები არავის უტოვებს შანსს ამტკიცოს, რომ რეგიონში სტაბილურობასა და უსაფრთხოებას სამხედრო საფრთხე აღარ ემუქრება. პირიქით, ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლება დემონსტრირებას უკეთებს მზადყოფნას იმისათვის, რომ კონფლიქტები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ძალისმიერი გზით გადაწყვიტოს, რაც სერიოზულ შედეგებს უქადის მთელ კავკასიის რეგიონს.

ღრმა მწუხარებითა და შეშფოთებით გვიწევს იმის კონსტატაცია, რომ გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს წარმომადგენელთა განცხადებებსა და ინტერვიუებში გამოთქმული რეკომენდაციები და შეფასებები აშკარად ფარავენ საქართველოს მხრიდან კონფლიქტების სამხედრო ძალით დარეგულირების საფრთხეს. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია პირდაპირ ითხოვს კონფლიქტის ზონაში პოლიციური ძალების შეყვანას, რასაც იმით ხსნიან, რომ, თითქოს, რეგიონში უსაფრთხოებას ემუქრებიან კრიმინალური სტრუქტურები და არა საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც სურს, ძალადობრივი გზით აღადგინოს, ყოფილი საქართველოს სსრ.

კოდორის ხეობაში პოლიციური ძალების გვერდით ქართული არმიის რეგულარული ნაწილების შეყვანა, ისევე როგორც ქართველ ხელისუფალთა ბოლო კომენტარები და განცხადებები, პირდაპირ მოწმობენ იმას, რომ საქართველოს მშვიდობიანი პროცესი არ აინტერესებს.

ქართული მხარის მიერ მშვიდობიანი დარეგულირების აფხაზური გეგმის განხილვაზე უარის თქმა, საკუთარი კონსტრუქციული წინადადებების არარსებობა მოწმობს იმას, რომ ქართველი ლიდერები მშვიდობიანი, პოლიტიკური დარეგულირების შესახებ სერიოზულ მოლაპარაკებებს გაურბიან.

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საქართველოს ქმედებებზე ადეკვატური რეაქციის უქონლობა ხელს უხსნის ძალისმიერი მოგვარების მომხრეებს, რომლებიც კრიმინალთან ბრძოლას ამოფარებულნი, პრაქტიკულად, ცდილობენ სამხედრო რევანშის განხორციელებას.

ჩვენ, აფხაზეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, მიუკერძოებლად და პატიოსნად შეაფასოს საქართველოს ხელისუფლების ქმედება და მკაცრად გააფრთხილოს იგი, რომ კონფლიქტების ძალისმიერი მოგვარება დაუშვებელია.

*ლიანა ქვარჩელია (ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი),*
*მანანა გურგულია (სოხუმის მედია-კლუბი),*
*არდა ინალ-იპა (ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი),*
*ასიდა შაკრილი (ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი),*
*ბათალ კობახია (ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი),*
*ნადეჟდა ვენიდიქტოვა (ჟურნალი-"სამოქალაქო საზოგადოება"),*
*ნათელა აკაბა (ასოციაცია-"აფხაზეთის ქალები"),*
*ბელა ტურცევა (ასოციაცია-"აფხაზეთის ქალები"),*
*დიანა კარსელიანი (სოხუმის მედია-კლუბი),*
*მარიეტა თოფჩიანი (აფხაზეთის სომხური თემი),*
*მარტა ტუჟბა (სოხუმის მედია-კლუბი),*
*სურენ კარსელიანი (აფხაზეთის სომხური თემის სოხუმის განყოფილება),*
*ინდირა ბარციცი ( სოხუმის მედია-კლუბი),*
*თამაზ ქეცბა (ფონდი - "სამოქალაქო ინიციატივა და მომავლის ადამიანი"),*
*ალხას თხაგუშევი (ასოციაცია "ინვასოდეისტვიე"),*
*ასლან კუცნია (ასოციაცია "ინვასოდეისტვიე"),*
*ელენა კობახია (სოხუმის მოზარდთა სახლი),*
*აიდა ლადარია (სოხუმის მოზარდთა სახლი),*
*ციზა გუმბა ("ნაციონალური რესურსები"),*
*ინალ ხაშიგი (გაზეთი "ჩეგემსკაია პრავდა")*
*იზიდა ჭანია ("ნუჟნაია გაზეტა").*

პროექტის მხარდამჭერი Conciliation Resources

# შეხვედრა დევნილებთან

*შემოდგომაზე ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე "რესპუბლიკურმა პარტიამ" დაიწყო დევნილ საზოგადოებასთან შეხვედრების ციკლი, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ, პრინციპული დისკუსიები გამართონ პარტიის ლიდერებთან, რომ უკეთესად ჩამოაყალიბონ საკუთარი პოზიციები. პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა სასტუმრო "თორში". ამ შეხვედრაზე პარტიის ლიდერები შეხვდნენ აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.*

ლელა მარგიანი

ქვეყანაში არსებული პერმანენტული დაძაბული ვითარების ფონზე რესპუბლიკური პარტიის ლიდერები შეხვდნენ დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა მათთვის გაეცნოთ პარტიის პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა (კოდორის ხეობაში განხორციელებული ოპერაციის) და, საერთოდ, დევნილი საზოგადოების მიმართ.

შეხვედრა გახსნა თბილისის საკრებულოს "რესპუბლიკელმა" წევრმა პაატა ზაქარეიშვილმა, რომელმაც მცირე შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ არჩევნების წინ ხშირად ხდებოდა დევნილების თემით "სპეკულაცია", მათი ინტერესების ვითომდა გაჟღერება და შემდეგ, არჩევნების დამთავრებისთანავე, დავიწყება. სწორედ ამიტომ, "რესპუბლიკურმა პარტიამ" დაიწყო დევნილ საზოგადოებასთან შეხვედრები, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, საკუთარი პირდაპირი, პრინციპული პოზიცია დააფიქსირონ და გააცნონ პარტიების ლიდერებს.

შემდეგ სიტყვა გადასცა "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, რომელმაც "რესპუბლიკური პარტიის" სახელით გააკეთა განცხადება ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასთან, კერძოდ, კოდორში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საქართველოს "რესპუბლიკური პარტია" სრულად და უპირობოდ ემიჯნება და გმობს იმ ქმედებებს, რაც განვითარდა კოდორის ხეობაში.

"ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ, ბატონი ემზარ კვიციანის ინტერვიუში, მას ძალიან ცოტა აქვს საერთო კონკრეტულად კოდორში შექმნილ პრობლემებთან, და არის სერიოზული პოლიტიკური განაცხადი, თანაც, განაცხადი ავტომატით ხელში.

"რესპუბლიკური პარტიისთვის" პროტესტის ამგვარი ფორმა - შეიარაღებული დაუმორჩილებლობა, არის მიუღებელი ნებისმიერ შემთხვევაში.

ჩვენ ვთვლით, რომ ყველა, ვისაც ჭეშმარიტად აღელვებს ის პრობლემები, რაზეც საუბრობდა კვიციანი, კეთილი უნდა ინებოს და ჩაერთოს მშვიდობიან, კანონიერ, კონსტიტუციურ ბრძოლაში, ამოუდგეს გვერდში იმ საზოგადოებას, მათ შორის, "რესპუბლიკურ პარტიას", რომელიც კონსტიტუციური და მშვიდობიანი გზებით იბრძვის ხელისუფლების წინააღმდეგ. იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც შექმნა ძალიან ბევრი პრობლემა, მათ შორის - კოდორში, და რომელმაც განაპირობა ის, რომ დღეს ჩვენ საქმე გვაქვს შეიარაღებულ ოპოზიციასთან.

ხელისუფლებამ უნდა გაიგოს - დემოკრატიულ ოპოზიციასთან ნებისმიერი სახის ბრძოლა გამოიწვევს იმას, რომ ქვეყანაში გაჩნდება შეიარაღებული ოპოზიცია.

ამიტომ, ცხადია, განვითარებულ მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას.

ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ახლა მაინც მოეგოს გონს და ნუ ჩათვლის, რომ მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით არის შესაძლებელი პრობლემების მოგვარება," - განაცხადა "რესპუბლიკელების" ლიდერმა. ამ განცხადების შედეგ გადავიდნენ იმ საკითხებზე, რისთვისაც შეკრება მოხდა.

მისივე თქმით, დევნილ საზოგადოებასთან დაკავშირებულ პრობლემებში უპირველესია ის, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი პრობლემა - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დევნილების ღირსეული დაბრუნება.

შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ეს ყველაფერი იყო მარტივად ახსნადი: ჩვენ, "რესპუბლიკელებს" არ გვქონდა ილუზია, რომ შევარდნაძე და მისი გარემოცვა იყო შემძლე, მოეძებნა რაიმე ეფექტური, საზოგადოებისთვის მისაღები გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ეს იყო იმ ხელისუფლების საერთო პრობლემა. ჩვენ მაშინ ვწუხდით ამაზე, მაგრამ რაიმე იმედი პრობლემის გადაჭრისა ნაკლებად გვქონდა.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჩვენ გვქონდა იმედი (ამას გულწრფელად და ღიად ვამბობთ), რომ ამ მიმართულებით სასიკეთო ცვლილებები მოხდებოდა. ამის საფუძველს გვაძლევდა ის, რომ ამ მასშტაბის ცვლილებებს ქვეყანაში ყველა მიმართულებით სასიკეთო ძვრები უნდა გამოეწვია.

ჩვენ დავინახეთ, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში საქართველო კვლავ მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში, ჩვენ გაგვიჩნდა უნიკალური შანსი, გამოგვეყენებინა ძალიან სერიოზული დახმარება ბევრი, მათ შორის, კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით.

სამწუხაროდ, დღეს უკვე, ვარდების რევოლუციიდან თითქმის სამი წლის შედგომ, გვიხდება იმის აღიარება, რომ ფაქტობრივად, არც არაფერი მომხდარა. მეტიც, ამ სამი წლის განმავლობაში ხელიდან გავუშვით რამდენიმე სერიოზული შანსი.

პირველი: ეს იყო რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, რომლის გარეშეც, ჩვენი აზრით, შეუძლებელია კონფლიქტების მოგვარება. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება - ეს ურთულესი საქმეა, იმიტომ, რომ აშკარაა, რუსეთისა და საქართველოს სტრატეგიული ინტერესები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგრამ არის საკითხები, რომელშიც ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა; და მეორე, არის საკითხები, რომელშიც ჩვენ შეგვეძლო გვქონოდა საერთაშორისო საზოგადოების სერიოზული თანადგომა და მხარდაჭერა. ამისთვის საჭირო იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებას თავი დაემკვიდრებინა, როგორც სოლიდურ, სიტყვის პატრონ სერიოზულ ძალას, რომელთანაც ურთიერთობას აქვს აზრი და რომელსაც ანგარიშს უწევს ყველა.

ასევე, იყო სერიოზული შანსი აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების შემდეგ რაღაც გარკვეული გარღვევების მოხდენისა ამ მიმართულებით, რაც ასევე არ იქნა გამოყენებული. და ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი - ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო რაიმე სერიოზული და კომპლექსური გეგმის შემუშავება და მისი შეთავაზება აფხაზებისთვის, რუსებისთვის, საერთაშორისო საზოგადოებისთვის, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა.

სერიოზული საკითხი, რომელიც გვაღელვებს და გვინდა, თქვენთან ერთად განვიხილოთ, არის დევნილი მოსახლეობის პრობლემები.

ჩვენ ხშირად ვართ მოწმე ისეთი სიტუაციებისა, როდესაც დევნილი მოსახლეობა დამნაშავედ გამოჰყავთ. ეს ხდება მაშინ, როდესაც პრობლემებს ვერ უმკლავდება ხელისუფლება. მეორე, როდესაც დევნილი მოსახლეობა განხილულია, როგორც რაღაც საჯარისო ქვედანაყოფის კომპონენტი, ანუ "ცოცხალი ძალა", რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას იმ ტერიტორიის დასაბრუნებლად. ამ შემთხვევაში, დევნილი მოსახლეობა განხილულია, როგორც ინსტრუმენტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.

ჩვენი აზრით, ეს მიდგომაც სრულიად მიუღებელია.

მესამე დიდი პრობლემა - ეს არის დევნილი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, მათი საცხოვრებელი პირობები, მათი კონსტიტუციური უფლებების რეალიზება მანამ, სანამ ეს ხალხი იმყოფება დროებითი განსახლების პირობებში.

ამ საკითხში ჩვენი პარტიის საფუძველია - ადამიანის თავისუფალი არჩევანის ღირებულება. ჩვენი აზრით, საზოგადოება მაშინ იქნება კარგად მოწყობილი, როდესაც თითოეულ ჩვენგანს ექნება თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება ყველა სფეროში და ეს იქნება არა თეორიული, არამედ - პრაქტიკული, რეალური არჩევანი.

ამიტომ არის პოლიტიკური პლურალიზმიც აუცილებელი - ქვეყანაში უნდა არსებობდეს ორი-სამი ნორმალური პოლიტიკური ძალა, რომელთა შორისაც გვექნება არჩევანის გაკეთების საშუალება.

აქედან გამომდინარე, დევნილების პრობლემასთან დაკავშირებით, ჩვენ ვთვლით, რომ სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს თითოეული დევნილისთვის თავისუფალი არჩევანის შექმნის პირობები. ამას ასეთი პრაქტიკული გამოხატულება აქვს ჩვენთვის: ჩვენ არ განვიხილავთ იმ სასტუმროებს და იმ სანატორიუმებს, სადაც დევნილები ცხოვრობენ, "ქონებად", რომელიც უკეთ და ეფექტურად უნდა გამოიყენოს ქვეყანამ. შესაბამისად, როდესაც დგება საკითხი იმ სასტუმროს გაყიდვისა, სადაც დევნილები ცხოვრობენ, ეს არის მიუღებელი ფორმულა ჩვენთვის.

თუ საკითხი იქნება პირიქით, რომ გაუმჯობესდეს დევნილების მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდგომ გაიყიდოს შენობა, ეს ჩვენთვის მისაღები მიდგომაა.

ამდენი დაგროვებული პრობლემის არსებობა ადამიანის უფლებებს უკავშირდება. თუ ყველაფერი სათანადოდ გააზრებული და გათავისებული არ იქნება, შეუძლებელია ამ პრობლემების გადაწყვეტა. როდესაც სახელმწიფო ისწავლის და გაითავისებს, რომ მას საქმე აქვს კონკრეტულ "ადამიანთან" და არა "ამომრჩეველთან", "პენსიონერთან", "ინვალიდთან", "დევნილთან", არამედ - "ადამიანთან"; როდესაც ჩვენ გვეღირსება ის, რომ ხელისუფლება "ჩვენ" განგვიხილავს, როგორც ღირსეულ ადამიანებს და ასე მოგვეპყრობიან; როდესაც სიტყვის ფასი და წონა აღარ "გაიზომება" მხოლოდ იმით, თუ რამდენი კაცი გამოვიდა ქუჩაში - ერთი თუ მრავალი, მაშინ მოგვარდება პრობლემები. ბოლო წლებმაც გვაჩვენა - ან ყველას ერთად გვეშველება, ან - არავის. შეუძლებელია საქართველოში "კარგად" იყოს საქმე დევნილებთან მიმართებაში და ცუდად იყოს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან მიმართებაში.

**P.S.** შეხვედრის ბოლოს დამსწრე დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გამო.

# ქართულ-ამერიკული ფილმი

ქართველი რეჟისორი გიორგი ოვაშვილი ქართულ-ამერიკული ფილმის პროექტზე მუშაობს.

როგორც გიორგი ოვაშვილმა განაცხადა, პროექტი კინოსტუდია "თენ დენს პროდაქშანის" დაკვეთით ხორციელდება.

სურათი "ვარდების რევოლუციის" დროს გათამაშებულ სასიყვარულო ისტორიაზე მოგვითხრობს. ნოემბრის მოვლენების დროს ახალგაზრდა ქართველ ბიჭს და ავსტრალიელ გოგონას ერთმანეთი შეუყვარდებათ.

ფილმის სცენარის ავტორი სტენ როდმანია. გადაღებები ძირითადად საქართველოში იწარმოებს, თუმცა, სურათის პირველ ნაწილს ლოს-ანჯელესში, ჰოლივუდში, გადაიღებენ.

"ერთ-ერთ მთავარ როლს ავსტრალიელი გოგონა შეასრულებს, დანარჩენი ჯგუფი, ტექნიკური მხარის ჩათვლით ძირითადად, ქართველები იქნებიან", - განცხადა ოვაშვილმა.

IEOE თქმით, მსახიობების შერჩევა ამჟამად მიმდინარეობს.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ქართული ეროვნული კოსტიუმებისა და აქსესუარების შესასყიდად 30 მაისს გამოცხადებული ტენდერის შედეგები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 30 მაისს ქართული ეროვნული კოსტიუმებისა და აქსესუარების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოცხადდნენ ჩოხა, შარვალ-ახალუხი - ი/მ "ქეთევან ბაქრაძე", კაბა (კომპლექტი), წაღები, ქალის ფეხსაცმელი, ქალამნები - ი/მ "გიორგი ბიწაძე", ქამრები, ქილები - ი/მ "გივი ფანჩულიძე", რომლებთანაც ხელშეკრულება დაიდო 3 ივლისს.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ქართული ტრადიციული ეროვნული ხალხური მუსიკალური (არა ტემპერირებული) ინსტრუმენტების შესასყიდად 30 მაისს გამოცხადებული ტენდერის შედეგები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 30 მაისს ქართული ტრადიციული ეროვნული ხალხური მუსიკალური (არა ტემპერირებული) ინსტრუმენტების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოცხადდა ფანდური, ჩონგური, სალამური, დოლი, ჩანგი, ჭუნირი, დიპლიპიტო - შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი".

# იმპერატორი ხიროხიტო



ერთი კვირაა, იაპონიაში მიმდინარეობს ალექსანდრ სოკუროვის ფილმის "მზეს" ჩვენება. მასში გადმოცემულია იმპერატორ ხიროხიტოს პირველი თვეები ამერიკული ოკუპაციის 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ფილმის ჩვენება ჯერჯერობით ორ კინოთეატრში მიმდინარეობს - ტოკიოში და ქალაქ ნაგოიაში. კომპანია Slow Learner-ის ხელმძღვანელის მიტიო კოსიკოს თქმით, ფილმის წარმატების შემთხვევაში მისი ჩვენება დაგეგმილია 25 კინო-თეატრში, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ინტერვიუ, რომელიც კოსიკომ ფილმის ჩვენების დაწყების წინ მისცა ერთ-ერთ გაზეთს, აღნიშნა - "იმისათვის, რომ ფილმი ეკრანზე გამოსულიყო მის ორგანიზატორებს მოუხდათ ნებართვის აღება ქვეყნის მთავრობისგან და ნაციონალური ჯგუფებისგან. ისინი გარკვეული ექსცესების გამო იკავებდნენ თავს და გადაწყვეტილების მიღება უჭირდათ".

1990 წელს ქალაქ ნაგასაკის მერი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ყოფილი იმპერატორი ომში მონაწილეობის პასუხისმგებლობას ატარებს, რის შემდეგაც მას ესროლა და დაჭრა რადიკალური ჯგუფის წარმომადგენელმა. დღემდე იაპონიაში იკრძალებოდა ფართო საუბარი და კომენტარების გაკეთება ხიროხიტოს როლის შესახებ, მისი პოზიციის დაფიქსირება ქვეყნის და ომის შესახებ. ფილმი "მზე" სოკუროვის ტრილოგიის მესამე ნაწილია: 1999 წელს გამოვიდა მისი ორი ფილმი; პირველი ჰიტლერის, ხოლო მეორე ლენინის შესახებ. როგორც რეჟისორმა აღნიშნა, ეს არ არის არც დოკუმენტური და არც პოლიტიკური ფილმი, მას ხიროხიტო აინტერესებდა როგორც პიროვნება. ფილმში იმპერატორის როლს ასრულებს იაპონელი მსახიობი ისეი აგატა, რომელიც, როგორც კინემატოგრაფისტებმა აღნიშნეს, სრული პასუხისმგებლობით თამაშობს. რეჟისორმა შეარჩია მარტოსული ადამიანი, რომელიც ცდილობს, დაუმტკიცოს ყველას ქვეყნის სიყვარული და აჩვენოს, რომ ის ისეთივეა, როგორც ყველა და არა "ცოცხალი ღმერთი". ფილმი ხიროხიტოს შესახებ იაპონიაში, იმპერატორის კარის მმართველის ტომოხიკო ტომიტას გარდაცვალების შემდეგ გამოვიოდა. იგი წინააღმდეგი იყო აეგოთ ტაძარი, სადაც დაკრძალული იქნებოდნენ ისინი, ვისაც განაჩენი გამოუტანეს ტოკიოს ტრიბუნაზე, ითვლებოდნენ ომის დამნაშავეებად და ვინც სასამართლო პროცესების დროს გარდაიცვალნენ. როგორც ცნობილია, ამ ტაძარში დაახლოებით 2 მილიონი იაპონელი სამხედროა დაკრძალული - "ვინც დაეცა იმპერატორისთვის და დიადი იაპონიისთვის". ომის დამთავრების შემდეგ ხიროხიტო იასუკუნში რვაჯერ იმყოფებოდა, ბოლოს 1975 წლის ნოემბერში.

# უძველესი მუმიის სახე



წლების განმავლობაში მთელი მსოფლიო ცდილობდა აეხსნა უძველესი მუმიების საიდუმლო, რომელნიც კარგად არიან შეფუთულნი. პირველი და უმთავრესი კითხვა იყო, როგორ ჩაეტრებინათ სრულყოფილი გამოკვლევა, რომ ასაკი და სიკვდილის მიზეზი დაედგინათ, ისე რომ არ გაეფუჭებინათ ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატი. ჩატარდა ბევრი გამოკვლევა, თუმცა არა სწორი გზით.

ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, რომელთა შესახებაც ადრე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, შესაძლებელი გახდა გაეგოთ მუმიის საიდუმლო. ოქსფორდის მუზეუმის ეგვიპტოლოგებს მოსვენებას არ აძლევდათ ბავშვის მუმია, რომელიც დაახლოებით 115 წელზე მეტი ინახებოდა მათთან. მათ მოიწვიეს ერთ-ერთი ადგილობრივი კლინიკის ექიმები. მათ დახმარებისთვის ტომოგრაფის და კომპიუტერულ პროგრამას 3D მიმართეს, რომლის საშუალებითაც მუმიის გაუხდელად მოხდა მისი გაშიფვრა. შედეგად კი მიიღეს 4-დან 7 წლამდე ბიჭი, რომელიც პნევმონიით იტანჯებოდა და მისი სიკვდილის მიზეზიც გახდა. აგრეთვე ბავშვის სხეულზე აღმოაჩინეს მეტალის ნაწილები, რაც იმას აღნიშნავს, რომ იგი არ განეკუთვნებოდა არც ფარაონების წარმომავლობას და არც ცნობილი და შეძლებული ოჯახის წარმომადგენელს. აგრეთვე, როგორც ცნობილი გახდა, ბავშვი გარდაიცვალა ზუსტად 2 ათასი წლის წინ და დაკრძალული იყო საერთო სასაფლაოზე კაიროდან 80 მილის მოშორებით. მისი მუმია აღმოჩენელი იქნა 1988-1989 წლების ზამთარში, ფლინდერს პეტრის ექსპედიციის დროს, რომლის დამსახურებაც ბრიტანულ არქეოლოგიაში მთელ ეპოქას შეადგენს. თუმცა ოქსფორდის კლინიკისთვის ეს არ არის ყველაზე ძველი პაციენტი, ის ცოტათი ცდება დინოზავრებს, რომლებიც ცხოვრობდნენ 130 მილიონი წლის წინ და რომელთა გამოკვლევაც რამდენიმე წლის წინ მიმდინარეობდა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერსGლერმონტოვის ქუჩის (ნურიგელის ტბიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე) სანიაღვრე კოლექტორის რექონსტრუქციის, ინასარიძის ქუჩის N6, 8, 10-ში საცხოვრებელ სახლებთან მიმდებარე ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის მოწყობის, ჯავახიშვილის ქუჩის სახლების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის, ბესიკის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის (26 მაისის ქუჩიდან გ. ბრწყინვალეს ქუჩამდე), პარიზის კომუნის ქუჩის, იოსელიანის ქუჩის, 26 კომისრის ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის, ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთაში საცხოვრებელი კვარტლის სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქციის, ლ. ასათიანის ქუჩის (ურეხის ქუჩის შესახვევიდან ბაგრატიონის ქუჩამდე), ოსტროვსკის ქუჩის (26 მაისის ქუჩიდან ს. ხიმშიაშვილის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ლერმონტოვის ქუჩის (ნურიგელის ტბიდან ჭავჭავადძის ქუჩამდე) სანიაღვრე კოლექტორის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

**ლოტი N2** ინასარიძის ქუჩის N6, 8, 10-ში საცხოვრებელ სახლებთან მიმდებარე ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის მოწყობის, ჯავახიშვილის ქუჩის სახლების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის, ბესიკის ქუჩის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის (26 მაისის ქუჩიდან გ. ბრწყინვალეს ქუჩამდე), პარიზის კომუნის ქუჩის, იოსელიანის ქუჩის, 26 კომისრის ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ლოტი N3** ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთაში საცხოვრებელი კვარტლის სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქციის, ლ. ასათიანის ქუჩის (ურეხის ქუჩის შესახვევიდან ბაგრატიონის ქუჩამდე), ოსტროვსკის ქუჩის (26 მაისის ქუჩიდან ხიმშიაშვილის ქუჩამდე ) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 22 აგვისტოდან 2006 წლის 23 აგვისტომდე 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 22 აგვისტოს 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

**6**. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია სამი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**I.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **მობილური შესადუღებელი დანადგარების (სამი ერთეული)** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

**1. სამუშაო რეჟიმი - მრავალფუნქციონალური, კერძოდ:**

1.1. შედუღება ელექტროდებით სტაბილიზებული დენის წყაროზე (მაქსიმუმ 1/4" ზომის ელექტროდი);
1.2. შედუღება ვოლფრამის ელექტროდით ინერტული აირის თანაობისას;
1.3. შედუღება მეტალის ელექტროდით ინერტული აირის თანაობისას ;
1.4. შედუღება მავთულით სტაბილიზებულ ძაბვაზე (მაქსიმუმ 3/32" დიამეტრიც მავთული);
1.5. თაღოვანი ზედაპირული ჭრა ;
1.6. შედუღება ფლუსით.

**2. ძირითადი პარამეტრები**

**2.1. ნომინალური სიმძლავრე**
დენის ძალა/ძაბვა/მაქსიმალური დატვირთვა: **400 ამპ / 36 ვ / 100%**
**450 ამპ / 32 ვ / 100%**

**2.2. წარმადობა:**

**2.2.1.**მუდმივი დენი **- 30-500 ამპ**
2.2.2.მილების ჭრისათვის გამომუშავებული დენის ძალა **- 40-300 ამპ**
2.2.3.ვოლფრამის ელექტროდით არგონ-თაღოვანი შედუღებისათვის საჭირო მუდმივი დენი **- 20- 250 ამპ**
2.2.4.სტაბილიზებული ძაბვა: **- 14- 36 ვოლტი**
2.2.5.წარმადობა (ცვალებადი დენი 3-ფაზა): **19 კვტ** პიკური და **17 კვტ** მიმდინარე რეჟიმში
2.2.6.წარმადობა (ცვალებადი დენი 1-ფაზა): **12 კვტ** პიკური და **11 კვტ** მიმდინარე რეჟიმში
2.2.7.სავარაუდო მაქსიმალური წონა: არაუმეტეს **600 კგ-სა**
**2.2.8.**ძრავის ხმაური - არაუმეტეს **100 dBA Lwa,**

**3. ძრავის მახასიათებლები**

**3.1.** სიმძლავრე: არანაკლებ **24კვტ/32ც,ძ.;**
3.2. ბრუნების რიცხვი - არანაკლებ **1800 ბრ/წთ;**
3.3. საწვავის ხარჯი: დაახლოებით **4-5 ლ/სთ** 100% (400 ამპ) დატვირთვისას, **1-2 ლ /სთ** დაბალ ბრუნებზე მუშაობისას;
3.4. საწვავი: **დიზელის**

**4. დამატებითი მოთხოვნები:**
**დანადგარი აღჭურვილი უნდა იყოს:**

4.1. ძაბვის (ღია წრედული ძაბვა) შემცირების მექანიზმით ელექტროდული შედუღების დროს;
4.2. მობილური პლატფორმით ავტომანქანაზე მისაბმელი მოწყობილობით გადასაადგილებლად;
4.3. ნაპერწკლოვანი განმმუხტველით;
4.4. როზეტების ნაკრებით (120 ვტ/15 ამპ და 120/240 ვტ, 50 ვტ);
4.5. შესაბამისი რაოდენობის ზეთის, საწვავის და ჰაერის ფილტრების მარაგით 1,5 წელზე გათვლით.

**5. დამატებითი მოწყობილობა (მხოლოდ ერთი დანადგარისათვის!!!):**

5.1. მავთულის ავტომატური მიწოდების მექანიზმი მეტალის ელექტროდითა და ფლუსით ჭრისათვის
5.2. პლაზმური მჭრელი ცვალებად დენზე (როგორც 3-ფაზიან, ისე 1-ფაზიან დენზე)

**6. დაადგარებს უნდა გააჩნდეს მწარმოებლის ან მიმწოდებლის მინიმუმ ერთ-წლიანი გარანტია.**

**II**. მიწოდების სასურველი ვადაა 30 დღე. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. დასაშვებია, აგრეთვე აღნიშნულ ვადაში საქონლის ეტაპობრივი მოწოდება.

**III.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **22 აგვისტოს 17:00** საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**IV.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 220101502.

**V.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **23 აგვისტოს 10 სთ-დან - 1500 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**VI.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**1.** იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**2.** ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) გადასახადის გადამხდელის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
გ) პირადობის მოწმობის ასლი.

**VII.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ზურაბ ღონღაძე, ტელ/ფაქსი; 93 28 25, ელ.ფოსტა: **z**, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

*სატენდერო კომისია*

## მოკლედ

### ახალი ფილმი

ახალგაზრდა რეჟისორმა გელა ბაბლუანმა, რომლის სადებიუტო ფილმი "13" საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზიორი გახდა, მეორე ფილმზე მუშაობა დაასრულა. ფილმი სახელწოდებით "მემკვიდრეობა", 26 წლის რეჟისორმა მამასთან, მსახიობ თემურ ბაბლუანთან ერთად გადაიღო. ფილმში მთავარ როლებს სილვი ტესტი, სტანისლავ მერჰარა და გიორგი ბაბლუანი შეასრულებენ. ეს უკანასკნელი თემურ ბაბლუანის მეორე ვაჟია, რომლის სამსახიობო დებიუტიც გელა ბაბლუანის "13"-ში შედგა. იგი დღემდე პარიზში თეტრალური კურსების მსმენელია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### ერმიტაჟიდან დაკარგული ექსპონატები

სახელმწიფო ერმიტაჟიდან დაკარგული ექსპონატების საერთო ღირებულება 130 მილონ რუბლად შეფასდა. ამის შესახებ ნათქვამია ერმიტაჟის ოფიციალურ ვებგვერდზე პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ინფორმაციის თანახმად, 221 ექსპონატის დაკარგვა შეამჩნიეს ექსპონატების გეგმიური შიდა შემოწმების დროს.

"საუბარია, რუსული საიუველირო ხელოვნების ძეგლებზე, ძირითადად მინანქარზე",-ნათქვამია განცხადებაში.

ერმიტაჟის ექსპონატების შემოწმება შესაბამისი გრაფიკის საფუძველზე ხორციელდება, რომელსაც კულტურის სამინისტრო ამტკიცებს.

შემოწმების შედეგები რეგულარულად წარედგინება კულტურისა და კინემატროგრაფიის ფედერალურ სააგენტოს. შემოწმების დასაწყისში მოულოდნელად სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა დაკარგული ექსპონატების მცველი.

"სხვა მცველის მიერ ექპონატების შემოწმების გაგრძელების შედეგად, აღმოჩნდა და დადგინდა, რომ კოლექციას აკლდა ექსპონატების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფაქტის დადგენისთანავე ინფორმაცია მიეწოდა შესაბამის ორგანოებს, დაიწყო გამოძიება",-ნათქვამია პრესცენტრის განცხადებაში.

ერმიტაჟის პრესცენტრში ექპონატების დაკარგვასთან მუზეუმის თანამშრომლების კავშირს ადასტურებენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# არ გინდათ? ნუ გინდათ!

## ერიკ კლეპტონის კონცერტი მოსკოვის მერიის გადაწყვეტილებით ჩაიშალა

1987 წლის მაისში გერმანელმა მატიას რუსტმა თავისი პატარა თვითმფრინავით ნახევარი ევროპა გამოიარა, საბჭოთა კავშირის საზღვარი გადმოლახა და წითელ მოედანზე ზედ ლენინის ცხვირწინ დასკუპდა. დღეს კი, დემოკრატიული წყობილების რუსეთის დედაქალაქში სრულიად მშვიდობიანი მიზნით, მათივე მოქალაქეების გასართობად თვით ერიკ კლეპტონი ვერ ჩასულა და ვერ უმღერია!



უკვე მეორე დღეა ერიკ კლეპტონის კონცერტის ბილეთების ბედნიერი მფლობელები კვლავ სალაროებთან ჩამწკრივდნენ, თუმცა ამჯერად ყველაფერი უკუღმა რეჟიმში მიმდინარეობს: მოლარეები ბილეთებს მოქალაქეებისგან ყიდულობენ ანუ უკან იბარებენ. უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ერიკ კლეპტონის კონცერტი მოსკოვში აღარ გაიმართება. მიზეზი კი რაღაც საბჭოურ-იმპერიალისტურია - მოსკოვის მთავრობამ არ მოინდომა, რომ მუსიკოსს წითელ მოედანზე ჩაეტარებინა კონცერტი, უბრალოდ ასე ისურვა და მორჩა! რომ ეთქვათ, ხმაური ლენინს შეაწუხებსო, მოხუცდა და ადრინდელივით ველარ არის ჯანზეო, ხმას არ ამოვიღებდით, მაგრამ კონცერტის ასე უმიზეზოდ ჩაშლა რუსებისგანაც კი გასაკვირია.

3 აგვისტოს ერიკ კლეპტონი თავისი კარიერის უკანასკნელ კონცერტს გეგმავდა. როგორც მუსიკოსის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზეა აღნიშნული, იგი სამუდამოდ წყვეტს საკონცერტო მოღვაწეობას და ბოლო აკორდისთვის თავად ამოირჩია რუსეთის დედაქალაქი. ახლა კი გეგმები შეიცვალა და 3 აგვისტოს ჰელსინკელი მსმენელისთვის დაუკრავს.

რუსულ პრესაში უკვე გამოჩნდა რამდენიმე ვერსია, რომელთა თანახმადაც, კლეპტონს წითელი მოედნის ნაცვლად იქვე მდებარე ვასილიევის დაღმართი შესთავაზეს. კომპანიამ, რომელსაც კონცერტის ტექნიკურად გამართვა ევალებოდა, ორი დღის წინ აპარატურაც მიიტანა და მონტაჟი დაიწყო, მაგრამ მათ ტერიტორიის გასუფთავებისკენ მოუწოდეს. როგორც გაირკვა, კლეპტონის მენეჯერებმა კონცერტის ადგილის თვითნებურად შეცვლის შესახებ შეიტყვეს და მოსკოვში სტუმრობაზე საერთოდ განაცხადეს უარი.

არადა, წითელ მოედანთან დაკავშირებით ყველაფერი მოლაპარაკებული იყო. მოსკოვის მერიას კლეპტონის მენეჯერების თხოვნაზე კონცერტი წითელ მოედანზე ჩატარებულიყო თავიდან უარი არ უთქვამს. მით უმეტეს, რომ ამ ადგილას ხშირად იმართება მსგავსი ღონისძიებები და შარშან პოლ მაკარტნიმაც აქ იმღერა.

კლეპტონის მენეჯერები მომხდარზე მსუბუქ კომენტარს აკეთებენ და ამბობენ, რომ ყველაფერში მოსკოვის მერიაა დამნაშავე. თავის მხრივ, პასუხისმგებლობას იხსნის მერია, რომლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკითხი სულ სხვა ორგანოს კომპეტენციაა - ამ შემთხვევაში პრეზიდენტის აპარატის. თუმცა პუტინის "ხალხმაც" ხელები გაასავსავა, ჩვენგან რაღა გინდათო და მომჩივანები ისევ მერიასთან გადაამისამართა და ზედ დაცვის ფედერალური სამსახურიც დაამატა.

სულ ესაა, რასაც რუსული მხარე ამბობს, თუმცა ეს იმაზე მეტია, ვიდრე თავად კლეპტონისგან ისმის. 61 წლის მუსიკოსი ჩუმადაა და მხოლოდ ჰელსინკის კონცერტზე აკეთებს კომენტარს: "ჰელსინკიში ჩემს მრავალწლიან საკონცერტო მოღვაწეობას დავასრულებ, ამიტომ ყველანაირად ვეცდები მსმენელს ჩემი შემოქმედების საუკეთესო ნაწილი შევთავაზო. მინდა, რომ ეს დღე არა მხოლოდ მსმენელისთვის, არამედ ჩემთვისაც დასამახსოვრებელი გახდეს". შეგახსენებთ, რომ ერიკ კლეპტონი მოსკოვში 2001 წელსაც იმყოფებოდა. ამ კონცერტის ჩანაწერი ცალკე ალბომად გამოიცა სახელწოდებით World Tour 2001: Live In Russia.

ერიკ კლეპტონის ამბავი რუსეთში კონცერტის ჩაშლის პირველი შემთხვევა არ არის, თუმცა პირველად მოხდა, რომ ასეთი დონის მუსიკოსი კონცერტს ასეთი გაურკვეველი მიზეზით ვერ ატარებს. მაგრამ კარგ მუსიკას მონატრებული მსმენელითვის მიზეზებს მნიშვნელობა არ აქვს - მათ მხოლოდ მუსიკა სურთ. მით უმეტეს რუს მსმენელს, რომელსაც იმედგაცრუება წელს ისედაც არ აკლდა.

ივნისში სანკტ-პეტერბურგში Rolling Stones-ის კონცერტი გადაიდო, რის მიზეზადაც გიტარისტის კეიტ რიჩარდსის ავადმყოფობა იქცა - იგი პალმის ხიდან ჩამოვარდა და სერიოზულად დაშავდა.

პოლიტიკური ელფერი ჰქონდა ჯგუფ Kiss-ის წევრებს, რომლებმაც 1999 წელს დაგეგმილი კონცერტი ამერიკის მთავრობის გაფრთხილების შემდეგ გადადეს. იმ პერიოდში "ნატო" სერბიაში საომარ მოქმედებებს ახორციელებდა და ჯგუფი რუსების მხრიდან შესაძლო პროვოკაციებით შეაშინეს.

2001 წლის სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მოსკოვში გამგზავრებაზე უარი განაცხადა რიჩი ბლეკმორმა, რომელმაც თავისი საქციელი თვითმფრინავით მგზავრობის შიშით ახსნა.

**P.S.** ისე, ჩვენც გვაქვს მოედნები... მერიც კარგი ბიჭია...


## განცხადება

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამოცხადებულ ტენდერებზე ხელშეკრულებები გაფორმდა:

1. ტენდერზე "ტრანსფორმატორების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა" (T-0306-G-0157) ლოტი №1-ის, ლოტი №2-ის და ლოტი №3-ის მიხედვით - სს "ენერგოსერვისთან";
2. ტენდერზე "კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა" (T-0406-G-0161) ლოტი №2-ის მიხედვით - ი/მეწ. "გიორგი კანდელაკი ვესტასთან";
3. ტენდერზე "ავარიული სიგნალების მიკროპროცესორული რეგისტრატორების შესყიდვა" (T-0506-G-0199) - შპს "საქენერგოკომპლექტთან";
4. ტენდერზე "სილიკაგელის, ცეოლიტის და ფილტრის ქაღალდის შესყიდვაზე" (T-0506-G-0177)

ლოტი №1-ის მიხედვით სილიკაგელის შესყიდვაზე - შპს "ინჟტექსერვისთან".

ლოტი №2-ის მიხედვით ცეოლიტის შესყიდვაზე - შპს "საქენერგოკომპლექტთან".

## განცხადება

2006 წლის 27 ივლისს შპს "საქაერონავიგაციის" მიერ ბათუმსა და ფოთში შპს "საქაერონავიგაციის" კუთვნილი ობიექტების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაცვის (უსაფრთხოების) სისტემებით აღჭურვის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შესახებ გაიპარა უზუსტობა, რის გამოც ნაცვლად არსებული თარიღებისა მითითებული უნდა იყოს შემდეგი:

1. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 21 აგვისტოს 16 საათამდე.
2. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 აგვისტოს 10 საათიდან 21 აგვისტოს 16 საათამდე.

*სატენდერო კომისია*

## შ.პ.ს. "ელიტელექტრონიკსი" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში სავაჭრო-საქმიანი შენობის ესკიზურ პროექტზე

კონკურსის მიზანია, ქ. ბათუმის ცენტრში (ყოფილი უნივერმაღის ადგილას) ახალი თანამედროვე სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად საუკეთესო არქიტექტურული წინადადების შერჩევა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალიწინებულია (ექვივალენთი ლარებში) :

**ერთი პირველი პრემია 5000 აშშ**
**ერთი მეორე პრემია 3000 აშშ**
**ერთი მესამე პრემია 1000 აშშ**

საკონკურსო პირობების გაცემა 01.08.06 - 15.08.06
საკონკურსო მასალების ჩაბარება 20.10.06 18სთ-მდე
მისამართი - "დიზაინცენტრი" ირ. აბაშიძის ქ. 41 თბილისი
"ელიტელექტრონიქსი" გამსახურდიას ქ, 47 ბათუმი

დამატებითი ინფორმაციისთვის
საკონტაქტო ტელ: **25-10-22 877 40-60-99**
ელ-ფოსტა: designcenter@mail.ru

## განცხადება

### გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მეფუტკრეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად.

1. მომშენებლობა-სელექციის და ბიოტექნოლოგიის განყოფილების გამგე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი).
2. ფუტკრის დაავადებათა და საკვები ბაზის შემსწავლელი განყოფილების გამგე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი).

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მპოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. დასაკავებელი თანამდებობების შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
5. ერთი სამეცნიერო ნაშრომის / სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს (კვლევის უნარს);
6. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);
7. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონს განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
8. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ბ) პატენტები;
გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;
დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;
ე) სტრუქტურული ერთეულების განვითარების სტრატეგიული ხედვა;
ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

საბუთები მიიღება 2006 წლის 2 აგვისტოდან ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 16 საათამდე მეფუტკრეობის ინსტიტუტის ადმინისტრაციაში თბილისი, ოქროყანა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 1 სექტემბერი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 11 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ.: 93-23-63.

პასუხისმგებელი პირები ვ. ღვინიაშვილი და ბ. წითლიძე.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს მოძრავი შემადგენლობის ამოსაყვანი ბუნიკების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სალოკომოტივო მოწყობილობის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | 1 |
|---|---|
| საქონლის დასახელება | მოძრავში შემადგენლობის ამოსაყვანი ბუნიკი |
| განსაკუთრებული თავისებურება | ტიტანის სხმული.<br>კონსტრუქციის ზომები:<br>სიგრძე - 1225 მმ<br>სიგანე - 736 მმ<br>სიმაღლე - 260 მმ<br>კომპლექტაცია:<br>1. ბუნიკის ასაგორებელი (მარჯვენა) 03.010 - 1 ც<br>2. ბუნიკის ასაგორებელი (მარცხენა) 03.020 - 1 ც<br>3. ქანჩი მ-24 - 4 ც<br>4. საყელური - 4 ც<br>5. ჭანჭიკი მ-24X29 - 4 ც<br>6. პირაპირის ორთავიანი ზედი - 2 ც<br>7. სარჭი 03.005 - 2 ც |
| ერთეული | წყვილი |
| რაოდენობა | 4 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი, ქავთარაძის №11ა;
4. მოწოდების სასურველი ვადა - მე-3 კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **24 აგვისტოს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვის მიზნით მ\წლის 23 ივნისს გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ჩატარდა მ/წლის 15 ივლისს 10 ლოტად, ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.

| ლოტი | რეგიონი | მერხების რაოდენობა (დაწყებითი) | მერხების რაოდენობა (საბაზო) | მერხების რაოდენობა (საშუალო) | გამარჯვებული |
|---|---|---|---|---|---|
| I | ქვემო ქართლი | 1345 | 915 | 465 | შპს "დოგუშ სქულ ექიფმენტ კომპანი" |
| II | კახეთი | 2340 | 1485 | 795 | შპს "დოგუშ სქულ ექიფმენტ კომპანი" |
| III | შიდა ქართლი | 2255 | 1360 | 705 | შპს "დოგუშ სქულ ექიფმენტ კომპანი" |
| IV | მცხეთა-მთიანეთი | 1145 | 715 | 495 | შპს "დოგუშ სქულ ექიფმენტ კომპანი" |
| V | იმერეთი | 2740 | 1855 | 980 | სს "ივერიამშენი" |
| VI | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2195 | 1370 | 975 | სს "ივერიამშენი" |
| VII | გურია | 1005 | 590 | 340 | სს "ივერიამშენი" |
| VIII | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 525 | 350 | 255 | სს "ივერიამშენი" |
| IX | სამცხე-ჯავახეთი | 1255 | 755 | 450 | სს "ივერიამშენი" |
| X | აჭარა | 265 | 185 | 90 | სს "ივერიამშენი" |
| | ჯამი | 15070 | 9580 | 5550 | |

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ "2006/07 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა წასახალისებლად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 8 ივნისის N253 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს საჯარო სკოლებისთვის სასკოლო ჩანთების (პირველკლასელებისთვის) შეძენის მიზნით, მ\წლის 17 ივნისს გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ჩატარდა მ/წლის 10 ივლისს. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ბი-ემ-სი" და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ავტომანქანების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 27 ივლისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **ავტომანქანების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში, შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | მაღალი გამავლობის (ე.წ. ჯიპის) ტიპის ავტომანქანა | 1 ცალი |
| 2 | დაბალი გამავლობის (ე.წ. სედანის) ტიპის ავტომანქანა | 2 ცალი |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

## ცვლილებები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შ.პ.ს "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" მიერ 2006 წლის 7 ივლისის ლითონის მილების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში (გაზეთი "24 საათი" N150) სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა გაგრძელდეს 11 აგვისტოს 18:00 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ქეთევან ანთიძეს, ტელ.: 877 43 69 26.

*სატენდერო კომისია*

TV5MONDE

## 2 აგვისტო

06.00, 08.00, 09.00(კანადა) 12.00, 16.00(ბელგია) 16.00, 17.15, 20.00, 00.00, 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), 04.10 TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. 11.00, 14.00, 19.00, 22.30 TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 06.30 კლოდ ჟილის კვალდაკვალ. დოკ. ფილმი. 07.30 ქრონიკები მთიდან. 08.30 ტელედილა. 10.30 ბიგუდი. ტელესერიალი. 11.05 ჩვენი ბაღი. 12.15 მობუტუ, ზაირის მეფე. დოკ.ფილმი. 14.30 ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი .ეპიზოდი 28. 16.25 ფელიქს ლეკლერკი. სერიალი. რეჟისორი კლოდ ფურნიე. 2005. 18.30 კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. 19.05 ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. 20.30 გადაცემა: ფორტ ბოიარდი. 23.00 სტაფილოსფერთმიანი ბიჭი. მხ.ფილმი. რეჟისორი რიშარ ბორინგერი. 01.15 სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. 04.40 პოლიტიკური მკვლელობები. დოკ.ფილმი.

**ქირავდება 4930 მ² ფართი, საოფისე ფართი 230 მ², 3300 მ² ეზოთი, 800 მ² სასაწყობო ფართით, 600 მ² საწარმოო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

# სს"გაერთიანებული ქართული ბანკი" და ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია

ნინო ყიფიანი

"იქნება არც ერთ მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის" - იაკობ გოგებაშვილი.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების მკვლევართა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო დიდი ქართველი ერისკაცისა და მოაზროვნის, ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედიის შექმნაზე.

საყოველთაოდ ცნობილია ილიას როლი საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში. ბანკი, ქართველი ერის კონსოლიდაციისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. ილია ჭავჭავაძემ, შეიმუშავა ბანკის წესდების ახალი პროექტი, რომელიც 1872 წელს მოიწონა თბილისის გუბერნიამ და დაამტკიცა რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე. პირველმა ქართულმა ბანკმა, უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს შემდგომი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

პროექტის ხელმძღვანელისა და ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის რედაქტორის, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების უფროსის გიორგი აბაშიძის თქმით, გასული საუკუნის 90-იან წლებში "ქართულმა ენციკლოპედიამ", რომელსაც გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე - ირაკლი აბაშიძე ედგა სათავეში, წამოიწყო კიდეც ილიას ენციკლოპედიის მომზადებაზე მუშაობა, მისი პერსონალური ენციკლოპედიის შექმნის საჭიროების აუცილებლობის გამო. სამწუხაროდ, ქვეყანაში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე - ქართული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელი და წინამძღოლი. სულიერი მოძღვარი ქართული ერისა.

ილია - მწერალი, პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, რომლის შემოქმედებამ უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაში.

ილია - ჭეშმარიტად დიდი მასშტაბისა და დიაპაზონის მკვლევარი, რომლის ინტერესები და ენციკლოპედიური ცოდნა მეცნიერების მრავალ დარგს მოიცავდა. ილიას მოღვაწეობა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან უბანს სწვდებოდა და განმსაზღვრელ როლს ასრულებდა მათ წარმატებაში.

ილიას პრაქტიკული მოღვაწეობიდან კი, ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მისი, როგორც პირველი ქართული ბანკის დამაარსებლისა და ხელმძღვანელის როლი, - ბანკისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე 30 წელი ედგა სათავეში. მკვლევართა ჯგუფი, რომელიც ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის პროექტს ადგენს და მისი მომზადების ორგანიზატორია, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებითაა დაკომპლექტებული, რომელნიც ილია ჭავჭავაძის შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორები არიან.

"ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის შექმნის აუცილებლობა საგანგებო დასაბუთებას არ საჭიროებას: ილია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს ცენტრალური ფიგურაა და საქართველოს ახალ ისტორიაში (და არა მარტო საქართველოს ახალ ისტორიში) არ მოიძებნება პიროვნება, რომლის სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის არეალი ეგზომ ვრცელი და მრავლისმომცველი ყოფილიყოს, როგორც ილია ჭავჭავაძისა, ხოლო ამ მოღვაწეობის შედეგები - ესოდენ დიდმნიშვნელოვანი მშობელი ქვეყნის, მშობელი ერის საზოგადოებრივი, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების აღმავლობისათვის" - ამბობს ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის რედაქტორი - გიორგი აბაშიძე.

"გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა", რომელიც ყოველთვის მსგავსი კეთილშობილური პროექტების ხელშემწყობი და მხარდამჭერია, ამჯერადაც გადაწყვიტა, ამ, მეტად საჭირო და აუცილებელი პროექტის გენერალური სპონსორი გამხდარიყო. თანხა, რომლითაც დაფინანსდება პროექტი, საიმედო გზას გაივლის და ქართველებისათვის ესოდენ საამაყო და საყვარელი ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ჩაირიცხება.

"გაერთიანებული ქართული ბანკი" წარმატებას უსურვებს ლიტერატურის ინსტიტუტის პროექტზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფს ამ უაღრესად დროულ და აუცილებელ საქმეში.

# საფრანგეთის მე-17 ფესტივალი

საფრანგეთში, ქალაქ დის მეჩვიდმეტე აღმოსავლეთ-დასავლეთის ფესტივალი 15-24 სექტმბერს საფრანგეთში გაიმართება.

**ფესტივალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კულტურასა და ყოფას მიეძღვნება.**

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცნობილი სახეების გარდა, მას ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები რუსეთიდან და ჩეჩნეთიდანაც დაესწრებიან.

ფესტივალზე ქართული მხარე თენგიზ აბულაძის "ვედრებას", გიორგი შენგელაიას "ფიროსმანს", გელა ბაბლუანის "მემკვიდრეობას", ლანა ღოღობერიძის "ინტერვიუს პირად საკითხებზე" და ნინო კირთაძის "კავკასიის წმინდა წყლების დრაკონს" წარადგენს.

მხატვრული ლიტერატურის სექციაში ფრანგული პუბლიკა გიორგი ეკიზაშვილის, მალხაზ ხარბედიასა და ომარ თურმანაულის შემოქმედებას გაეცნობა.

ქართულ თანამედროვე და ვიზუალური ხელოვნებას ფოტოხელოვანის, გურამ წიბახაშვილის, ასევე ირინა აბჟანდაძის, ნათია წულუკიძისა და სოფიკო ტაბატაძის ნამუშევრები წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალი მხოლოდ კულტურული ღონისძიებით არ შემოიფარგლება. არსებობს სპეციალური ნაწილი, "მრგვალი მაგიდა", სადაც საზოგადოების ცნობილი სახეები მიიღებენ მონაწილეობას. "ფერადი რევოლუციების", სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიისა და კორუფციის თემაზე "საქართველოს გზისა" და "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერები, სალომე ზურაბიშვილი და თინა ხიდაშელი ისაუბრებენ. ფესტივალზე მოწვეულ სტუმრებად საქართველოდან შოთა იათაშვილი, გასტონ ბუაჩიძე, გიორგი შარაშიძე გაემგზავრებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 19.16.382

"25" ივლისი 2006 წ.

**ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 10 იანვრის N01.50.46 დადგენილებით საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ნება დაერთო რიყის ტერიტორიაზე საქართველოს ტელეკომის სალაპარაკო პუნქტის მოსაწყობად. ამავე დადგენილების შესაბამისად კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დაევალა საერთაშორისო სალაპარაკო პუნქტის პროექტის შეთანხმება არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტთან.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 10 იანვრის N01.50.46 დადგენილებით მე-2 ნაწილით დადგენილი პირობის კაბინეტის 1997 წლის 10 იანვრის N01.50.46 დადგენილების შესრულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავი, 115-121-ე მუხლები), ხოლო იმავე კოდექსის მე-61 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 10 იანვრის N01.50.46 დადგენილებით საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს რიყის ტერიტორიაზე საქართველოს ტელეკომის სალაპარაკო პუნქტის მოწყობისათვის ნებართვის მიცემა, თავისი თანმდევი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, სწორედ სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-53-ე მუხლების, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, 85-ე, 95-ე, 99-ე, 115-ე, 116-ე, მუხლების და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22 მუხლის მე-3 ნაწილისა და "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის -ქ. თბილისის მერიის დებულების 64-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად,

**ქალაქ თბილისის მთავრობა ადგენს:**

1. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 10 იანვრის N01.50.46 დადგენილების შესრულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება;
2. ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეებად მოწვეულ იქნენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით ყველა დაინტერესებული მხარე.
3. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:
   a) წინამდებარე დადგენილების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება და დაინტერესებულ მხარეთათვის გადაგზავნა (გადაცემა);
   b) დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად;
4. წინამდებარე დადგენილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

**ქ. თბილისის პრემიერი თ. ქურხული**
**შეთანხმებულია გ. მელაძესთან**
**ს. სისაურთან**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06; 893 65 38 39**



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
# ბიზნესი
© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### დიდი Mini-რევოლუცია

საავტომობილო კონცერნი BMW ოფიციალურ პრემიერას არ ელოდება და ახალი თაობის MINI ავტომობილის შესახებ ინფორმაციასა და ფოტოებს აქვეყნებს. ახალ ავტომობილს მისი წინამორბედებისგან უნიკალური გარეგნული იერსახე და ტექნიკური უპირატესობები გამოჰყვა.

MINI-ავტომობილის გარეგნულ იერსახეში მართლაც რომ არ შეინიშნება რადიკალური ცვლილებები. ყოველმა დეტალმა დროისა და პრაქტიკულობის შესაბამისად მოდერნიზება გაიარა, თუმცა ძირითადი ფორმები თითქმის ისეთივეა, როგორც ეს ნახევარი საუკუნის წინ იყო. “რევოლუციური ექსტერიერი და რევოლუციური ინტერიერი” - ასე ხსნიან ცვლილებებს თავად მწარმოებლები.

ახალი ავტომობილი კიდევ უფრო სპორტულია. ძარა რამდენიმე სანტიმეტრით დაგრძელდა, რისი წყალობითაც ავტომობილის შიდა სივრცე კიდევ უფრო გაიზარდა. სალონი არა მარტო შეიცვალა უკეთესობისკენ, არამედ უფრო პერსონიფიცირებული გახდა. მფლობელს სურვილისამებრ შეუძლია, შეცვალოს ფერები.

ასე რომ, ახალი BMW MINI სრულიად ახალი ავტომობილია. ძრავა, მუხრუჭი, უსაფრთხოების სისტემა, ფაქტობრივად, ნულიდან შეიქმნა.

მას ბენზინის ოთხცილინდრიანი ძრავა და დამატებით ტრუბადიზელური ვარიანტიც ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ BMW MINI-ის შესახებ თითქმის ყველაფერი ცნობილია, მისი ოფიციალური პრეზენტაცია პარიზის ავტოსალონში სექტემბერში შედგება.

## რა სიახლე ელოდება ბიზნესს ახალ საგადასახადო რეჟიმში

### მეზაჟემ გადაწყვეტილება ერთ საათში უნდა მიიღოს

თინა შავაძე

*საქართველოში საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მიმდინარე წლის სექტემბერში, ქვეყანაში ახალი საბაჟო კოდექსი და ახალი ტარიფები ამოქმედდება. მაგრამ, ცნობილია, რომ ყველა სიახლეს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. საბაჟო ტარიფების შემცირება უარყოფით გავლენას მოახდენს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე. "24 საათთან" საუბარში ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი ამბობს: "აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, ჩვენი პროგნოზით, ბიუჯეტს წლის ბოლომდე საგადასახადო შემოსავლების ნაწილში (დღგ-ს სახით) დაახლოებით 20 მილიონი ლარით შეამცირებს. მაგრამ მიგვაჩნია, რომ საბაჟო ტარიფების შემცირება და, ხშირ შემთხვევაში, მათი განულება - ეს არის ეკონომიკური სტიმულირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. გაიზრდება კომპანიების აქტივობა, ისინი თავიანთ საქმიანობას გააფართოებენ, რომელიც საერთო ჯამში სხვა გადასახადების სახით შეავსებს ბიუჯეტის ამ დანაკლისს."*



*მთავრობა ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას, მაგრამ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას ელის.*

B2

## საქართველოში უმუშევართა რაოდენობა იზრდება

B2

## "ჯი პი აი ჰოლდინგი" ექიმთა სამედიცინო პასუხისმგებლობის დაზღვევას უზრუნველყოფს

B4

## დიდი დაბრუნება და ამბიციური გეგმები

მერაბ ლორთქიფანიძე

*იტალიური კომპანია “ალფა რომეო” აშშ-ს ბაზარს 2008 წელს დაუბრუნდება და პირველად იქ ძვირადღირებულ ავტომობილს შეიტანს, რომლის ფასი დაახლოებით 200 000 დოლარი ან მეტი იქნება. ამას მოჰყვება 2010 ან 2011 წელს აშშ-ში ერთბაშად სამი სხვადასხვა სერიული მოდელის შეტანა.*

კუპე “8c კომპეტიციონეს” დებიუტიდან ერთი წლის შემდეგ, აშშ-შივე შედგება ამ ავტომობილის ღია ვარიანტის, “8c სპაიდერის” დებიუტი. მილანელებს ყოველწლიურად მხოლოდ 500 ცალი “8c კომპეტიციონეს” წარმოება აქვთ დაგეგმილი, ამის ნახევარი კი აშშ-ში გაიყიდება.



B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3529 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9867 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4805 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7650 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8239 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1507 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3016 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3075 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2502 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4387 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3394 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1902 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1542 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2903 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1927 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2434 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4026 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5658 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1859 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4873 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3181 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2861 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5718 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5930 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1194 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4250 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5266 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4387 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4978 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8272 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1033 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1493 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2437 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4308 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0789 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2216 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2271 |




## "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" საჩუქარი აჭარელ სტუდენტებს

დიანა ჩაჩუა

*სტუდენტთა დასაქმების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოთქმული ინიციატივა, როგორც ჩანს, წარმატებით აიტაცა არამარტო თბილისმა, არამედ აჭარამაც. გუშინ ბათუმში კომპანია "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მაისურებში გამოწყობილი 50 სტუდენტი ხალისით შეესია შავი ზღვის სანაპიროსა და პარკებს და მათ დასუფთავებას შეუდგა. ორი თვის შემდეგ კი აჭარელი ახალგაზრდები ნანატრ პირველ ანაზღაურებასაც მიიღებენ.*





B4

### საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო აუქციონზე 1 მლნ ლარი განთავსდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამშაბათს 30-ე, 28-დღიანი სადეპოზიტო აუქციონი ჩაატარა, რომელზეც გამოცხადებული 3 მლნ ლარის საერთო მოცულობის თანხიდან ერთმა კომერციულმა ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკში დეპოზიტის სახით განათავსა 1 მლნ ლარი. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს სებ-იდან აცნობეს, თანხა წლიური 9-პროცენტიანი განაკვეთით განთავსდა. გარდა ამისა, სამშაბათს საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორისო საკრედიტო რესურსების 7-დღიანი 141-ე აუქციონი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სამმა კომერციულმა ბანკმა მიიღო (ორმა გამყიდველის და ერთმა მყიდველის სტატუსით). აუქციონზე შემდგარი გარიგებების საერთო თანხამ 1,4 მლნ ლარი შეადგინა და დაფიქსირდა წლიური 8 პროცენტი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### სსბ-ზე საქართველოს ბანკის" და "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) სამშაბათს გამართულ 58 (643)-ე სესიაზე სავაჭროდ წარმოდგენილი იყო 15 კომპანიის ფასიანი ქაღალდები, რომელთაგანაც გარიგება 2 კომპანიის აქციებზე დაიდო. გარიგებების რაოდენობა 37 იყო, მათმა მოცულობამ 24 563 აქცია შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ - 89 093 ლარი. სამშაბათის ვაჭრობაზე "საქართველოს ბანკის" (GEB) 76 638 ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა. წინა ვაჭრობასთან შედარებით, ბანკის აქციების საშუალო შეწონილი ფასი 2.09%-ით გაიზარდა და 15,288 ლარი შეადგინა. საქართველოს საფონდო ბირჟაზე სამშაბათს "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC) 12 454 ლარის ჯამური ღირებულების 19 550 აქცია გაიყიდა. წინა ვაჭრობასთან შედარებით, კომპანიის აქციების საშუალო შეწონილი ფასი 13.57%-ით შემცირდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### საფონდო ბირჟაზე "ფოთის გემთსაშენის" 2,623 მლნ ლარის ღირებულების აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟის (სსბ) სავაჭრო სისტემის მეშვეობით ერთი კვირის განმავლობაში სს "ფოთის გემთსაშენის" (POGM) აქციებზე 2 გარიგება დაფიქსირდა, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს საფონდო ბირჟიდან. საფონდო ბირჟის ინფორმაციით, გარიგებები ბირჟის გარეთ განხორციელდა, რაც ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაშვებულია. 26 ივლისს "ფოთის გემთსაშენის" 930 ათასი აქცია გაიყიდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ფასმა 1,8 ლარი შეადგინა, მათმა ჯამურმა ღირებულებამ კი - 1 674 000 ლარი. ორშაბათს გემთსაშენი ქარხნის 2 965 944 აქცია გაიყიდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ფასმა 0,32 ლარი შეადგინა, მათმა ჯამურმა ღირებულებამ კი - 949 102 ლარი. სსბ-ში აცხადებენ, რომ თუ გარიგება კომპანიის აქციათა 5-ზე მეტ პროცენტზე დაიდო, აქციათა ახალი მფლობელი 2 კვირის განმავლობაში გამოვლინდება. "ფოთის გემთსაშენის" კაპიტალიზაცია 12 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (დაახლოებით 21,18 მლნ ლარი). 1 კვირის განმავლობაში დაფიქსირებული გარიგებები, შესაბამისად, აქციათა 12,38%-ს შეეხო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### "ყაზტრანსგაზ-თბილისი" გაზის დანაკარგების შემცირებას გეგმავს

კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისი" 2011 წლისთვის ბუნებრივი გაზის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას აპირებს, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ქოიავამ. 2005 წელს, როდესაც გაზის მიღება 380,3 მლნ მ3-ს შეადგენდა, მისი დანაკარგი 57,4% იყო, რაც 57,9 მლნ ლარს უდრიდა. "თბილგაზის" ახალ მფლობელს განზრახული აქვს 2011 წლამდე დანაკარგების შემცირება მიღებული გაზის 10%-მდე. დანაკარგების შემცირებას კომპანია აღრიცხვიანობის მოწესრიგებით და გაზგამანაწილებელი სისტემის მოდერნიზაციით აპირებს. ქოიავას განცხადებით, როგორც კომერციული, ასევე ტექნიკური დანაკარგები დაახლოებით 73%-ით შემცირდება, რაც გამოიწვევს გაზის მიღების შემცირებას 15%-ით. სამაგიეროდ 32%-ით გაიზრდება ბუნებრივი გაზის მოხმარება - სამრეწველო კომპლექსის განვითარების, მოსახლეობაში გამათბობელი დანადგარების დამატებითი დამონტაჟებისა და ახალი აბონენტების გაზიფიცირების ხარჯზე. "ყაზტრანსგაზ-თბილისი", რომელმაც "თბილგაზში" 12,5 მლნ აშშ დოლარი გადაიხადა, 2011 წლამდე კომპანიაში 80 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### სექტემბერში ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა გაიმართება

ევროკავშირის, ჩინეთისა და დსთ-ს ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა “ტრანს ევრაზიის" კონფერენციის ფარგლებში მიმდინარე წლის სექტემბერში ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გაიმართება. ამის შესახებ სააგენტო “ტრენდს" ყაზახეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ ჯენის კასიმბეკმა შეატყობინა. “საუბარი ტრასეკას უნიკალურ სატრანსპორტო დერეფანზე გაიმართება, რომელიც ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ევროპის კონტინენტთან აკავშირებს," - განაცხადა ჯენის კასიმბეკმა. აღსანიშნავია, რომ ივლისში ასტანაში საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთისა და ჩინეთის სატრანსპორტო უწყებების ხელმძღვანელების მონაწილეობით “ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს" სარკინიგზო მარშრუტთან დაკავშირებით მსჯელობა გაიმართა.

# საქართველოში უმუშევართა რაოდენობა იზრდება

## ხელისუფლება სამუშაო ადგილებს ვერ ქმნის

ნინო ნატროშვილი

დღეს საქართველოში უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გლობალური პრობლემაა. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ უმუშევრობის დონე ჩვენს ქვეყანაში ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. 2003 წელს უმუშევრობამ 11,5 პროცენტი, 2004 წელს 12,6 პროცენტი, 2005 წელს 13,8 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება დასაქმების დონეს, აქაც კლება გვაქვს - 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 55,2 პროცენტს მიაღწია, ხოლო 2006 წლის პირველ კვარტალში 51,7 პროცენტამდე დაეცა.

ექსპერტები უმუშევრობის დონის ზრდას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებენ - კერძოდ, საუბრობენ სამუშაო ადგილების სიმცირეზე და დაუსაქმებელთა ინერტულობაზე. ისინი სამსახურს ნაკლები ენთუზიაზმით ეძებენ. თუმცა მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ ხელისუფლებას არ აქვს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის უნარი. ქვეყანაში არ იზრდება წარმოების მასშტაბები და, შესაბამისად, არ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. არსებობს მოსაზრება, რომ უმუშევართა დონის ზრდაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს შრომის ბაზრის და, განსაკუთრებით, შრომითი დანახარჯების ფორმირების ხასიათი. უმუშევრობის ბოლო მიზეზი შეიძლება იყოს მუშაკთა გათავისუფლების მაღალი დანახარჯები.

სტატისტიკური მონაცემებით, 2005 წელს (ცხრა თვის მიხედვით) ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1737.7 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 34 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 66 პროცენტი - თვითდასაქმებული.

2005 წელს უმუშევართა რაოდენობა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი კრიტერიუმებით შეფასების თანახმად, 6,9 პროცენტით გაიზარდა და 277.8 ათასი კაცი შეადგინა. შერბილებული კრიტერიუმების მიხედვით კი, უმუშევარი იყო 334.4 კაცი, რაც 3.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. უმუშევრობის დონე მკაცრი კრიტერიუმებით - 13,8 პროცენტს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმებით 16.1 პროცენტს გაუტოლდა, რაც იმით აიხსნება, რომ შერბილებული კრიტერიუმით უმუშევრად ითვლება დაუსაქმებელ ადამიანთა უფრო ფართო წრე. აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო მოხელეთა რიცხვი გასულ წელს 40 ათასი კაცით შემცირდა, ხოლო უმუშევართა რიცხვმა დაახლოებით 20 ათასი კაცით მოიმატა.

ექსპერტთა შეფასებით, დასაქმების კუთხით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა 40-60 წლის ადამიანებში. მათი უმეტესობა დაუსაქმებელია და არ ხდება მათი კვალიფიკაციის შეცვლა. საგულისხმოა ისიც, რომ საექსპორტო ბაზრის დაკარგვის ფონზე, ჩვენს წინაშე მდგარი უმუშევრობის პრობლემა სულ უფრო მწვავე ხდება, რადგან საწარმოებმა პროდუქციის შექმნის მასშტაბები შეამცირა და ამ ბიზნესში დასაქმებული ადამიანების სამსახურიდან დათხოვნა მოხდა.

სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული (1 მლნ 143 ათასი თვითდასაქმებულიდან 950 ათასი). მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის კლება 2005-2006 წლის პირველ ორ კვარტალში, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა და 8 პროცენტი შეადგინა. ეს ადასტურებს, რომ სამუშაო ადგილები თვითდასაქმებულ სექტორშიც მცირდება, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა.

### თბილისში "ფოლქსვაგენისა" და "აუდის" სათადარიგო დეტალების საწყობი გაიხსნა

სამშაბათს თბილისში დაიწყო ფუნქციონირება "ფოლკსვაგენისა" და "აუდის" ავტომობილებისა და სათადარიგო დეტალების რეგიონულმა საბაჟო საწყობმა, რომელიც საქართველოს, სომხეთისა აზერბაიჯანის ავტოდილერ კომპანიებს მოემსახურება. აღნიშნულ პროექტს, საქართველოში "ფოლკსვაგენის" კონცერნის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, "იბერია ბიზნეს ჯგუფში" შემავალი "კრეს ავტოჰაუსი" ახორციელებს. "კრეს ავტოჰაუსის" გენერალური დირექტორის ტარიელ ხეჩიკაშვილის თქმით, პროექტი არაორიგინალური, ფალსიფიცირებული სათადარიგო დეტალების ნაცვლად ხარისხიანი, ორიგინალური დეტალების მიწოდებასა და სერვისის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ხეჩიკაშვილის თქმით, "ფოლკსვაგენმა" საქართველოს ბაზარზე მრავალი ნოვაცია შესთავაზა თავის კლიენტებს, მათ შორის, მანქანების განვადებით გაყიდვა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# რა სიახლე ელოდება ბიზნესს ახალ საგადასახადო რეჟიმში

პირველი გვერდიდან

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არის ბიზნესზე ორინეტირებული ახალი საბაჟო კოდექსი, რადგან მისი მიზანია გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა (საგარეო ვაჭრობისა და ტრანზიტის მოცულობის გაზრდა) ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა (მოქნილი ადმინისტრირების მექანიზმით ბიზნესის კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა). რა გზით მოხდება ამ ამოცანების შესრულება?

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ანთელიძის განმარტებით, საბაჟო პროცედურების გამარტივება მოხდება განსაზღვრული წესების დამკვიდრებით. ეს წესებია: ერთი ფანჯრის პრინციპი; მკაცრად რეგლამენტირებული საბაჟო გაფორმების ვადა; ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დროს წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხის შემცირება; ლიცენზიის გაუქმება;

დღევანდელი მთავრობა ეკონომიკის რეგულირების ყველა სფეროში ცდილობს ერთი ფანჯრის პრინციპი დანერგოს. ვიზუალურად ეს არის ერთი დიდი დარბაზი, სადაც სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები ერთ კერძო პირს ემსახურებიან. ანთელიძის აზრით, საბაჟოს შემთხვევაში ერთი ფანჯრის პრინციპის მთავარი ხიბლი ის არის, რომ ექსპორტიორი ან იმპორტიორი კომპანიის წარმომადგენელს დოკუმენტების გაფორმების დროს ერთსა და იმავე მებაჟესთან ურთიერთობა აღარ მოუწევს, რაც კორუფციულ გარიგებას გამორიცხავს. თუ როგორ გაკეთდება ეს პრაქტიკულად, კოდექსის ამოქმედების შემდეგ, სულ რაღაც, ერთ თვეში გახდება ცნობილი.

აღნიშნულ ჩამონათვალში, ანთელიძის განმარტებით, **“ამ პროცედურების დაცვის დროს საკმაოდ მნიშვნელოვანია მკაცრად რეგლამენტირებული საბაჟო გაფორმების ვადა. როცა იმპორტიორი საბაჟო ორგანოს დეკლარაციას წარუდგენს, მაშინ მებაჟე ვალდებულია, თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და მასზე დადებითი, ან უარყოფითი გადაწყვეტილება ერთ საათში გამოიტანოს. თუ განკუთვნილ დროს მებაჟე გადააცილებს, მაშინ მას განსაზღვრული პასუხისმგებლობა დაეკისრება. ვფიქრობ, ასეთი სახის პროცედურის ამოქმედება ყველაზე ძნელი იქნება. მაგრამ ახლა ჩვენ ამ საკითხზე სერიოზულად ვმუშაობთ. გვსურს, ის არსებული ტექნიკური წინააღმდეგობა მოვხსნათ, რომელიც შეიძლება მებაჟეს შეხვდეს თავისი მოვალეობის შესრულების დროს."**

დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მებაჟე საქონლის













დათვალიერებასა და შემოწმებას იწყებს. ეს პროცედურაც მკაცრად განსაზღვრულ დროში ხდება - დეკლარაციის წარდგენის დღეს, ან არაუგვიანეს ორ დღეში. როცა საბაჟო კოდექსის კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ეს საკითხი ყველაზე დიდი დავის საგანი იყო. თუ იმპორტიორის მიერ წარდგენლ დეკლარაციაში მებაჟემ ეჭვი შეიტანა, მაშინ საქონლის სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოტვირთვა აუცილებელი ხდება. საქონლის დათვალიერების შემდეგ იპორტიორი თუ მართალი აღმოჩნდება, მაშინაც და სხვა შემთხვევაშიც ამ პროცედურის გავლის ხარჯებს ის ფარავს. პარლამენტის დეპუტატები ამ არასამართლიანი ნორმის კოდექსიდან ამოღებას მოითხოვდნენ, რაც მთავრობამ არ გაითვალისწინა.

რა სახით შემცირდება ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების დროს წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა? ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული პროცედურის დახვეწა. იმპორტის რეჟიმის დროს წარსადგენი საჭირო დოკუმენტების მოქმედი ნუსხა მოიცავს: საბაჟო გამშვებ პუნქტზე 10 სახის დოკუმენტის წარდგენას, რომელიც საბაჟო დეპარტამენტის პროექტით 6-მდე შემცირდება; საბაჟო გაფორმების ადგილზე წარსადგენი დკუმენტების ნუსხა კი 16-დან 8-მდე მცირდება. მსგავსი შემცირება ექსპორტის რეჟიმის დროსაცაა დაგეგმილი.

ახალი კოდექსით, გაუქმდება საბაჟო გადამზიდველისა და საბაჟო ბროკერის ლიცენზირება. მოქმედი კანონით, ყველა პირს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების უფლება ექნება. როგორც ირკვევა, ეს უფრო სატრანზიტო ტვირთს ეხება. ახლა ისინი საკუთარ პასუხისმგებლობას საბანკო გარანტიით დააზღვევენ, ანუ დეპოზიტზე განსაზღვრულ თანხას დადებენ, რომელიც ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში საბაჟო გადასახდელების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხება.

საბაჟო დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, დაგეგმილია საბაჟო სამსახურების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მიმდინარე წელს დაიწყო და მომავალ წელს დასრულდება საბაჟო სამსახურების საერთაშორისო დონის ტექნიკური აღჭურვა. მათ შორის, მშენებლობა-მოდერნიზაცია მოხდება: ყაზბეგის, სარფის, სადახლოს, ფოთის, ლაგოდეხის, გუგუთის, ნინოწმინდას, სამთაწყაროს საბაჟო გამშვებ პუნქტებში, ხოლო “აღმოსავლეთისა" და “დასავლეთის" რეგიონული საბაჟოს გაფორმების ადგილებს რემონტი ჩაუტარდება.

### ავტობუსების შემოსაყვანად გამართული ტენდერი ჩაიშალა

თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის მიერ, 57 ავტობუსის შემოსაყვანად, გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა. ტენდერის ჩაშლის მიზეზად

ტენდერში გამარჯვებული ფირმის მიერ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საჭირო თანხის წარუდგენლობა დასახელდა.

თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ინფორმაციით, გამოცხადდა ახალი ტენდერი, რომლის საკონკურსო პაკეტების გახსნა 2 აგვისტოსთვისაა დაგეგმილი.

ცნობისთვის, სატრანსპორტო სამსახურმა ტენდერი 57 ავტობუსის შესაძენად რამდენიმე თვის წინ გამოაცხადა. გამოვლინდა გამარჯვებული ჰოლანდიური ფირმაც, თუმცა, პირობების შეუსრულებლობის გამო ტენდერი ჩაშლილად გამოცხადდა.

თბილისის სატრანსპორტო სამსახურის ავტოპარკში სულ 402 ავტობუსია, აქედან ყოველდღიურად 300-მდე ავტობუსი მოძრაობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აუქციონზე საცხოვრებელი ბინები გაიყიდა

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის ბიუროში დღეს გამართულ განმეორებით იძულებით საჯარო აუქციონზე თბილისში, დიდუბის ქ. N5-ში მდებარე ბინა 19 760 ლარად გაიყიდა. აუქციონზე გაყიდული ქონება 300კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე ხუთოთახიანი, ერთსართულიანი, თუნუქის სახურავით გადახურული შენობაა. საერთო სარგებლობის ფართი 73,44 კვ.მ. საცხოვრებელი - 26,46 კვ.მ. უძრავი ქონება შპს “მ.ს. კონსალტინგს" 49 000 დოლარის ეკვივალენტ ლარად ჰქონდა შეფასებული.

თბილისის სააღსრულებო ბიუროში დღესვე განმეორებით საჯარო აუქციონზე თბილისში, კრწანისის ქ. N16-ში, მე-4 კორპუსში, ცხრასართულიანი კორპუსის ბოლო სართულზე მდებარე გარემონტებული, სამოთახიანი ბინა 48 150 დოლარის ეკვივალენტ ლარად გაიყიდა.

ინდივიდუალურ აუდიტს ქონება 50 500 დოლარის შესაბამის ლარად ჰქონდა შეფასებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სამხრეთ ოსეთის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტი 89,7%-ით შესრულდა

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის აზა ხაბალოვის ინფორმაციით, რესპუბლიკის 2006 წლის პირველი ნახევრის საბიუჯეტო შემოსავლები 89,7% შესრულებულია, თუმცა საკმაოდ დაბალია ამოღების მაჩვენებელი, რასაც ხაბალოვი საქართველოს მხრიდან მოწყობილი ბლოკადით ხსნის. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, მინისტრის თქმით, სახელმწიფო ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს, მათ შორის, ხელფასებისა და პენსიების გაცემის ვალდებულებასაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უძვირფასესი საკოლექციო ავტომობილები

ჟურნალმა Consurner Reports-მა გამოაქვეყნა უძვირფასესი საკოლექციო ავტომობილების რეიტინგი. პირველი ადგილი დაიკავა 1962 წელს გამოშვებულმა, 12-ცილინდრიანი მოტორით აღჭურვილმა Ferrari Testa Rossa 330 TRI/LM-მა, რომელიც 2002 წელს მონტერეის აუქციონზე 6,49 მილიონ დოლარად გაიყიდა. მეორე ადგილზე გავიდა 1950 წელს გამოშვებული ავტობუსი GM Futurliner -ი, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში მავანმა კოლექციონერმა 4,43 მილიონ დოლარად შეიძინა. მესამეზე 3 მილიონ დოლარად გაყიდული 1954 წლის გამოშვება Pontiac Bonnevile გავიდა, რომელიც განთქმული ავტოსტილისტის ჰარლი ერლის შექმნილი გახლავთ. მეოთხე ადგილი დაიკავა 2,2 მილიონ დოლარად ღირებულმა კაბრიოლეტმა Cuda-მ, როგორიც 1970 წელს კონვეიერიდან სულ 14 ცალი ჩამოვიდა. მეხუთე ასევე კაბრიოლეტი, 1970 წელს გამოშვებული Chevelle LS6 გახლავთ, რომლითაც თავის დროზე შეჯიბრში ლეგენდარული მრბოლელი რეი ალენი მონაწილეობდა. ახალ მფლობელს იგი 1,2 მილიონი დოლარი დაუჯდა.

## ბეირუთის ბირჟამ საქმიანობა აღადგინა

ბეირუთის ბირჟამ, რომელიც ისრაელში საომარი ოპერაციების შედეგად დაიხურა, დღეს მუშაობას განაახლებს. ამ ინფორმაციას ქვეყანასთან დაკავშირებული ინვესტორები სიხარულით შეხვდნენ. ამჯერად საფონდო ბირჟა, რომლის ყოველდღიური ბრუნვა 13 მილიონ ევროს უდრის, მხოლოდ ორი საათით იმუშავებს გასარკვევია, დარჩება თუ არა იგი ლიბანის ტერიტორიაზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლიბანის საგარეო ვალი 27 მილიარდი ევროა

ლიბანის საგარეო ვალის მოცულობა 27 მილიარდ ევროს შეადგენს. როგორც საფინანსო საქმის ექსპერტები აცხადებენ, ამ ვალის მომსახურებას ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისა და ტურიზმის განვითარების გარეშე ვერ მოახერხებს. ტურისტები კი, შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო, ლიბანს ტოვებენ. ექსპერტების განცხადებით, მარტო ამის გამო ქვეყნის ეკონომიკურმა ზარალმა 2 მილიარდი ევრო შეადგინა. როგორც ქვეყნის სტატისტიკის სამსახურში აცხადებენ, სამოქალაქო ომის დროს (1975-89) ქვეყნის განვითარებისთვის 40 მილიარდი ევრო დაიხარჯა. შედეგმა არ დააყოვნა - გაძლიერდა საბანკო სფერო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეკონომიკისთვის, განვითარდა ტურიზმი. შარშანდელი მონაცემებით, ლიბანის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 19 მილიარდი ევრო შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბულგარეთი ფოთი-ალმაატის საკონტეინერო მატარებელს შეუერთდა

შესაბამის შეთანხმებას საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთისა და ბულგარეთის მხარეებმა უკვე მიაღწიეს. ბულგარეთის საზღვაო-სანაოსნო და სარკინიგზო უწყების ხელმძღვანელები ინიციატივით გამოვიდნენ, რომ აღნიშნულ პროექტს ვარნასა და ბურგას პორტები შეუერთდნენ. ბულგარეთის მხარემ, აგრეთვე, შეთავაზება მიიღო ტრანსკონტინენტალური სატრანსპორტო დერეფნით "ევროპააზიით" სარგებლობაზე. "ტრასეკას" პროექტი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების მეშვეობით ცენტრალური აზიიდან, კავკასიის გავლით, ბალკანეთსა და ევროპაში ტვირთების დაუბრკოლებლად გადაზიდვას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტთან დაკავშირებით ჩინეთი დიდ დაინტერესებას იჩენს. შესაბამისად, ქართული, აზერბაიჯანული და ყაზახური მხარეები განიხილავენ საკითხს სადემონსტრაციო საკონტეინერო მატარებლის სადგურ დოსტიკამდე, ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრამდე, გაშვების შესახებ. გადაზიდვებისთვის დაწესებულია ერთიანი ტარიფი - 22 ცენტი ტ/კმ-ზე. თავდაპირველად საკონტეინერო მატარებელი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაატის მარშრუტით მოძრაობდა. მატარებლის ოპერატორი-კომპანიებია Black sea transit LTD და Advantage international transport and logistics LTD. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დიდი დაბრუნება და ამბიციური გეგმები

პირველი გვერდიდან

ამ ინფორმაციამ გამოჟონა მილანური კომპანიის მარკეტინგის სამსახურიდან, რომლის სპეციალისტები ამ ეტაპზე სწორედ აშშ-ს ბაზარზე დაბრუნების დეტალურ გეგმას ამუშავებენ. "ფიატის" მთავარი აღმასრულებლის სერჯო მარკონეს განცხადებით (ალფა ფიატის ჯგუფში შედის), გეგმის შემუშავება მალე დასრულდება და ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია პარიზის ავტოსალონზე გავრცელდება.

წინასწარი მონაცემებით, "ალფა რომე" აშშ-ში თავის ავტომობილებს "ფიატის" ჯგუფში შემავალი კიდევ ერთი იტალიური კომპანიის, "მაზერატის" სადილერო ქსელის მეშვეობით გაყიდის. ამ ქსელში ჯერჯერობით მხოლოდ 47 დილერია გაერთიანებული, თუმცა ბაზარზე "ალფას" გამოჩენისთანავე, მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

"ალფას" აშშ-ში დაბრუნება ადრეც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ეს პროცესი რამდენჯერმე შეყოვნდა, რასაც სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, კომპანიისთვის მეტად მნიშვნელოვან ბაზარზე დაბრუნება დიდი ხარჯების გაღებას მოითხოვდა, რაც იმ დროისთვის (2000 წელი) კრიზისში მყოფი "ალფასთვის" ძვირი სიამოვნება იყო.

შემდეგ გადაწყდა სპეციალურად აშშ-სთვის ორადგილიანი "სპაიდერის" მომზადება, რომლის გამოშვებაც 2003 წელს უნდა დაწყებულიყო. თუმცა, უსახსრობის გამო, ეს გეგმაც ჩაფლავდა. მომდევნო გეგმა უკავშირდებოდა კუპე "ბრერას" გამოშვებას, მაგრამ ეს გეგმაც გადაიდო.

სანამ "ალფა" გაურკვევლობაში იყო და კრიზისს ებრძოდა, "ფიატმა" ამერიკაში დააბრუნა მარკა "მაზერატი", რომელიც ამჟამად "ალფასთან" ერთ ჯგუფშია გაერთიანებული. სხვათა შორის, მილანური



*ძვირადღირებული კუპე "8c კომპეტიციონე" "ალფას" პირველი მერცხალი იქნება აშშ-ს ბაზარზე.*

კომპანიის პროდუქციის აშშ-ს ბაზარზე დაბრუნებას ორგანიზებას სწორედ "მაზერატის" ჩრდილოამერიკული შტოს შეფი ჯეიმს სელვა გაუძღვება.

"ჩვენმა ამერიკელმა დილერებმა უკვე იციან, რომ ახალ მოდელზე მუშაობა დიდი ტემპით მიმდინარეობს და რომ ეს მოდელი მათი მეშვეობით უნდა გაიყიდოს. ამ ინფორმაციამ ისინი ძალიან გაახარა, რადგან მათ იციან, რომ ამერიკა მოუთმენლად ელის იქ "ალფას" დაბრუნებას. ჩვენი მხრივ კი გვსურს, ამ ღირსშესანიშნავ მომენტს სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ," - ამბობს სელვა.

"ალფას" პირველი ავტომობილი, რომელიც აშშ-ს ბაზარს ეწვევა, იქნება ნახშირბადოვანი და შუშა-ქსოვილის კომპოზიტებისგან დამზადებული "8c კომპეტიციონე", რომელიც შეზღუდული რაოდენობით დამზადდება. კომპანიიდან გამოსული ინფორმაციით, ამ ავტომობილის დასამზადებლად გამოიყენებენ "მაზერატი კუპეს" დამოკლებულ პლატფორმას. ავტომობილი აღიჭურვება "მაზერატისვე" წარმოების 4.2-ლიტრიანი V8 ძრავით, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 400 ცხენის ძალა იქნება. "8c კომპეტიციონეს" სავარაუდო საბაზისო ფასი 200 000 დოლარი იქნება.

კუპე "8c კომპეტიციონეს" დებიუტიდან ერთი წლის შემდეგ, აშშ-შივე შედგება ამ ავტომობილის ღია ვარიანტის, "8c სპაიდერის" დებიუტი. მილანელებს ყოველწლიურად მხოლოდ 500 ცალი "8c კომპეტიციონეს" წარმოება აქვთ დაგეგმილი, ამის ნახევარი კი აშშ-ში გაიყიდება.

2010 წელს ალფა გეგმავს აშშ-ში "სპაიდერის", კუპე "ბრერასა" და სედან 159-ის გაყიდვების დაწყებას. ამასთან, ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს გამგზავრებამდე, ამ უკანასკნელს კონსტრუქტორები დაახლოებით 25 სანტიმეტრით დააგრძელებენ, რათა ის უფრო მიმზიდველი გახდეს ამერიკელი მყიდველისთვის.

ბაზრის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელია ამერიკაში ჰეჩბეკ 147-ის შეტანაც. გარდა ამისა, არაა გამორიცხული, რომ იმ დროისთვის "ალფამ" დაიწყოს უგზოობის მოდელ "კამალის" წარმოებაც, რომლის კონცეპტუალურმა პროტოტიპმაც დიდი მოწონება დაიმსახურა დიდ ავტოსალონებზე.

ცნობისათვის, "ალფა რომეომ" ამერიკის ბაზარი 1995 წელს დატოვა, რისი მიზეზიც პროდუქციის დაბალი ხარისხი და, აქედან გამომდინარე, მასზე მცირე მოთხოვნა იყო. იმ პერიოდში "J.D. პაუა ენდ ესოშიეიტიდის" ტრადიციულ გამოკითხვებში, რომლითაც მომხმარებელი ავტომობილების ხარისხს აფასებს, მილანური კომპანიის პროდუქცია სიის ბოლო ადგილებს იკავებდა.

# პენტაგონი "ლოკჰიდ F-22-ის" შესყიდვებს გაზრდის

ბევრი ჭოჭმანის შემდეგ, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა გადაწყვიტა, "ლოკჰიდ მარტინის" წარმოების უახლესი ავიაგამანადგურებლების F-22-ის შესყიდვები გაზარდოს. გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებამდე, ბოლომდე მისაყვანია კვლევის მეორე სტადია, რომლითაც უნდა დადგინდეს, თუ რა რაოდენობით დამატებითი F-22-ის შეძენა დასჭირდება სამხედრო უწყებას. პირველი დაანგარიშების შემდეგ, ავიამწარმოებელ კომპანიას სულ 183 ცალი გამანადგურებელი შუკვეთეს.

კვლევის (მისი სახელწოდებაა საჰაერო მრავალმხრივი დომინაცია) წინასწარი მონაცემებით დადგინდა, რომ წინასწარ განსაზღვრულის გარდა, დამატებით 40 ცალი F-22-ის შეძენის შემთხვევაში, დაახლოებით 500 მილიონი დოლარი დაიზოგება. კვლევის ახალი მონაცემების მიხედვით, აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალებს ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების მოთხოვნა მოუწევთ იმისათვის, რომ "ლოკჰიდ მარტინს" თვითმფრინავები შეუკვეთოს. ნებისმიერ შემთხვევაში, კომპანია ამ შეკვეთების შესრულებას 2010 წლამდე დაასრულებს. მერე კი "ლოკჰიდ მარტინი" სრულიად ახალი, მრავალმხრივი დანიშნულების გამანადგურებელ JSF-ის (ჯოინტ სტრაიკ ფაიტერ) წარმოებასაც დაიწყებს და მეტისმეტად ძვირადღირებული F-22-ის შეძენა საჭირო აღარ იქნება.

"საჰაერო მრავალმხრივი დომინაციის" კვლევითი სამუშაოების დაწყებამდე, ანალოგიური კვლევა ჩაატარა ორმა პრესტიჟულმა კვლევითმა ორგანიზაციამ, რომლებმაც პენტაგონს ასევე ურჩიეს დამატებით 40 ცალი F-22-ის შეძენა. არადა, თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი სასტიკად ეწინააღმდეგება შესყიდვების რაოდენობის გაზრდას, რადგან პენტაგონს აღნიშნული გამანადგურე-



ბელი ძალიან ძვირი უჯდება.

"ლოკჰიდ მარტინმა" გამანადგურებელ F-22-ის შექმნაზე მუშაობა 1986 წელს დაიწყო. მას შემდეგ პროექტის შემუშავებაზე და დახვეწაზე ასეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა. შედეგად, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული, მტრის რადარებისთვის შეუმჩნეველი თითოეული გამანადგურებელის წარმოება 130 მილიონი დოლარი ჯდება, რასაც ემატება მის შექმნაზე დახარჯული ასტრონომიული თანხები. პენტაგონის მიერ პირველი შეკვეთით მოთხოვნილ 183 ცალ F-22-ზე გადაანგარიშებით, თითოეული გამანადგურებელი დაახლოებით 375 მილიონი დოლარი ჯდება.

თავიდან პენტაგონს გადაწყვეტილი ჰქონდა 750 ცალი F-22-ის შესყიდვა, თუმცა გამანადგურებლის შესასყიდი ფასის დადგენის შემდეგ, ეს რიცხვი განახევრდა. ამას ნაწილობრივ ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ თავდაპირველად F-22-ის შეძენაზე გამოყოფილი თანხა სხვა პროგრამებზე გადანაწილდა. მეორე ეტაპზე გადაწყდა 381 ცალი F-22-ის შესყიდვა, თუმცა საბოლოოდ, მხოლოდ 183 ცალი გამანადგურებელი იქნა შეკვეთილი.

აშშ-ს საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამანადგურებელ F-22-ის წარმოების შენარჩუნებას, რათა ადგლი არ ჰქონდეს წყვეტას ძველი და ზეახალი თაობის გამანადგურებლების წარმოებას შორის, რაც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის თავდაცვითუნარიანობაზე. რაც მთავარია, ასეთ შემთხვევაში ვერ მოხერხდება ინდუსტრიის ამ სფეროში დასაქმებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შენარჩუნება.

შარშან ბიუჯეტიდან დამატებით 1.8 მილიარდი დოლარი გამოიყო იმისათვის, რომ პენტაგონს დამატებით შეეძინა ოთხი ცალი F-22. გარდა ამისა, გადაწყდა ამ გამანადგურებლის წარმოების 2010 წლამდე გაგრძელება.

აშშ-ს სენატი და თეთრი სახლი თანახმანი არიან პროგრამის გაგრძელებაზე, შტატ არიზონას რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი კი პროგრამის დამატებით შესწავლას და, საჭიროების შემთხვევაში, მის ვადამდე შეწყვეტასაც კი მოითხოვს. მისი არგუმენტი ისაა, რომ F-22 არნახულად ძვირი ჯდება. ამასთან, იგივე "ლოკჰიდ მარტინი" მალე დაიწყებს JSF-ის წარმოებას, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებით სჯობნის F-22-ს.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ნავთობის გაძვირებისა და მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გარდა ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 8 აგვისტოს დანიშნული ფედერალური სარეზერვო ფონდის სხდომაზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ზედიზედ მეთვრამეტედ შესაძლო გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,65 პროცენტით, 11.113,32 პუნქტამდე შემცირდა. 1,41 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.061,88 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,69 პროცენტით, 1.267,82 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასმა ისევ მოიმატა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 75,49 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 74,67 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ვაჭრობის დაწყებისას "შავი ოქროს" ფასმა ცოტათი მოიკლო, რაც მოგების ფიქსაციამ განაპირობა, მაგრამ მალევე ისევ მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ამის მიზეზი კვლავინდებურად მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების შეფერხების საფრთხე გახლდათ. მოგეხსენებათ, კვლავ დაძაბული ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში, სადაც გრძელდება ისრაელისა და ლიბანის კონფლიქტი;

შესაძლებელია, ლიბანის მოკავშირეებმა - სირიამ და ირანმა მალე ნავთობის ექსპორტი შეწყვიტონ. თავის მხრივ, ისევ არასტაბილური სიტუაციაა ირანში, ერაყში და ნიგერიაში.

ყველაფერ ამას ემატება მაღალი ტემპერატურა აშშ-ში, რაც კონდიცირებისათვის ელექტროენერგიის გამოყენებას, ანუ ენერგომატარებლების მოხმარებას ზრდას იწვევს. ამასთან, ატლანტიკის ოკეანეში ჩამოყალიბდა შტორმი "კრისი", რომელმაც, შესაძლოა, მექსიკის ყურეში ნავთობის მოპოვებას ხელი შეუშალოს. გარდა ამისა, 1 აგვისტოდან რუსეთიდან ექსპორტირებულ ნავთობზე საბაჟო გადასახადმა სარეკორდოდ, 1 ტონაზე 216,4 დოლარამდე მოიმატა.

## ძვირფასი ლითონების გაძვირება გრძელდება

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების მცირე ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 0,74 პროცენტით, 636 დოლარამდე გაძვირდა. ვერცხლის ფასმა 0,3 პროცენტით, 11,58 დოლარი/უნციამდე მოიმატა, პლატინა 0,6 პროცენტით, 1241,6 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 0,98 პროცენტით 317,15 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი კვლავინდებურად მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება და ნავთობის გაძვირება გახლდათ. არსებობს საფრთხე, რომ ისრაელისა და ლიბანის კონფლიქტი კიდევ უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს და ამგვარ სიტუაციაში ოქრო ერთობ მიმზიდველი საინვესტიციო საშუალებაა. ძვირფასი ლითონები კიდევ უფრო მეტად გაძვირდებოდა, რომ არა მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის გამყარება და გაზრდილი ფასის გამო შესყიდვებისადმი ინტერესის მცირე კლება.

## მსოფლიოს უმდიდრესი საპატარძლოები

განთქმულმა ჟურნალმა Forbes-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს უმდიდრესი საპატარძლოების სია. პირველი ადგილი სასტუმროების იმპერია Hilton-ის დამაარსებლის კონრად ჰილტონის შვილთაშვილმა და მემკვიდრემ, 25 წლის პარიზ ჰილტონმა დაიკავა. აღსანიშნავია, რომ იგი ფულს არა მარტო ხარჯავს, არამედ კინოსა და სარეკლამო სესიებში მონაწილეობით, ტელეშოუების წაყვანით და მუსიკალური მოღვაწეობით ოჯახის ბიუჯეტის გაზრდაში საკუთარი წვლილი შეაქვს. მან თავისი სახელი სავაჭრო მარკად აქცია და მისი ხილვა საათებზე, საიუველირო ნაწარმზე, პარფიუმერიაზე და ვიდეოთამაშებზეც კი შეიძლება. გასულ წელს მშვენიერი ჰილტონის პირადმა შემოსავალმა 7 მილიონი დოლარი შეადგინა.

მეორე ადგილზეა მისი უმცროსი და, 22 წლის ნიკი, რომელიც ცდილობს, ოჯახური ბიზნესი გააგრძელოს და სასტუმროების საკუთარი ქსელი გახსნა. ნიკ ჰილტონი მანჰეტენელი ბროკერის მეუღლე გახლდათ, რომელსაც ცოტა ხნის წინ დაშორდა და ამჟამად მსახიობ კევინ კონოლის ხვდება.

მესამე ადგილზე გავიდა მედიამაგნატ უილიამ რ. ჰერსტის 22 წლის გოგონა ამანდა. Forbes-ის ექსპერტთა გამოთვლით, ეს გოგონა წელიწადში ტანსაცმელსა და კოსმეტიკაზე 136 ათას დოლარს ხარჯავს. მათი აზრით, ეს მსოფლიო რეკორდია. თუმცა, ამანდა მოდელი გახლავთ და შესაბამისი მორთვაც სჭირდება.

პირველ ათეულში ასევე შევიდნენ ესტე ლაუდერის შვილიშვილი აირინი, რომელიც ბებიის კოსმეტიკური კომპანიის ვიცე-პრეზიდენტია, მილიარდერ დონალდ ტრამპის უფროსი ასული და კომპანიის მენეჯერი ივანკა, განთქმული დიზაინერის რალფ ლორენის შვილი დილანი, რომელსაც საკუთარი საკონდიტრო ფირმა აქვს. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის ყველა წარმომადგენელი მუშაობს და

ფულს თავად შოულობს. გამონაკლისი მხოლოდ ფოლადის მაგნატის ვასილი ანისიმოვის შვილი ანაა, რომელიც ნიუ იორკის უნივერსიტეტში სწავლობს, გამუდმებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ისვენებს და მამას წელიწადში 20 მილიონ დოლარამდე უჯდება.

## "ჯი პი აი ჰოლდინგი" ექიმთა სამედიცინო პასუხისმგებლობის დაზღვევას უზრუნველყოფს

პირველად საქართველოში დღეს, სამედიცინო დაწესებულებასა და კერძო სადაზღვევო კომპანიას შორის სამედიცინო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულებას ჯანდაცვის სამინისტროში ხელი სადაზღვევო კომპანია "ჯი პი აი ჰოლდინგის" და ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ხელმძღვანელებმა მოაწერეს.

ხელშეკრულების მიხედვით, კლინიკაში სამკურნალოდ შესული ნებისმიერი პაციენტი ავტომატურად დაზღვეული ხდება და მისი სიცოცხლის საფრთხის შემთხვევაში, ფულად კომპენსაციას სადაზღვევო კომპანია გასცემს.

გარდა ამისა, "ჯი პი აი ჰოლდინგი" კლინიკის პერსონალს მოსალოდნელი შეცდომისგან მთლიანად აზღვევს. ექიმის შეცდომის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია სწავლობს საექიმო შეცდომას და პასუხისმგებლობასაც შესაბამისად იღებს.

ხელშეკრულების გაფორმებას ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ვახტანგ სურგულაძე და "ჯი პი აი ჰოლდინგის" გენერალური დირექტორი გიორგი კვირიკაძე ესწრებოდნენ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილის განცხადებით, ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა ამ კუთხით "პირველი მერცხალია" და ეს პრაქტიკა მთელ საქართველოში დაინერგება. **ინტერპრესნიუსი**

## სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 99,80% შეადგინა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 21 ივლისიდან 27 ივლისამდე 99,80 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,12 პროცენტი იყო. პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს, რომ აღნიშნული ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე 0,20%-ით შემცირდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე - 0,43%-ით, ხოლო არასასურსათო საქონლზე ფასები 0,04%-ით გაიზარდა. მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა კირტზე (14,5%-ით), ხახვზე (9,1%-ით), კარტოფილზე (4,4%-ით), ჭარხალზე (4,3%-ით), ქათმის ბარკლებზე (1,0%-ით), სტაფილოზე (0,9%-ით) და ყველზე (0,7%-ით); ფასები გაიზარდა ფოთლოვან კომბოსტოზე (17,6%-ით) და ვაშლზე (1,6%-ით).

რაც შეეხება არასასურსათო საქონელს, წინა კვირასთან შედარებით, ფასი გაიზარდა ბენზინ რეგულარზე (0,7%-ით), ხოლო დიზელის საწვავზე ფასი 2,0%-ით შემცირდა.

მომსახურებაზე გასულ კვირასთან შედარებით ფასები არ შეცვლილა.

## საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი გადამხდელების იდენტიფიკაციას იწყებს

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი, რისკის დონეების მიხედვით, გადამხდელთა იდენტიფიკაციას გეგმავს. მიღებული შედეგების თანახმად კი საგადასახადო აუდიტი ჩატარდება. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, იდენტიფიკაცია, რისკის ფაქტორების გათვალისწინებით, გადამხდელთა სამი ჯგუფის ფორმულირებას ითვალისწინებს. კეთილსინდისიერი გადამხდელების მიმართ კონტროლი შედარებით ნაკლები იქნება, გაძლიერებული აუდიტი კი დიდი რისკის მქონე გადამხდელებს შეეხებათ. პარალელურად, აუდიტი ხარისხის გაუმჯობესება და მისი განხორციელებისთვის პროცედურების რეგლამენტირებისთვის იგეგმება. ბაინდურაშვილის განცხადებით, რეფორმის მთავარი მიზანი საქათველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის ჩამოყალიბებაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 2/08 | 3/08 | 4/08 |
|---|---|---|---|
| კიევი | 29 | 30 | 31 |
| რიგა | 23 | 25 | 24 |
| ვილნიუსი | 21 | 26 | 21 |
| მოსკოვი | 24 | 17 | 27 |
| მინსკი | 21 | 26 | 26 |
| პარიზი | 20 | 18 | 19 |
| რომი | 30 | 28 | 26 |
| ლონდონი | 20 | 19 | 22 |
| მადრიდი | 32 | 31 | 30 |
| ბონი | 20 | 20 | 20 |
| ვარშავა | 22 | 23 | 26 |
| ათენა | 35 | 37 | 37 |
| ბერნი | 23 | 21 | 16 |
| ამსტერდამი | 16 | 17 | 18 |
| ოსლო | 18 | 21 | 23 |
| ანკარა | 33 | 37 | 39 |
| ვარნა | 32 | 31 | 36 |
| დელი | 50 | 48 | 42 |
| ტოკიო | 31 | 33 | 36 |
| კოპენჰაგენი | 19 | 18 | 20 |
| ბაქო | 32 | 33 | 32 |
| ერევანი | 38 | 40 | 40 |
| ასტანა | 23 | 25 | 18 |
| ჰელსინკი | 21 | 19 | 21 |
| დუბლინი | 18 | 20 | 20 |
| ლისაბონი | 29 | 28 | 34 |
| პრაღა | 21 | 22 | 23 |
| სოფია | 30 | 30 | 31 |
| ბუდაპეშტი | 22 | 22 | 22 |
| ბუხარესტი | 40 | 36 | 40 |

# რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გერმანელი და ბულგარელი სპეციალისტები სწავლობენ



2006 წლის ივლისში "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გერმანული კომპანია Polysius-ის სპეციალისტი და ბულგარული კომპანია Velder-group-ის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. გერმანელი სპეციალისტის ვიზიტის მიზანი იყო ქარხანაში ცემენტის წარმოების ტექნიკური საშუალებების არსებობის განხილვა, ხოლო ბულგარელი სპეციალისტები ჩამოსულები იყვნენ სორტული საამქროს აღდგენა-სარეკონსტრუქციო საქმესთან დაკავშირებით. ქარხნის დირექტორის რობიზონ ლომიძის განცხადებით, გერმანელ სპეციალისტთან ერთად დადგინდა, რომ ქარხანაში არის დღეში 250 ტონა ცემენტის წარმოების შექმნის საშუალება, რაც ქარხანას დიდ სარგებელს მოუტანს.

ბულგარელმა და ქართველმა სპეციალისტებმა კი გააკეთეს ტექნიკური დავალება სორტული საამქროს ამუშავებასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, რომელიც 3 ეტაპად არის გათვლილი:

პირველი ეტაპი 5-თვიანია. უნდა მოხდეს საამქროს გაშვება 100 000 ტონა სორტული ნამზადის წარმოშობით წელიწადში. ეს ეტაპი ასევე ითვალისწინებს გამახურებელი ღუმელის რეკონსტრუქციას, თანამედროვე ელექტროაპარატურის შეძენასა და მონტაჟს.

მეორე და მესამე ეტაპი გათვლილია 2-წლიან პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს თერმომექანიკურ დამუშავებას, გლინულას ხაზის მონტაჟსა და სხვადასხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს წელიწადში 200 000 ტონა პროდუქციის გამოშვების მიზნით.

ეს ტექნიკური დავალება განხილულია "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის" ტექნიკურ საბჭოზე, მოწონებულია და დასამტკიცებლად გაეგზავნა ინვესტორებს, რის შემდეგაც მოხდება მისი რეალიზება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასულ თვეებში "რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში" უკრაინის სამი ძლიერი კომპანიის - Укрэнергопром, Техэнергоаудит, Энергоспецмонтаж და ცნობილი ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია "ატკინსი და პარტნიორები"ს სპეციალისტები იმყოფებოდნენ. უცხოელი ინვესტორებისა და სპეციალისტების ასეთი დიდი დაინტერესება "რუსთავის მეტალურგიული ქარხნისადმი", რა თქმა უნდა, შემდგომში წარმატებას მოუტანს ქარხანას. ეს, თავის მხრივ, შეადგენს ს/ს "რუსთავის მეტალურგიული ქარხნის" სარეაბილიტაციო პროცესის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს.

**24 საათი**

## რუსებმა ბრძოლა ახლა უკვე საკუთარ პროდუქციას გამოუცხადეს

რუსეთის სანიტარული სამსახური, ქართული და მოლდავური პროდუქციის შემდეგ, ბრძოლას რუსული პროდუქციის წინააღმდეგაც იწყებს.

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, თვენახევრის განმავლობაში "როსპოტრებნოდზორის" მიერ რუსული წარმოების 142 179 ათასი ლიტრი არაყი დაიბლოკა.

31 ივლისის მონაცემებით, ონიშჩენკოს თქმით, "12 ივნისიდან მოყოლებული, რუსული სპირტიანი სასმელების მწარმოებლებსა და რეალიზატორებს 14 მლნ. 651 ათას 464 რუბლის ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ."

"როსპოტრებნოდზორის" მიერ ქართული და მოლდოვური ღვინოების ექსპორტის აკრძალვის შესახებ 2006 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ 31 ივლისისთვის მოსკოვში 223 ათას ლიტრზე მეტი სპირტისშემცველი ქართული და მოლდოვური წარმოების პროდუქცია განადგურდა. აქედან, ონიშჩენკოს ინფორმაციით, 171 ათას 288,8 ლიტრი პროდუქცია საქართველოშია წარმოებული. **ინტერპრესნიუსი**

## ეროვნული ბანკი გასული წლის შედეგებს წარმატებულად აფასებს

"საქართველოს ეროვნულმა ბანკმა" გასული წლის საქმიანობის ანგარიში გამოაქვეყნა.

როგორც მისი პრეზენტაციის დროს ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსმა არჩილ მესტვირიშვილმა დღეს განაცხადა, შედეგები ცხადყოფს, რომ გასული წელი საბანკო სექტორისთვის იყო წარმატებული და ამის პარალელურად ეროვნული ბანკის საქმიანობაში გამჭვირვალობის პრინციპი პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა.

საბანკო სექტორის წარმატებებს შორის მესტვირიშვილმა ყურადღება 3 ძირითად მაჩვენებელზე გაამახვილა. "უდავოდ მნიშვნელოვანია, რომ ბანკების აქტივები გაიზარდა 50 პროცენტით, დაკრედიტება - 85 პროცენტით, ხოლო დეპოზიტების მოცულობა - 45 პროცენტით," - განაცხადა მან.

დღემდე საქართველოს ერვონული ბანკის წლიური ანგარიში მხოლოდ საქართველოს პარლამენტისა და პროფესიული წრეების განხილვის ობიექტი იყო. დღეიდან კი მისი გაცნობა ფართო ფენებისთვისაც შესაძლებელი გახდა. დაინტერესებულ პირებს ანგარიშის გაცნობა როგორც ბეჭდვითი ფორმით, ასევე ბანკის ვებ-გვერდზე (www.nbg.gov.ge) შეუძლიათ.

წლიური ანგრიშის პრეზენტაცია ბანკის პრეს-კლუბში გაიმართა, რომელიც მედიასთან და საზოგადოების ფართო ფენებთან რეგულარული შეხვედრების მოწყობის მიზნით შეიქმნა და ოფიციალურად დღეიდან იფუნქციონირებს. **ინტერპრესნიუსი**

# "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" საჩუქარი აჭარელ სტუდენტებს

პირველი გვერდიდან



ოლგამ სტუდენტების დასაქმების პროგრამის შესახებ მეგობრისგან შეიტყო და სასწრაფოდ შეუდგა მის შესახებ დეტალური ინფორმაციის ძიებას. მალევე ამ პროგრამის შესახებ ტელევიზიის საშუალებითაც განაცხადეს. ოლგამ არ დააყოვნა და სასწრაფოდ მიაკითხა ბათუმის მერიას. პროგრამის არჩევისას ბევრი არ უფიქრია და "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებს გამოეხმაურა. **"ეს პროგრამა სტუდენტებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ მუშაობას და ვისწავლოთ სიძნელეების გადალახვა,"** - ამბობს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი ოლგა კაროტხინა.

"მინისა და მინერალური წყლების კომპანია" პირველი იყო, ვინც აჭარის ადმინისტრაციას თანამშრომლობა, კერძოდ კი, 50 სტუდენტის დასაქმება შესთავაზა. რჩეული ახალგაზრდები ორი თვის განმავლობაში აჭარის კურორტებზე შავი ზღვისპირა ზოლს და პარკებს დაასუფთავებენ, საბოლოოდ კი ხელზე 200 ლარს მიიღებენ.

**"ჩვენ პრეზიდენტის ინიციატივას გამოვეხმაურეთ. ეს არის ერთგვარი საჩუქარი აჭარის მოსახლეობას, რათა ეს ულამაზესი მხარე ყოველთვის დასუფთავებული იყოს. თუ გვინდა, რომ აჭარის კურორტები ყველა ჩამომსვლელისთვის მიმზიდველი გახდეს, აქ ყველაფერი ევროპული სტანდარტებით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამ შემთხვევაში, ჩვენ 50 სტუდენტს ვასაქმებთ, რომლებიც ორი თვის განმავლობაში ზღვისპირა ზოლს და პარკებს დაასუფთავებენ. ეს არ იქნება ერთდჯერადი პროგრამა. შევეცდებით ამ ღონისძიებებმა პერიოდული სახე მიიღოს. რაც მთავარია, შევეცდები მომავალი წლისთვის ამ აქციაში ჩვენი მონაწილეობა უფრო ფართომასშტაბიანი გახდეს,"** - განაცხადა გუშინ ბათუმში "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ.

სხვათა შორის, სპეციალურად ამ აქციისთვის მიძღვნილ ღონისძიებაზე გუშინ კიდევ ერთი სიახლის შესახებ გახდა ცნობილი. როგორც აღმოჩნდა, სტუდენტთა დასაქმების პროგრამაში არა მარტო "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" მიიღებს მონაწილეობას, არამედ "თიბისი ჯგუფის" სხვა შემადგენელი კომპანიებიც. როგორც "თიბისი ბანკის" ბათუმის ფილიალის დირექტორმა დავით გიგაიამ განაცხადა, **"მინისა და მინერალური წყლების კომპანია", როგორც მოგვიხსენება, "თიბისი ჯგუფის" შემადგენელი კომპანიაა. აქედან გამომდინარე, მსგავს აქციებში მონაწილეობას ჯგუფის შემადგენელი თითოეული კომპანია მიიღებს. ანუ, თუ დღეს პროექტში "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" მონაწილეობს, ხვალ ეს "თიბისი ბანკი", ზეგ კი - "ჯიპიაი ჰოლდინგი იქნება."**

როგორც ბათუმის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა გელა სურმანიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" პირველი იყო, რომელიც **"დაგვიკავშირდა და 50 სტუდენტის დასაქმების სურვილი გამოთქვა. ეს კომპანია საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესია. ასე რომ, მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ მონაწილეობას ამ პროგრამაში. პროგრამის მნიშვნელობას კი მაშინვე მიხვდებით, როგორც კი მასში დასაქმებული ბავშვების თვალებს შეხედავთ, ან იმ ბავშვებისას, რომლებიც ვერ მოხვდნენ მასში."**

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა დასაქმების აღნიშნული პროგრამა თავისი მასშტაბით აჭარაში პირველია. "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გარდა, სტუდენტთა დასაქმებას თავად მერიაც დააფინანსებს. კერძოდ, დამატებით მერია თავისი ბიუჯეტიდან 300 სტუდენტს დააფინანსებს. დანარჩენ 300 ბავშვს კი კერძო კომპანიები დაასაქმებენ, აქედან 50-ს - სწორედ "მინისა და მინერალური წყლების კომპანია".

და კიდევ ერთი: პროგრამაში მონაწილე სტუდენტები უფასოდ ისარგებლებენ მუნიციპალური ტრანსპორტით.

რაში დახარჯავენ თავის პირველ ხელფასს, სტუდენტებმა ჯერ ზუსტად არ იციან. თუმცა, როგორც ზოგიერთმა აღნიშნა, თანხას მეგობრებსა და დასვენებას მოახმარს.

აი, თავად "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გენერალურ დირექტორს ზაზა კიკვაძეს კი კარგად ახსოვს, რაში დახარჯა თავისი პირველი ხელფასი: **"მაშინ სტუდენტი ვიყავი, 80-იან წლები იყო, კოოპერატივის ტიპის კერძო ბიზნესი წამოვიწყე. პირველი ხელფასით მეუღლეს საჩუქრები ვუყიდე."**

## კომერციულ ბანკებს კვარტალური ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება დაევალა

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სპეციალური ბრძანება გამოსცა. ამ დოკუმენტის თანახმად, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, არა მარტო წლიური, არამედ კვარტალური ფინანსური ანგარიშგებებიც გამოაქვეყნონ.

ამასთან, ეს დოკუმენტები არა მხოლოდ კონკრეტული ბანკების ვებ-გვერდებსა და ბეჭდვით ორგანოებში, არამედ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზეც უნდა განთავსდეს.

როგორც ეროვნულ ბანკში ამბობენ, ამ ნაბიჯით ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის გამჭვირვალობას უჭერს მხარს. "ამ წესის ამოქმედება და მის საფუძველზე მიღწეული კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებების საჯაროობა ხელს შეუწყობს თითოეული ბანკის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ასევე, ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. ეს კი მათ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება," - ამბობენ საქართველოს ეროვნულ ბანკში. **მედიანიუსი**

# ელექტროენერგიის საფეხურებრივ ტარიფში ცვლილებებზე სემეკ-ი სექტემბერში იმსჯელებს

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) ელექტროენერგიის საფეხურებრივ ტარიფში ცვლილებებზე სექტემბერში იმსჯელებს. ჟურნალისტებს სემეკ-ის თავმჯდომარემ გიორგი თავაძემ განუცხადა, რომ სამომხმარებლო ტარიფის ძალაში შესვლიდან 3 თვის შედეგების მიხედვით, შესაძლოა, მისმა პირველმა საფეხურმა 100-დან 120 კილოვატ/საათამდე გადაიწიოს. თავაძის თქმით, საფეხურებრივი ტარიფი აღრიცხვიანობის დახვეწას შეუწყობს ხელს. გამორიცხული არ არის საქართველოში ელექტროენერგიის პიკური ტარიფი დაწესდეს, რაც დღის სხვადასხვა მონაკვეთებში ტარიფს განსხვავებულს გახდის. თუმცა ეს არ მოხდება ახლო მომავალში, რადგან ახალი სისტემისთვის ახალი მრიცხველების დაყენებაა საჭირო, - აღნიშნა თავაძემ. სემეკ-ის გადაწყვეტილების თანახმად, 1 ივნისიდან მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის შემდეგი სამომხმარებლო ტარიფი მოქმედებს: თბილისის მოსახლეობისათვის - 100 კვტ/სთ-მდე - 13,48 თეთრი; 101-დან 300 კვტ-სთ-ის ჩათვლით - 16 თეთრი; 300 კვტ/სთ-ზე მეტი - 17,69 თეთრი; რეგიონებისთვის - 100 კვტ/სთ-მდე - 11,88 თეთრი; 101-დან 300 კვტ-სთ-ის ჩათვლით - 16,52 თეთრი; 300 კვტ/სთ-ზე მეტი - 17,49 თეთრი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

"ხრუშა" ფრანგულ მინდვრებს მიადგა



C2

კაკამ მილანი დაამშვიდა



C3

"მოჯიბეიტი" დეტალებში



C4

## ჰაშეკმა ფრთები შეისხა

ლეგენდარულმა მეკარემ დომინიკ ჰაშეკმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა NHL-ის გუნდ "დეტროიტ რედ უინგზთან".

41 წლის ჩეხი უკვე მესამედ ბრუნდება დეტროიტში. 2002 წელს ჰაშეკმა დეტროიტელებს სტენლის თასი მოაგებინა, 2003-04 წლების სეზონი კი ჩეხი მეკარისთვის უიღბლო გამდგა - ტრავმის გამო "წითელ ფრთების" მხოლოდ 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ჰაშეკის მისვლით დეტროიტელთა მწვრთნელი მნიშვნელოვან პრობლემას მოაგვარებს. გუნდის მენეჯერი ახლანდელი მეკარის მენი ლეგასის თამაშით უკმაყოფილოა და ჰაშეკი გუნდის პირველი კიპერის ფუნქციებს შეასრულებს.

## ლენდისს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება

მორიგმა სინჯებმა დაადგინეს, რომ ფლოიდ ლენდისის სისხლში ტესტოსტერონის შემცველობა სინტეთიკური წარმოშობისაა და სპორტსმენის ორგანიზმის თავისებურებებს არ უკავშირდება.

არადა, ლენდისი ამტკიცებდა, რომ მას არანაირი პრეპარატები არ მიუღია და სისხლში აკრძალული პრეპარატების შემცველობა მხოლოდ მისი ორგანიზმის თავისებურების ბრალი იყო.

თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ პირველადი ტესტების შედეგებზეა საუბარი. თუ განმეორებითმა ტესტმა იგივე შედეგი აჩვენა, ლენდისი ფაქტობრივად განწირულია. სააგენტო ევროსპორტის ინფორმაციით, ლენდისს სავარაუდოდ ორწლიან დისკვალიფიკაციას მისცემენ და ტურის გამარჯვებულის ტიტულსაც ჩამოართმევენ.

## "მაკლარენი" და "რენო" "ფერარის" წინააღმდეგ

მოულოდნელი განცხადება გააკეთა ფორმულა 1-ის გუნდ "მაკლარენის" ადმინისტრატორმა მარტინ უიტმარშმა. როგორც ჩანს, "მაკლარენი" რონ დენისის გუნდ "რენოს" დაეხმარება.

"ჩემპიონატი საინტერესო გახდა. "რენო" ძლიერი გუნდია, ალონსო კი - ბრწყინვალე პილოტი. ამიტომ "მაკლარენი" მათ ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარება. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ტიტული იტალიურმა "ფერარიმ" არ მოიგოს", - აცხადებს უიტმარში.

## გატლინის მწვრთნელსაც დასჯიან

ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის ჯასტინ გატლინის მწვრთნელს ტრევორ გრეჰემს სამწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუ სპორტსმენს დოპინგის მიღება დაუმტკიცდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ განმეორებითმა ტესტმაც დაადასტურა ჯასტინ გატლინის სისხლში ტესტოსტერონის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მძლეოსანი თავს ველარ დაიძვრნეს. მიუხედავად იმისა, რომ, მწვრთნელის თქმით, გატლინი არაფერ შუაშია და მის სპორტსმენს პროვოკაცია მოუწყვეს, საეჭვოა, რომ ანტიდოპინგურმა კომისიამ ეს დაიჯეროს და მორბენალი დაინდოს.

## აშშ ფავორიტია

ცოტა ხანში იაპონიაში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. გერმანიის ნაკრების ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ ტურნირის უმთავრეს ფავორიტად აშშ-ს ნაკრები დაასახელა და აღნიშნა, რომ "დრიმ თიმის" დამარცხება ძნელია, მაგრამ შესაძლებელი.

"ამერიკელები უპირობო ფავორიტებად მიმაჩნია. ერთადერთი ვარსკვლავი, რომელიც ამ გუნდს აკლია, კობი ბრაიანტია, მაგრამ აშშ-ს ნაკრებში თამაშობენ დუეინ ვეიდი და ლებრონ ჯეიმსი. ვფიქრობ, ამ გუნდის დამარცხება დანარჩენებისთვის ძალიან ძნელი იქნება. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ამერიკის ნაკრების დამარცხება შეუძლებელი არ არის. ძალიან მეწყინა, რომ კობი ტურნირზე ვერ ჩამოვა. მასთან ერთად აშშ-ს ნაკრები უფრო საინტერესო სანახავი იქნებოდა", - აცხადებს ნოვიცკი.

## მორიგი დისკვალიფიკაცია

დოპინგის გამოყენების გამო დისკვალიფიკაციები უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ამჯერად აკრძალული პრეპარატების გამოყენებისთვის აზერბაიჯნელი ძალოსანი, 2006 წლის ევროპის ჩემპიონი ნირზამი პაშაევი გამოიჭირეს. ძალოსანს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ევროპის ჩემპიონის ტიტული კი პოლონელ სიმონ კოლეცკის გადაეცა.

## რუსული პროტესტი

რუსი სუპერმძიმეწონოსანი მოკრივის სულთან იბრაჰიმოვის მენეჯერი ბორის გრინბერგი აპირებს თავისი შეგირდისა და რეი ოსტინის ბრძოლის შედეგის გაპროტესტებას.

"სად იყურებოდნენ მსაჯები, ძნელი სათქმელია. ყველამ დაინახა, რომ იბრაჰიმოვმა მეტოქე დაჯაბნა. სულთანი პატიოსანი ადამიანია და იგი მოტყუებული არ უნდა დარჩეს", - აცხადებს გრინბერგი.

ამ მატჩში უნდა გარკვეულიყო ვლადიმირ კლიჩკოს მეტოქის ვინაობა ტიტულისთვის ბრძოლაში. მსაჯების გადაწყვეტილებით ბრძოლა ფრედ დასრულდა, რასაც იბრაჰიმოვის მენეჯერი დონ კინგს აბრალებს.

"ყველაფერი დონ კინგის ბრალია. მათ მატჩ-რევანში უნდათ, რათა მეტი ფული იშოვონ. ამ დროს კი სულთანი იჩაგრება", - ამბობს გრინბერგი.

# სტონიმირ სტოილოვი: "სიონთან მოდუნება არ შეიძლება"



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ლევსკის" ჰგონია, რომ იოლი გასეირნება ექნება.

მიხეილ აბაიშვილი

დღეს, 7 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ბოლნისის "სიონი" ურთულესი ამოცანის გადაჭრას შეეცდება. საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩში ბულგარეთის "ლევსკის" უმასპინძლებს, რომელთანაც სოფიაში გამართული შეხვედრა 0:2 დათმო. ამ გუნდის ძალაზე ზედმეტია საუბარი. "ლევსკი" გასულ სეზონში უეფას თასის ტურნირში ასპარეზობდა და მეოთხედფინალს მიაღწია. ბულგარელებმა დაამარცხეს ისეთი გრანდები, როგორებიცაა ინგლისის "ლივერპული", საფრანგეთის "მარსელი" და გერმანიის "შალკე 04". "ლევსკიმ" შარშანდელი შემადგენლობა პრაქტიკულად სრულად შეინარჩუნა. გუნდის ერთ-ერთი ლიდერია ბორიმიროვი, რომელიც სტაჟიან გულშემატკივრებს თბილისში 1995 წელს საქართველოსა და ბულგარეთის ნაკრებებს შორის გამართული მატჩიდან ემახსოვრებათ.

ბულგარეთის ჩემპიონი გუშინ ჩამოფრინდა თბილისში. საღამოს მესხის სტადიონზე გამართა ვარჯიში, რომლის დაწყებამდე მთავარმა მწვრთნელმა სტონიმირ სტოილოვმა პრესკონფერენცია ჩაატარა.

"ლევსკის" დამრიგებელს ქართულ კლუბზე პირველი მატჩიდან კარგი შთაბეჭდილება დარჩა, რაც არც დაუმალავს.

"სოფიაში ლამაზი, შემტევი და კორექტული, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მატჩი გაიმართა, ორივე გუნდის მხრიდან ფეირპლეის წესების სრული დაცვით. ბოლნისის "სიონი" კარგად ორგანიზებული, ტაქტიკურად განსწავლული და ტექნიკურად მაღალ დონეზე მომზადებული გუნდი აღმოჩნდა, რომლის ფეხბურთელებიც თავდაუზოგავად ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. "სიონმა" კონტრშეტევებზე ითამაშა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა ჩვენს კართან. ბედად, ამ მომენტების რეალიზება ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ ჩვენ გაგვიმართლა და საჭირო გოლები გავიტანეთ. ვფიქრობ, უფრო გამოცდილების ხარჯზე გავიმარჯვეთ", - განაცხადა სტოილოვმა.

გაგრძელება C2 გვერდზე

## ცზიუ გადაწყვეტილებას მიიღებს

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კრივში კონსტანტინ ცზიუ მიიჩნევს, რომ თუ პროფესიულ კრივში დაბრუნდება, წამყვანი მოკრივეების ყურადღებას მიიქცევს და არაერთ საინტერესო ბრძოლას გამართავს, რაც კრივის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს, თუმცა ცზიუ კვლავაც ვერ პოულობს მოტივაციას რინგზე დასაბრუნებლად. "ვიცი, რომ შემიძლია კრივს სარგებლობა მოვუტანო. ჯერ კიდევ პოპულარული ვარ გულშემატკივართა შორის. ვიცი, რომ ჩემი ბრძოლები ყოველთვის საინტერესო იყო და თუ დავბრუნდი, გულშემატკივარი არაერთ დაუვიწყარ შოუს იხილავს. ჩემს საიტზე არაერთი გზავნილი მოდის. ხალხი დაბრუნებას მთხოვს. მე კი ჯერ არ ვიცი რა ვქნა. არ მინდა ნაჩქარევად მივიღო გადაწყვეტილება. ხომ შეიძლება დავბრუნდე და მერე ვინანო. თანაც კრივში უკვე ყველაფერს მივაღწიე", - აცხადებს ცზიუ.

## იაგრმა რუსეთი იუარა

ჩეხმა ჰოკეისტმა იარომირ იაგრმა უარი განაცხადა საწვრთნელი შეკრება გაიაროს რუსულ კლუბ "აკ ბარსთან" ერთად. შეგახსენებთ, რომ როდესაც ჰოკეის პოფესიულ ლიგაში ლოკაუტი გაჭიანურდა, იაგრმა გარკვეული პერიოდი ამ რუსულ კლუბში გაატარა და გუნდის ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობაც ჰქონდა. "აკ ბარსის" მესვეურებმა თხოვნით მიმართეს იარომირს, რომ NHL-ის მორიგი სეზონისთვის რუსულ გუნდთან ერთად მომზადებულიყო. თავიდან იაგრი თითქოს თანახმა იყო, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა რუსეთში ჩასვლა.

## როდიკი დაშავდა

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ენდი როდიკმა სერიოზული ტრავმა მიიღო და რამდენიმე ტურნირს გამოტოვებს. ექიმების თქმით, ენდი აშშ-ის ღია პირველობისთვის უკვე ფორმაში იქნება.

## უეფამ ისრაელი ფეხბურთის გარეშე დატოვა

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო უეფამ ისრაელში ევროთასების მატჩების გამართვა აკრძალა. ებრაულ კლუბებს საზღვარგარეთ მოუწევთ თავიანთი თამაშების გამართვა. ჯერ არ გადაწყვეტილა, კერძოდ სად შედგება ეს მატჩები. კლუბები თავად გააკეთებენ არჩევანს. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ევროპული ფეხბურთის მესვეურთა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს. "ხუთშაბათს ისრაელში პოპულარული ჯგუფი "დეპეშ მოუდი" ჩამოდის და სტადიონზე კონცერტს გამართავს. არ მესმის, თუ მუსიკოსებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს სტადიონზე სიმღერა, ფეხბურთელებს რაღა უნდა დაემართოთ", - განაცხადა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა იჩე მანჰაემმა.

რაოდენ ირონიულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ განცხადებიდან ორ საათში "დეპეშ მოუდმა" ისრაელში ჩასვლაზე უარი განაცხადა.

## ტრეზეგე რჩება, ვიეირა მიდის

გადაწყდა, რომ დავიდ ტრეზეგე მომავალ სეზონსაც ტურინის "იუვენტუსში" გაატარებს. ფრანგი ფორვარდი კლუბის ერთგული აღმოჩნდა და "იუვე" გასაჭირის ჟამს არ მიატოვა. სამაგიეროდ გუნდს აუცილებლად დატოვებს პატრიკ ვიეირა. ამ ფეხბურთელს კარიერის გაგრძელების რამდენიმე შანსი აქვს. ვიეირას "ინტერი", "მანჩესტერი" და "ბარსელონა" ეპატიჟებიან. იტალიური მედიის ვარაუდით, ფრანგი ნახევარმცველი "ინტერში" გადავა, ინგლისელები კი ირწმუნებიან, რომ პატრიკი "მანჩესტერს" აირჩევს. იმის გამო, რომ მანკუნიანელებმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე უკვე იყიდეს კარიკი და მას როი კინის მაისურიც გადაულოცეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იტალიელი ჟურნალისტები უფრო ახლოს არიან სიმართლესთან. გუშინვე რამდენიმე უცხოურმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პატრიკ ვიეირა უკვე შეუთანხმდა მასიმო მორატის და დღეს "ინტერთან" გააფორმებს კონტრაქტს. რა თანხას გადაიხდის მილანური კლუბი ფრანგ ნახევარმცველში, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა უკვე გადაწყდა, რომ 30 წლის პატრიკ ვიეირა მომავალ სეზონში "ინტერის" ღირსებას დაიცავს.

## დუნგა შანსს ყველას მისცემს

16 აგვისტოს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პირველ ოფიციალურ ამხანაგურ მატჩს გამართავს და სწორედ ამ შეხვედრაში შედგება კარლოს დუნგას სამწვრთნელო დებიუტი. ეს მატჩი სადებიუტო გამოდგება რამდენიმე ფეხბურთელისთვისაც. გუშინ დუნგამ ნაკრების შემადგენლობაში მოსკოვის ცსკას სამი ფეხბურთელი - რიკარდო კარვალიო, დუდუ და ვაგნერ ლოვიც დაასახელა. დუნგამ დასვენების საშუალება მისცა რონალდოსა და რონალდინიოს. მთლიანობაში დუნგას რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** გომეში (პსვ), ფაბიო (კრუზეირო)

**მცველები:** სისინიო (რეალი), მაიკონი (ინტერი), ჟილბერტო (ჰერტა), მარსელო (ფლუმინენსე), ლუსიო (ბაიერნი), ჟუანი (ბაიერი), ალექსი (პსვ), ედმილსონი (ბარსელონა), ლუიზაო (ბენფიკა)

**ნახევარმცველები:** ჟილბერტო სილვა (არსენალი), ელანო (შახტარი), დანიელ კარვალიო (ცსკა), მორაისი (ვასკო), ჟონატასი (ფლამენგო)

**თავდამსხმელები:** დუდა (ცსკა), ფრედი (ლიონი), რობინიო (რეალი), ვაგნერ ლოვი (ცსკა), ჟულიო ბაპტისტა (რეალი), ვაგნერი (კრუზეირო)

## ეშლი კოული მეთოფეებს დაემშვიდობა

გაზეთ "ტაიმსის" ინფორმაციის თანახმად, ეშლი კოული უკვე დაემშვიდობა არსენ ვენგერს და "არსენალის" ყველა ფეხბურთელს. კოული უკვე ესაუბრა "მეთოფეთა" ვიცე-პრეზიდენტს დევიდ დინს და უთხრა, რომ კლუბში დარჩენა აღარ სურს. გუშინ ფეხბურთელი კლუბის ოფისში მივიდა, რათა ყველა ფორმალობა მოეგვარებინა. სავარაუდოდ, ეშლი "ჩელსიში" ან "რეალში" გადავა. მართალია, "არისტოკრატები" მადრიდელებზე მეტ თანხას იხდიან ფეხბურთელში ("ჩელსი" კოულიში 25 მილიონ ევროს იხდის, "რეალი" - მხოლოდ 18-ს), მაგრამ შესაძლოა კოული მაინც ესპანეთში აღმოჩნდეს, რადგან ვენგერს არ სურს, რომ ფეხბურთელი თავის უმთავრეს კონკურენტს მიჰყიდოს.

# სტონიმირ სტოილოვი: "სიონთან მოდუნება არ შეიძლება"

პირველი გვერდიდან



სამი დღის წინ "ლევსკიმ" მომქანცველი მატჩი გამართა ბულგარეთის სუპერთასზე, რომლისთვის ბრძოლაში თანაქალაქელ და მუდმივ მეტოქე ცსკას დაუპირისპირდა. შეხვედრის ძირითადი დრო და ექსტრატაიმები ფრედ დასრულდა, პენალტების სერიაში ცსკას გაუმართლა და თასიც მას დარჩა.

"დასანანია, რომ სუპერთასზე დავმარცხდით. თუმცა, ხვალინდელ მატჩთან იმ შეხვედრას არავითარი კავშირი არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იმ დამღლელი თამაშიდან ორმოცდარვა საათიც არ გასულა და რამდენიმე ფეხბურთელმა მცირე ტრავმებიც მიიღო. არა მგონია, ამან უარყოფითად იმოქმედოს ჩემი გუნდის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ მზადყოფნაზე. ჩვენ გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს და ტრავმირებულების შეცვლა არ გაგვიჭირდება", - მიაჩნია ბულგარელთა თავკაცს.

2:0 სოლიდური უპირატესობაა, თუმცა სტოილოვი არ თვლის, რომ მიზანი მიღწეულია და მისი გუნდი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეა.

"კარგი ფორა გვაქვს, თუმცა იმის თქმა, რომ უკვე შემდეგ ეტაპზე გავედით, სწორი არ იქნება. მოდუნება ნამდვილად არ შეიძლება. თუ საქმეს არასერიოზულად მივუდგებით, შეიძლება დავისაჯოთ კიდეც. "სიონს" ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ ჩვენი ნებისმიერი შეცდომა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს", - თავის გუნდს აფრთხილებს მწვრთნელი.

"ლევსკი" ორბურთიანი უპირატესობით დაკმაყოფილებას არ აპირებს და გამარჯვების მოპოვებას თბილისშიც შეეცდება.

"ფორის მიუხედავად, დაცვაში "ჩაჯდომას" არ ვაპირებთ. ასე თამაში არა მხოლოდ ჩვენი სტილი არ არის, არამედ არც ვიცით. ჩვენი კოზირი შემტევი ფეხბურთია და ხვალაც მოსაგებად გავალთ მოედანზე. გასულ სეზონში უეფას თასზე ნაჩვენები შედეგები გვიბიძგებს, რომ მოპოვებული ავტორიტეტი არა მხოლოდ შევინარჩუნოთ, არამედ კიდევ უფრო პატივსაცემი გუნდის იმიჯი შევიქმნათ", - გვითხრა სტოილოვმა.

გუშინ ამავე არენაზე "სიონმაც" ივარჯიშა. ჟურნალისტთა შეკითხვებისთვის არც ბოლნისელთა დამრიგებელს კახა ცხადაძეს აურიდებია თავი.

"სამწუხაროა, რომ პირველ მატჩში ასეთი ანგარიშით დავმარცხდით. თქმა არ უნდა, ტარიტორიულ უპირატესობას მეტოქე ფლობდა, რასაც მოველოდით კიდეც. ბულგარეთის ჩემპიონი გამოცდილი და კვალიფიციური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. თან, ეს ფეხბურთელები დიდი ხანია ერთად თამაშობენ. ბოლო სამი წელი "ლევსკის" მოთამაშეთა ბირთვი არ შეცვლილა, რის გამოც ეს გუნდი ბრწყინვალედ არის შეთამაშებული. კლასში მეტოქის უპირატესობის გათვალისწინებით, თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ. რამდენიმე ისეთი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ასპროცენტიანს რომ ეძახიან. მეტოქემ კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე გოლი ჩვენს კარში მსაჯის უხეში შეცდომების შედეგად გავიდა. ბაზის არბიტრებმა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობები არ დააფიქსირეს, რომელთა შემდეგაც გოლები გაგვიტანეს. თუმცა, ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. ჩვენ უკვე ხვალინდელ თამაშზე ვართ კონცენტრირებულები", - განაცხადა ცხადაძემ.

"სიონის" მეტოქე გამოცდილი და მაღალი კლასის გუნდია, თუმცა, ცხადაძე მიიჩნევს, რომ, ამის მიუხედავად, მის გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის მინიმალური შანსი მაინც აქვს.

"თუ რაოდენ მაღალი კლასის გუნდია "ლევსკი", ეს მისი შარშანდელი გამოსვლებითაც მტკიცდება. მაგრამ ეს გუნდიც უშვებს შეცდომებს, რაც სიმბოლურ, მაგრამ გარკვეულ შანსს მაინც გვიტოვებს. კლასში და გამოცდილებაში სხვაობის კომპენსირება დიდი მონდომებით, თავდადებით და სწორი ფეხბურთის დემონსტრირებით შეიძლება, რასაც ხვალ აუცილებლად შევეცდებით. თუ ტურნირს გამოვეთიშებით, ეს სავსებით ლოგიკური იქნება, ხოლო თუ ამ ეტაპს გადავლახავთ - დიდი სენსაცია. ამდენად, ფსიქოლოგიურად არცთუ წამგებიან სიტუაციაში ვართ. მე ჩემს ფეხბურთელებს მოვთხოვ, რომ ყურადღებით, მაგრამ ლაღად და თავისუფლად ითამაშონ", - აღნიშნა "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა.

ჩვენს გუნდს გარკვეული პრობლემები აქვს შემადგენლობის თვალსაზრისით. გასულ სეზონში "სიონის" ბომბარდირი და საჩემპიონო სვლის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი კოკა მიკუჩაძე უცხოეთში აგრძელებს კარიერას.

"მიკუჩაძეს კარიერის უცხოეთში გაგრძელების შანსი გაუჩნდა და ხელი არ შეგვიშლია. მას არც სოფიაში უთამაშია და არც ხვალ ითამაშებს. დისკვალიფიკაციის გამო მატჩს გამოტოვებს კობაური. შეუცვლელი არავინ არის. განსაკუთრებით მაინც მიკუჩაძის შეცვლა გაგვიჭირდება, თუმცა, მის შემცვლელსაც მოვნახავთ. მთელი გუნდი მოსაგებად არის განწყობილი. ბიჭები მოედანზე იმისთვის გამოვლენ, რომ ბოლომდე იბრძოლონ და სენსაცია მოახდინონ", - იმედს არ კარგავს კახა ცხადაძე.

# "ხრუშა" ფრანგულ მინდვრებს მიადგა

### გიორგი ჟღენტი "მონფერანისთვის" ბარგს ალაგებს

გიგა გურასაშვილი

*როდესაც 9 წლის გახდა, მშობლებმა წყალბურთზე მიიყვანეს. 17 წლამდე აუზიდან თავი არ ამოუყვია. აღნაგობაზეც ეტყობა წყალბურთის კვალი. "ლაგუნა ვერეზე" წყალბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის სოსო მაისურაძის მეთვალყურეობით ვარჯიშობდა. მერე ოვალური სამყაროსკენ გაუწია გულმა. თუმცა ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. როგორც თვითონ ამბობს, წყალბურთი საქართველოში უპერსპექტივო სახეობად მიიჩნია, ამასთან, სხვა ფინანსებსაც მოითხოვდაო. ერთი სიტყვით, 17 წლიდან რაგბის თამაშობს. რაგბიში პირველხაზელია, იგივე ბურჯი. მაშ ასე, გაიცანით: გიორგი ჟღენტი, იგივე "ხრუშა", როგორც მას ეძახიან თანაგუნდელები.*



*გიორგი ჟღენტი (მარცხნივ) მეტოქის ჩათვლის მოედანს უტევს.*

რამდენიმე დღეში "ხრუშა" ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს თუ არა, საშუალოზე მაღალი დონის ფრანგული კლუბის "მონფერანის" მაისურს მოირგებს. ერთი წლის შემდეგ კი შესაძლოა ძირითად შემადგენლობაშიც აღმოჩნდეს.

რაგბის თამაში "დინამოში" დაიწყო. დინამოელებთან დებიუტმა სულ ერთ თვეს გასტანა. მერე თემურ ბენდიანიშვილი - "ლოკომოტივის" მაშინდელი მწვრთნელი გაიცნო. ბენდიანიშვილისა და ჟღენტის სურვილი ერთმანეთს დაემთხვა და მალე ლოკომოტიველებთან გადაბარგდა. ამბობს კიდეც, რაგბის თამაში იქ, "ლოკომოტივში" ვისწავლეო. ქართველი ბურჯისა და "ლოკომოტივის" გზები შარშან გაიყარა.

ერთი სეზონი კონსტანცაში (რუმინეთში), კლუბ "ფარულში" გაატარა. იქაც ბევრი ისწავლა. რუმინული კარიერა იმით დაიწყო, რომ 2004 წლის 20 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე რუმინელებმა "ხრუშას" დაადგეს თვალი. მანამდე 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. 2005 წელს კი რუმინელებიც გამოჩნდნენ. ქართველი ბურჯით დაინტერესება რეალური აღმოჩნდა. ლევან მგელაძის დახმარებით მალე კონსტანცას გზასაც დაადგა.

20 წლამდელთა შორის შარშანაც იბურთავა ევროპაზე, წლეულს კი - 21 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ასაკობრივი ნაკრებების გარდა სიამაყით იხსენებს იმასაც, რომ ეროვნულ ნაკრებში სამჯერ ათამაშეს. ამასთან, პირველად მაშინ, როდესაც 18 წლის იყო, თანაც ურუგვაისთან და ჩილესთან.

საქართველოს თასის არაერთგზის მფლობელი და ჩემპიონი გუშინ "24 საათს" სტუმრობდა. მიზეზი სწორედ ფრანგული კარიერის დასაწყისია.

"21 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ტრიბუნებიდან ვადევნებდი თვალს, რომ "მონფერანის" დირექტორი მოვიდა და ირაკლი ჭყონიასა და დიმიტრი ბასილაიასთან ერთად საფრანგეთში თამაში შემომთავაზა. ბუნებრივია, მონფერანელთა წინადადებამ მოგვხიბლა. კლუბის დირექტორმა გვითხრა: ერთი წელი დაგაკვირდებით, გამოგცდით და თუ მოგვეწონებით, კონტრაქტს გავაფორმებთო".

ერთი წლის შემდეგ რა იქნება, ვერ გეტყვით. ის კი ვიცით, რომ ქართველი ბურჯი უკანდახევას არ აპირებს და ნებისმიერი გამოწვევისთვის მზადაა. დარწმუნებული ვარ, იმდენს გავაკეთებ, რომ კლუბში დამტოვებენო, - ამბობს.

იმის ილუზია, რომ ქართველ სამეულს ჩასვლისთანავე ძირითად გუნდში ათამაშებენ, არავის აქვს, მაგრამ ამ კლუბში ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ჯერჯერობით მეორე გუნდში ითამაშებენ. შიგადაშიგ დიდებთანაც შეგიშვებთ მოედანზეო, - უთქვამთ. ესეც სტიმული.

მოგვიანებით შეიტყო, რომ მისით ასევე ფრანგული კლუბი, ამასთან, უფრო ტიტულოვანი "ბეარიციც" დაინტერესებულა, მაგრამ...

"ბეარიციც" იგივე პირობებს მთავაზობდა, მაგრამ "მონფერანმა" გადაძალა. უფრო იმიტომ, რომ "ბეარიცში" ქართველები არ არიან. თან, ტესტები უნდა ჩაეტარებინათ. ზუსტად არ ვიცოდი, დამტოვებდნენ თუ არა. ამიტომ იქ ყოფნა ვამჯობინე, რაც უფრო ზუსტად იყო გარკვეული".

ესეც რომ არა, "მონფერანში" უფრო პატივს სცემენ ქართველებს (განსაკუთრებით ლევან ცაბაძეს, იგივე "ლეონსიოს"), ვიდრე სხვა რომელიმე ფრანგულ კლუბში. აქვე არიან გოდერძი შველიძე, დავით ზირაქიშვილი, მეორე გუნდშია სიმონ მაისურაძე. ახლა მათ კიდევ სამი ქართველი დაემატება. მათ შორის გიორგი ჟღენტი.

ქართველი ბურჯი რამდენიმე დღეში საფრანგეთში გაემგზავრება და 18 აგვისტოდან სეზონისთვის მზადებას შეუდგება. ახლა ყველაფერი "ხრუშას", ჭყონიასა და ბასილაიას მონდომებაზეა დამოკიდებული.

# ტარდელის ტურინული ფიქრები

მიმდინარე სეზონში ტურინის "იუვენტუსში" იმდენი რადიკალური ცვლილება მოხდა, ბარე მთელი მისი არსებობის მანძილზე რომ არ მომხდარა. ჯერ იყო და, "ბებერი ქალბატონი" სერია ბ-ში დააქვეითეს, მერე კლუბი მთავარმა მწვრთნელმა, გენიოსმა ფაბიო კაპელომ დატოვა და მადრიდის "რეალში" გადასულმა წამყვანი ფეხბურთელებიც გააყოლა ხელს. კერძოდ, ფაბიო კანავარო და ბრაზილიელი ემერსონი.

"იუვეს" სათავეში მისულმა ფრანგმა დიდიე დეშამმა კი კატეგორიულად განაცხადა, რომ გუნდს ვერც ერთი მოთამაშე ველარ დატოვებდა. ამას, ცხადია, ფეხბურთელთა უკმაყოფილება მოჰყვა. ტურინული კლუბის ვარსკვლავები, როგორებიც არიან, მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და მაურო კამორანეზი, აცხადებენ, რომ სერია ბ-ში თამაში არ უნდათ და არც შეეფერებათ.

ერთი სიტყვით, "ბიანკონერის" გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ისევ ძალაშია. "ბებერი ქალბატონის" პერსპექტივებსა და მომავალი სეზონისთვის მზადების შესახებ იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს ესაუბრა კლუბის ექს-ფეხბურთელი, დღეს კი სპორტული ხელმძღვანელი მარკო ტარდელი.




**- როგორ შეეგუეთ ახალ თანამდებობას?**

- არც კლუბთან და არც ახალ თანამდებობასთან შეგუება არ გამჭირვებია. მიყვარს ჩემი საქმე და აქ მუშაობით კმაყოფილი ვარ. "იუვეში" ხომ ბევრი დაუვიწყარი წელი მაქვს გატარებული.

**- თქვენს მოვალეობას ვერ დაგვიკონკრეტებთ?**

- "იუვეს" სპორტული კომიტეტის წევრი ვარ. კომიტეტის წევრები თვეში ერთხელ ვმართავთ სხდომას, რომელზეც ამ ხნის განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს განვიხილავთ.

**- "იუვენტუსის" წინასასეზონო მატჩს "ალესანდრიასთან" არ დასწრებიხართ. რატომ?**

- ჩემს მოვალეობაში არ შედის გუნდის სათამაშო მომზადება. ასე რომ, არც მატჩებზე დასწრება მევალება.

**- სერია ა-დან გამოვარდნის შემდეგ კლუბი არაერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ბევრი ფიქრობს, რომ მათ გაჭირვებაში მყოფი "იუვე" დაალალატეს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- არა. არ შეიძლება ფეხბურთელები მოღალატეებად მოვნათლოთ. ის, რომ ბევრი მოთამაშე სხვა კლუბში გადავიდა, ეს მათი არჩევანია და მეტი არავისი. გუნდში დღემდე მსოფლიო ჩემპიონატზე მოასპარეზე და მუნდიალის მომგები ფეხბურთელები ირიცხებიან. თუმცა, მათი დაკავება შეუძლებელია. წლეულს "იუვეს" ისტორიაში ახალი ერა დაიწყო: შეიცვლა საქმისადმი მიდგომა, აზროვნება. როდესაც ასეთი ძირეული ცვლილებები ხდება, იცვლებიან ფეხბურთელებიც. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენს გუნდში მაინც მაღალი დონის მოთამაშეები დარჩნენ, ისეთები, როგორებიც არიან ბუფონი, ლეგროტალიე, ნედვედი და დელ პიერო. დარწმუნებული ვარ, სერია ბ-ში პირველი ადგილის მოპოვება არ გაგვიჭირდება.

**- კმაყოფილი ხართ სასამართლოს გადაწყვეტილებით?**

- რა თქმა უნდა. სასამართლოს სასჯელი რომ არ შეემსუბუქებინა, ყველაზე მეტად გუნდი და გულშემატკივრები დაშავდებოდნენ და არა ყოფილი ხელმძღვანელები.

**- არც იმას აპროტესტებთ, რომ სკუდეტო "ინტერს" გადაეცა?**

- ეს, ალბათ, მარტო მასიმო მორატის გაუხარდა.

# "თავური დარტყმა"

სიმღერა სახელწოდებით "Coup de boule", რაც ქართულად "თავურ დარტყმას" ნიშნავს, სამმა ფრანგმა გულშემატკივარმა მსოფლიო ჩემპიონატის საფრანგეთი-იტალიის ფინალის დასრულებიდან ოცდაათ წუთში ჩაწერა.

იმ დღიდან მოყოლებული კარიბულ რიტმში შექმნილი ზემოხსენებული სიმღერა საფრანგეთის ჰიტ-პარადების უცვლელი ლიდერია. ადგილობრივი და არა მხოლოდ ადგილობრივი მსმენელი ზიდანი-მატერაცის ისტორიაზე შექმნილ ჰანგებს მოუხიბლავს.

ივლისის მეორე ნახევარში "თავური დარტყმა" ინტერნეტშიც გამოჩნდა. სტატისტიკური მონაცემებით, ის უკვე 80 ათასმა მომხმარებელმა გადაქაჩა. თვის მიწურულს საფრანგეთის ჰიტ-პარადების ლიდერი CD სინგლის სახითაც გამოიცა. ზიდანის გახმაურებულ თავურზე შექმნილმა კარიბულმა რიტმებმა მობილური ქსელებიც დაიპყრეს და დღეს ეს მელოდია ზიზუს სამშობლოში ყველაზე პოპულარული რინგტონია.

"თავური დარტყმა" მუსიკალურ სტუდია La Plage Record-ში ჩაიწერა. ფრანგი ფანების შემოქმედება პირველად საფრანგეთის რადიოსადგურ "Skyrock"-ში დატრიალდა. კომპანია "Warner Music"-მა კი სიმღერა გამოისყიდა და CD-ის სახით გამოსცა, რომლის 135 ეგზემპლარიც უკვე გაიყიდა.


"ზიზუს თავურს" საფრანგეთში სიმღერა მიუძღვნეს.

სიმღერის ტექსტი იუმორისტულია და, ცხადია, ძირითადად ზიდანის მიერ მატერაცისთვის მიყენებულ დარტყმაზეა საუბარი. ავტორებმა არც ფინალის შემდგომ თერთმეტმეტრიანების სერიაში დავიდ ტრეზეგეს გაფუჭებული პენალტი დაივიწყეს და რამდენიმე სტრიქონი მასაც მიუძღვნეს.

"Coup de boule" მსოფლიოს ოც ქვეყანაში გავრცელდა, მათ შორის იაპონიასა და ფილიპინებზე. როგორც "Warner Music"-ის წარმომადგენლები ამბობენ, პოპულარული სიმღერა მალე იტალიურ და ესპანურ ენებზე ჩაწერილიც გამოვა გასაყიდად.

რაც შეეხება "თავური დარტყმის" გმირს, ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ზინედინ ზიდანი კვლავაც "უმუშევარია", თუმცა მას სერიოზული თანამდებობა შესთავაზა იოგურტის მწარმოებელმა საქვეყნოდ ცნობილმა კომპანიამ "დანონმა".

სხვათა შორის, ზიზუ კარგა ხანია "დანონის" საფეხბურთო გუნდს კაპიტნობს. გუნდი სხვადასხვა საქველმოქმედო და სოციალური დახმარების ეგიდით მართავს მატჩებს.

# კაკამ მილანი დაამშვიდა

"მილანის" გულშემატკივრებს ჯერაც არ მოუნელებიათ შევჩენკოს დაკარგვა. უკრაინელი ფორვარდის გაყიდვის შემდეგ კლუბის გულშემატკივრებში გარკვეულმა უიმედობამაც კი დაისადგურა. ამას დაემატა სასჯელი, რომელიც "მილანს" დაეკისრა. ბოლო ერთი თვეა კი გამუდმებით საუბრობენ კაკას ტრანსფერზე. ბრაზილიელს მადრიდის "რეალი" იწვევდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ტრანსფერი უკვე გაფორმებულია, რამაც მილანში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მეტიც: იტალიური გრანდის ხელმძღვანელებმა ღია ომი გამოუცხადეს სამეფო კლუბს. როგორც იქნა, რიკარდო კაკა ან, უბრალოდ, რიკი, როგორც მას იტალიაში უწოდებენ, მილანში ჩავიდა და "მილანელოს" ბაზაზე გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. შემდეგ კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტს ესაუბრა და შეძლებისდაგვარად გააქარწყლა არსებული ჭორები.

**- რიკი, ბოლოს და ბოლოს, გვითხარი, რა ხდება, მართლა აპირებ "რეალში" გადასვლას?**

- ძალიან კარგი, რომ საუბარი ამ კითხვით დაიწყეთ. ამის ატანა უკვე შეუძლებელია. გაზეთებს რომ ვკითხულობ, თვალებს არ ვუჯერებ. მგონი დროა ყველაფერში სიცხადე შევიტანო. მერწმუნეთ, არავისთან არასდროს არ მისაუბრია ტრანსფერზე. თქვენ იცით, რომ ჩემს საქმეებს მამაჩემი განაგებს. არც მას ჰქონია შეხვედრები სხვა კლუბების წარმომადგენლებთან.


კაკა "მილანის" ერთგულია.

**- კი მაგრამ, მაშინ საიდან მოდის ეს ჭორები?**

- არ ვიცი. ვფიქრობ, ზოგიერთს ჩემსა და "მილანს" შორის ურთიერთობის გაფუჭება უნდა.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კაკა "მილანს" არ დატოვებს?**

- ამის თქმა ასპროცენტიანი გარანტიით შემიძლია.

**- იტალიაში ატეხილ სკანდალზე რას იტყვი?**

- ვცდილობ გავიგო რა მოხდა. როგორც იცით, კონტრაქტი ვერდიქტის გამოცხადებამდე გავაფორმე. რა თქმა უნდა, მეშინოდა. არ გეწყინოთ და, თუ "მილანს" დააქვეითებდნენ, შესაძლოა წასვლაზეც მეფიქრა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, "მილანისთვის" ყველაფერი კარგად დასრულდა.

**- კარგა ხანია იტალიის საზღვრებს გარეთ იყავი. როგორ შეაფასებ იტალიურ ფეხბურთს გარედან?**

- იტალია მსოფლიო ჩემპიონი გახდა და, ცხადია, ეს იტალიურ ფეხბურთს დაეხმარება. იტალიის მიღმა ბევრი ამბობდა, რომ ატეხილი სკანდალის გამო იტალიის ნაკრები მუნდიალს ჩააგდებდა. თუმცა "სკუადრა აძურამ" მსოფლიოს თასი მოიგო და ეს არის პასუხი ყველა კითხვაზე. იტალიური ფეხბურთი ცოცხალია.

**- ბრაზილიის ნაკრების თამაშზე რას იტყვი?**

- საფრანგეთის ნაკრებმა ჩვენზე უკეთ ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. სხვას ვერაფერს გეტყვით. მოდით, ნაკრების თემას თავი დავანებოთ. ჩემთვის ძნელია ამაზე საუბარი.

**- იტალიის ჩემპიონის ტიტული "ინტერს" გადაულოცეს...**

- პირველ რიგში მინდა მივულოცო ჩემს ბრაზილიელ მეგობრებს, რომლებიც "ინტერში" თამაშობენ.

**- "მილანი" საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებს ჩემპიონთა ლიგას. ეს მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა იყოს.**

- ასეთი რამ ადრეც მომხდარა. როდესაც პირველად ჩავირიცხე "მილანში", სწორედ საკვალიფიკაციო ეტაპიდან დავიწყეთ ჩემპიონთა ლიგა და ამაში ტრაგიკული არაფერი ყოფილა. მეტიც: შესაძლოა უკეთესიც იყოს - თამაშს ადრე დავიწყებთ და საუკეთესო ფორმაშიც ადრე შევალთ.

**- შევჩენკოს ტრანსფერზე რა აზრის ხარ?**

- ცოტა უცნაურად მეჩვენება. "მილანელოზე" მოვედი, ვივარჯიშე, ანდრეი კი არსად ჩანს. შევჩენკო დიდი ფეხბურთელი და ბრწყინვალე ადამიანია. რა თქმა უნდა, გული დამწყდა, რომ გუნდი დატოვა, მაგრამ მინდა ყველაფერი კარგი ვუსურვო. იმედია, მეგობრებად დავრჩებით. მერე რა, რომ ის ლონდონშია, მე კი - მილანში. ძალიან უცნაური იქნება მისი ხილვა სხვა გუნდის მაისურით. თუმცა, რას იზამ, ასეთია თანამედროვე ფეხბურთი...

## სკანდალი რუსულ ფეხბურთში

საფეხბურთო სამყარო ახალ-ახალი სკანდალებით გვანებივრებს. იტალიელებს და ინგლისელებს არც რუსები ჩამორჩნენ. საერთოდ, რუსეთის ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშების არსებობას არაოფიციალურად არავინ უარყოფს. ოფიციალურ დონეზე კი რატომღაც არავინ იღებს ხმას. ტოტალიზატორზე თამაშის მოყვარულებისთვის მშვენივრად არის ცნობილი, რომ რუსეთის ჩემპიონატის ზოგიერთ თამაშზე ფსონებს არ იღებენ. ტური ისე არ ჩაივლის, რომ ტოტალიზატორებიდან რამე თამაში არ ამოაგდონ, რაც ნათელი დასტურია იმისა, რომ ასეთი მატჩის საბოლოო შედეგი მის დაწყებამდე კარგა ხნით ადრეა ცნობილი. მორიგი ასეთი მაგალითის მოწმენი აღმოვჩნდით რუსეთის ჩემპიონატის განვლილ ტურში. ტური "როსტოვისა" და ნალჩიკის "სპარტაკის" მატჩით სრულდებოდა. ნალჩიკელები ლიდერობენ და საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან, როსტოვული გუნდი კი გადარჩენისთვის იბრძვის. მატჩამდე ერთი დღით ადრე ერთ-ერთ რუსულ საიტზე დაიწერა, რომ ეს შეხვედრა ჩაწყობილია. ითქვა, რომ ანგარიშს ნალჩიკელი ფეხბურთელები გახსნიან, შეხვედრა კი "როსტოვის" გამარჯვებით - 2:1 დასრულდება. იმ დღეს ეს მხოლოდ რიგითი გულშემატკივრის ვარაუდი იყო, რადგან ყოველივე ერთ-ერთ ინტერნეტ-ფორუმზე გამოქვეყნდა. მატჩი ორშაბათს გაიმართა, სცენარი კი ზუსტად ისეთი გამოდგა, როგორიც უცნობმა გულშემატკივარმა იწინასწარმეტყველა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელ ვიტალი მუტკოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ არ შეეშინდება და იტალიურ სცენარს რუსეთშიც გაიმეორებს. ახლა ალბათ სიტყვებიდან საქმეზე გადასვლის დროა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირს ჯერჯერობით ამ საქმის გამოძიება არ დაუწყია, თუმცა რუსული მედია დაუყოვნებლივ მოითხოვს ამას.

## ვან ნისტელროის ნაცვლად კუიტი

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდის დირკ კუიტის შეძენა სურს. კუიტმა "მანჩესტერში" მისი თანამემამულე რუუდ ვან ნისტელროი უნდა შეცვალოს, რომელიც მადრიდის "რეალში" გადავიდა სათამაშოდ.

## აბრამოვიჩს ტორესიც მოუნდა

რომან აბრამოვიჩი თავის გუნდში კვლავ ვარსკვლავების კრებულს აგროვებს. "ჩელსის" სატრანსფერო პოლიტიკა კიდევ ერთხელ იწვევს გაკვირვებას. ამჟამად რუს მილიარდერს ფერნანდო ტორესის შეძენა მოუნდა. მისტერ "ჩელსკი" მზადაა ესპანელ ფორვარდში 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. თავისთავად ტორესის შეძენაში უცნაური არაფერია - ფერნანდო მაღალი დონის ფეხბურთელია და მის შეძენაზე არც ერთი გრანდი არ იტყოდა უარს, თუმცა არსებობს საკითხის მეორე მხარე. რაში სჭირდება "ჩელსის" ტორესი. თავად განსაჯეთ: ლონდონურ კლუბს ჰყავს ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც არიან შევჩენკო, დროგბა და კრესპო. თუ ჟოზე მოურინიოს სათამაშო ტაქტიკას გავითვალისწინებთ, ამ სამიდან შესაძლოა ორი დარჩეს სათადარიგოთა სკამზე. ყოველ შემთხვევაში, გასულ სეზონში პორტუგალიელი ხშირად თამაშობდა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდით. ამრიგად, ტორესის ყიდვა ამ ეტაპზე, მსუბუქად რომ ვთქვათ, ფულის უაზრო ხარჯვა იქნება და მეტი არაფერი.

## მადლიერი მიდო

ეგვიპტელი ფორვარდი აჰმედ მიდო, რომელმაც გასული სეზონი იჯარით "ტოტენჰემში" გაატარა, ცოტა ხნის წინ დაბრუნდა "რომაში" და იმედოვნებს, რომ მეორე შანსს აუცილებლად გამოიყენებს. "მინდა მადლობა გადავუხადო "რომას" მესვეურებს. მათ მე დამაბრუნეს და კიდევ ერთი შანსი მომცეს. არადა, კლუბს ჩემი გაყიდვა შეეძლო. ფინანსური თვალსაზრისით "რომას" აშკარად აწყობდა ჩემი გაყიდვა "ბლექბერნში". საბედნიეროდ, კლუბის ხელმძღვანელებმა ჩემი სურვილი გაითვალისწინეს და ტრანსფერზე არ დამაყენეს. მომავალ სეზონში ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათ იმედი არ გავუცრუო", - აცხადებს ეგვიპტელი ფორვარდი.

## დღეს "მილანის" ბედი გაირკვევა

დღეს, თბილისის დროით 16.00 საათზე, უეფა გამოიტანს გადაწყვეტილებას "მილანის" თაობაზე. უნდა გაირკვეს დაუშვებს თუ არა უეფა "მილანს" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. იმის გამო, რომ უეფას ხელმძღვანელობას არც კი განუხილავს, თუ ვინ შეიძლება შეცვალოს "მილანი" ჩემპიონთა ლიგაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იტალიურ გრანდს ცუდი არაფერი ემუქრება.

## ბუკმეიკერებმა ფავორიტები დაასახელეს

ჯერ ისიც კი არ არის ცნობილი, თუ ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, წამყვანმა ბუკმეიკერულმა ფირმამ "უილიამ ჰილმა" კი უკვე დაასახელა 2006-07 წლის ჩემპიონთა ლიგის ფავორიტი გუნდები. ბუკმეიკერების ვარაუდით, ლიგას "ჩელსი" ან "ბარსელონა" მოიგებენ. ახლა ამ გუნდებზე ფსონი 7-2 და 7-1-ია. ფავორიტთა ხუთეულში აგრეთვე მოხვდნენ "მილანი", "მანჩესტერი" და "რეალი". არც ისე ცუდადაა შეფასებული "ინტერის", "ლივერპულის", "არსენალის", "ბაიერნისა" და "ლიონის" შანსებიც.

## კაპელოს შავი სია

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტად მადრიდის "რეალი" აქტიურობს. "სამეფო კლუბის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშნულმა ფაბიო კაპელომ ნამდვილი სატრანსფერო რევოლუცია მოაწყო. "რეალმა" უკვე იყიდა სამი ვარსკვლავი - ფაბიო კანავარო, ემერსონი და რუუდ ვან ნისტელროი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ სეზონში "რეალი" ფეხბურთელების დეფიციტს არ განიცდიდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მადრიდელები ცოტა ხანში არასაჭირო მოთამაშეების გაყიდვა-განათხოვრებას დაიწყებენ. გუშინ ცნობილი გახდა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებმაც შესაძლოა უახლოეს დღეებში დატოვონ მადრიდის "რეალი". ესპანელმა ჟურნალისტებმა ამ ჩამონათვალს უკვე უწოდეს კაპელოს შავი სია, რომელშიც მოხვდნენ: მიჩელ სალგადო, ჯონათან ვუდგეიტი, რაულ ბრავო, ივან ელგერა, ტომას გრავესენი, პორტილიო, ჟულიო ბაპტისტა და რონალდო.

## სამუნდიალო აუქციონი

მსოფლიო ჩემპიონატის ინვენტარს და ტურნირის ცნობილ მონაწილეთა და სტუმართა პირად ნივთებს აუქციონზე გაყიდიან.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის განცხადებით, შაბათიდან მოყოლებული, ექვს გერმანულ ქალაქში გაიმართება საჯარო აუქციონები, რომლებზეც მუნდიალის ინვენტარი გაიყიდება.

იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თუ რა ნივთებზეა საუბარი, გეტყვით, რომ აუქციონზე გაიყიდება ფრანც ბეკენბაუერის ჰალსტუხი, რომელზეც ავტოგრაფი თავად კაიზერმა დატოვა, აგრეთვე იურგენ კლინსმანის კოსტიუმი, ბასტიან შვაინშტაიგერის ბუცები... აგრეთვე კარის ბადეები, კუთხურის ალმები, ბურთები, სკამები.

გერმანელები ვარაუდობენ, რომ ამ აუქციონებიდან საკმაოდ დიდ თანხას მიიღებენ. მთელი შემოსავალი საქველმოქმედო ფონდებში გადაირიცხება.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ შვაინშტაიგერის ბუცების საწყისი ფასი 200 ევროა, კლინსმანის კოსტიუმის კი - 400.

აუქციონის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ლოტი მე-100 ნომრად გამოვა გასაყიდად. ეს გახლავთ ბურთი, რომელზეც ავტოგრაფები დატოვეს: პელემ, ბეკენბაუერმა, ზეპ მაიერმა, გერმანიის ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელმა იოაკიმ ლიოვმა, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, ბავარიის პრემიერ-მინისტრმა ედმუნდ შტოიბერმა, გერმანიის ექს-კანცლერმა გარჰარდ შროიდერმა და ტოპ-მოდელმა კლაუდია შიფერმა. ამ ბურთის საწყისი ფასი 1500 ევრო იქნება.

## იბრაჰიმოვიჩი "მილანში" გადადის

"მილანმა" უკვე დაითანხმა ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ახლა ჯანლუიჯი ბუფონის გადაბირებასაც ლამობს, "იუვენტუსი" კი მეკარე ამელიას ტრანსფერზე ალაპარაკდა.

ის, რომ იბრაჰიმოვიჩი "იუვენტუსს" დატოვებდა, კარგად იყო ცნობილი. მილანელებმა ტურინული კლუბის მესვეურებთან საუბრით დრო არ დაკარგეს და პირდაპირ ფეხბურთელის აგენტს შეხვდნენ, რომლისგანაც ტრანსფერზე დადებითი პასუხი მიიღეს. რაც შეეხება "იუვენტუსს", ტურინულმა კლუბმა შვედი ფორვარდი 40 მილიონ ევროდ შეაფასა.

"მილანი" ამ თანხის გადახდაზე ყაბულს იყო, თუმცა იბრაჰიმოვიჩის ყიდვა "ინტერსაც" სურდა. ამიტომ მილანელები პირდაპირ ფეხბურთელს მოელაპარაკნენ. მას შემდეგ, რაც მისგან ტრანსფერზე თანხმობა მიიღეს, უკვე "იუვენტუსის" მესვეურებს მიადგებიან და საჭირო 40 მილიონსაც გადაუხდიან.

## რიბერი "მარსელში" დარჩება

"მარსელის" პრეზიდენტმა პაპ დიუფმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ აპირებს ფრენკ რიბერის გაყიდვას. "ფეხბურთელთან უთანხმოება არ არსებობს. მე ვესაუბრე რიბერის და ყველაფერი მოვაგვარეთ. ფრენკს სურს გუნდში დარჩენა, ჩვენ კი მის გაყიდვას ისედაც არ ვაპირებდით", - აცხადებს დიუფი.

## რონალდუს ემუქრებიან

გაზეთ "სანის" მტკიცებით, ბრიტანელი გულშემატკივარი კრიშტიანუ რონალდუს საპროტესტო აქციას მოუწყობს. ეს მოხდება პირველივე მატჩში, რომელშიც რონალდუ "მანჩესტერის" შემადგენლობაში ითამაშებს. ბრიტანელები პორტუგალიელს მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარ ინციდენტს ვერ პატიობენ. აქცია მომავალი სამშაბათისთვის არის დაგეგმლი, როდესაც "მანჩესტერი" ამხანაგურ მატჩს გამართავს "ოქსფორდის" წინააღმდეგ.

## ანრის გარეშე

"არსენალის" კაპიტანი ტიერი ანრი ვერ მიიღებს მონაწილეობას თავისი გუნდის ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში, რომელიც გუნდმა მომავალ კვირაში უნდა გამართოს.

ანრის გარდა, "არსენალს" ვერც იენს ლემანი დაეხმარება. მეკარე დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს შეხვედრას, ტიერი ანრი კი ტრავმირებულია.

"არსენალის" სავარაუდო მეტოქე იქნება ხორვატიული გუნდი ზაგრების "დინამო", რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიტფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი 4:1 მოუგო ლიტვურ "ეკრანასს". განმეორებითი შეხვედრა დღეს ზაგრებში უნდა გაიმართოს.

## გინდათ ტონი? გადაიხადეთ!

"ფიორენტინა" მზადაა გაყიდოს გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ლუკა ტონი, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე კლუბისგან სარფიან წინადადებას მიღებს. ფლორენციული კლუბის სპორტული დირექტორის პანტავლეო კორვინოს განცხადებით, თანხა, რომლის გამოც "ფიორენტინამ" შეიძლება შეცვალოს გადაწყვეტილება და გაყიდოს ტონი, 18 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

"ბოლო სამი წლის განმალობაში ტონიმ 80 გოლი გაიტანა. ის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო გასულ სეზონშიც. ტონი მსოფლიო ჩემპიონი და იტალიის ნაკრების მთავარი ბომბარდირია. თუ ვინმეს ამ ფეხბურთელის შეძენა სურს, სოლიდური თანხის გადახდა მოუწევს. ჩემი აზრით, როცა ჩემპიონი ფეხბურთელის ყიდვა გინდა, ისე უნდა იქცეოდე, როგორც აბრამოვიჩი. მან "მილანს" ისეთი წინადადებით მიმართა, რომ ბერლუსკონიმ შევჩენკოც კი გაყიდა. ამბობენ, ტონის შეძენა "ინტერს" სურსო. პირადად მე ასე არ მგონია. ვფიქრობ, "ინტერს" ტონი საერთოდ არ აინტერესებს. ასე რომ არ იყოს, ამ კლუბს ჩვენთვის შესაბამისი წინადადებით უნდა მოემართა. ვფიქრობ, მილანური კლუბის ხელმძღვანელებს ჩემგან არ ესწავლებათ, როგორ უნდა წარმართონ თავიანთი საქმეები. თუმცა, თუ ისინი მართლაც აპირებენ ტონის გადაბირებას, დროზე მოგვმართონ, თან ისეთი თანხა შემოგვთავაზონ, რომ მის გაყიდვაზე უარი ვერ ვთქვათ", - განაცხადა კორვინომ.

## "ტოტენჰემი" მარტინსს ყიდულობს

ინგლისური პრემიერლიგის კლუბ "ტოტენჰემს" მილანის "ინტერისა" და ნიგერიის ნაკრების ფორვარდის ობაფემი მარტენსის შეძენა სურს. გასულ სეზონში "დეზებმა" "ინტერს" ამ ფეხბურთელში 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს, მაგრამ მაშინ მილანელებმა ფეხბურთელის გაყიდვა არ ისურვეს. ახლა ლონდონური კლუბის მესვეურებმა ანალოგიური წინადადებით კიდევ ერთხელ მიმათთეს იტალიელებს და მათ პასუხს ელიან.

# "მოჯიბეიტი" დეტალებში

## რაღა დარჩა "იუვენტუსიდან"

ვასილ უდუმაშვილი

იტალიური საფეხბურთო სკანდალი თითქოს ჩაცხრა. ფაქტობრივად დაისაჯა მხოლოდ ტურინის "იუვენტუსი", რომელიც სერია B-ში დააქვეითეს. თუ გუნდის შემადგენლობას გადავავლებთ თვალს, ძნელი წარმოსადგენია, რომ "ბებერი ქალბატონი" ერთ სეზონში დაბრუნდეს ელიტაში. მით უმეტეს, რომ წამყვანი ფეხბურთელების დაკარგვას ქულების ის დეფიციტიც ემატება, რომლითაც ტურინელები მომავალ სეზონს დაიწყებენ.

ახლა მოკლედ შეგახსენებთ იტალიური საფეხბურთო სკანდალის ქრონოლოგიას, გაგაცნობთ, თუ რა სატელეფონო საუბარი გაიმართა მოჯისა და პიერლუიჯი პაირეტოს შორის (ამ საუბრის სტენოგრამა ბრიტანულმა გაზეთმა "ობსერვერმა" გამოაქვეყნა) და კიდევ ერთხელ გადავხედოთ ტურინული გუნდის შემადგენლობას, იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ტოვებენ გუნდს და რომლებიც არ აპირებენ წასვლას.



*მოჯიმ "იუვე" დაშალა და წავიდა.*

### ყველაზე დიდი სკანდალის ქრონოლოგია

**2004 წელი**

იტალიური პოლიცია იძიებს ფეხბურთელების მიერ დოპინგის მასობრივად გამოყენების საქმეს და ამ მიზნით იწყებს წამყვანი საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელთა სატელეფონო საუბრების მოსმენას.

**2006 წელი**

**თებერვალი**

პოლიციამ მიიღო მტკიცებულებები, რომელთა თანახმადაც სერია A-ს რამდენიმე მატჩი ჩააწყვეს. ეს მტკიცებულებები ფეხბურთის ფედერაციას წარუდგინეს.

**3 მაისი**

იტალიურმა გაზეთებმა დაბეჭდეს ლუჩანო მორჯისა და უეფას სამსაჯო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის პიერლუიჯი პაირეტოს საეჭვო სატელეფონო საუბრების სტენოგრამა.

**9 მაისი**

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო თანამდებობას ტოვებს. მოჯი და ტურინის "იუვენტუსის" დირექტორთა საბჭოს ყველა წევრი თანამდებობიდან მიდიან. მასიმო დე სანქტისი მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობიდან მოხსნეს.

**14 მაისი**

"იუვენტუსმა" მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული, რომელიც დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

**24 მაისი**

დაიწყო გამოძიება.

**3 ივნისი**

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე იტალიის ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო ტოვებს "სკუადრა აძურას" საწვრთნელ ბანაკს, რათა ჩვენება მისცეს სასამართლოს. საფონდო ბირჟაზე "იუვენტუსის" აქციებით აღარ ვაჭრობენ.

**22 ივნისი**

ცნობილი ხდება, რომ "იუვენტუსი", "მილანი", "ფიორენტინა" და "ლაციო" სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

**4 ივლისი**

პროკურორი სტეფანო პალაცი ითხოვს, რომ "იუვენტუსი" სერია C-ში დააქვეითონ.

**14 ივლისი**

გამოქვეყნდა პირველადი განაჩენი: "იუვენტუსი", "ლაციო" და "ფიორენტინა" სერია B-ში დააქვეითეს. "მილანს" მხოლოდ ქულები ჩამოაკლეს.

**25 ივლისი**

სააპელაციო სასამართლომ ოთხივე კლუბის საჩივარი განიხილა. "იუვენტუსი" სერია B-ში დარჩა. "ფიორენტინა" და "ლაციო" ელიტაში დააბრუნეს.

### რაზე საუბრობდნენ მოჯი და პაირეტო?

*- ჯიჯი, რამ გადაგრია, ჩვენს მატჩზე ეს მსაჯი რამ დაგანიშნინა?*

*- ფანდელი (პიერლუჯი პაირეტო გერმანელ არბიტრს ჰერბერტ ფანდელს გულისხმობს.- რედ.)? ის ხომ საუკეთესოა. მაგაზე კარგ მსაჯს სად ნახავდით?*

*- ჰო, მაგარია. უმაღლესი კლასის, მიკოლის ასპროცენტიანი გოლი კი არ ჩათვალა.*

*- ასპროცენტიანი?*

*- ჰო. ხომ გეუბნები, ნაღდი გოლი იყო.*

*- რა ვიცი, იმ დროს მსაჯი იქვე იყო და ყველაფერს ხედავდა.*

*- რა სისულელეს ამბობ. მსაჯი ახლოსაც არ იყო. მე მჭირდება, რომ განმეორებით მატჩში სტოკჰოლმში ყველაფერი წესრიგში იყოს.*

*- მამა-მია. და ეს ხალხი თამაშის სისუფთავეზე ლაპარაკობს.*

*- მისმინე. მე მჭირდება, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს. უნდა მოვიგოთ... მაგრამ თუ ფანდელის მსგავსი მსაჯი იქნება, ეს შეუძლებელი გახდება. ხომ გახსოვს, ვინც ვარ... ჰო, მართლა, "მესინასთან" მატჩში კოსილომ ან ბატალიომ უნდა იმსაჯონ.*

*- ეგ საკითხი უკვე მოგვარებულია.*

*- "მილანთან" მატჩში კი პიერის დანიშნავთ არბიტრად.*

*- ჯერ არ დამინიშნავს, მაგრამ არც ეგ იქნება პრობლემა.*

აი, ეს საუბარი გახდა იტალიური საფეხბურთო სკანდალის საფუძველი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, კალჩო თავდაყირა დააყენა. ამ საუბრის შემდეგ დაიწყო ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის დაშლა.

**რაღა დარჩა "იუვენტუსიდან"?**

ახლა კი ტურინული კლუბის იმ ვარსკვლავებს გადავავლოთ თვალი, რომლებმაც გასულ სეზონში ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს, თუმცა ატეხილი სკანდალის გამო "იუვეს" ეს ტიტული ჩამოართვეს.

**ლილიან ტურამი**

"თუ ჩვენ გუნდის თამაშის დახვეწა გვინდა, დაცვას უნდა მივხედოთ", - თქვა "ბარსელონას" მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა და ლილიან ტურამი იყიდა.

**ჯონათან ძებინა**

ფრანგი მცველი ალბათ ერთადერთია, რომელიც "იუვენტუსმა" თავად გაუშვა. ტურინელები ძებინას "ნიუკასლს" ჟან-ალან ბუმსონგში უცვლიან.

**მაურო კამორანეზი**

არგენტინული წარმოშობის იტალიელი კარგა ხანს ფიქრობდა, მაგრამ ბოლო წამს მაინც გადაწყვიტა გუნდის დატოვება. მართალია, დეშამს მისი გაშვება არ უნდა, მაგრამ კამორანეზიმ კატეგორიული უარი განაცხადა სერია B-ში თამაშზე.

**ემერსონი**

"იუვენტუსში" ემერსონი კაპელომ მიიყვანა. მადრიდის "რეალში" გადასულმა დონ ფაბიომ ბრაზილიელიც თან წაიყოლა.

**ალესანდრო დელ პიერო**

დელ პიერო, რა თქმა უნდა, გუნდის ერთგული დარჩება. "იუვენტუსის" ცოცხალი სიმბოლო "ბებერ ქალბატონს" გასაჭირში ვერ მიატოვებს.

**ფაბიო კანავარო**

მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელზე ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა, რომელიც მადრიდის "რეალმა", კერძოდ, ფაბიო კაპელომ მოიგო. მას შემდეგ, რაც იტალიის ნაკრების კაპიტანს სასამართლოს წინაშე მოუხდა წარდგომა, მან სამშობლოში თამაშის ყოველგვარი სურვილი დაკარგა.

**ჯანლუიჯი ბუფონი**

მიუხედავად იმისა, რომ ბუფონის შეძენის მსურველი მრავლად იყო, ჯიჯიმ "იუვენტუსს" უერთგულა. ახლა ეს მეკარე დეშამის მთავარი იმედია.

**ჯანლუკა ძამბროტა**

"კატალონიაში გაცილებით მეტის მიღწევა შემიძლია", - თქვა ძამბროტამ და ტურამთან ერთად "ბარსელონაში" გადავიდა.

**პაველ ნედვედი**

ვეტერანი ჩეხი ვარსკვლავი ალბათ "იუვენტუსში" დაასრულებს კარიერას. მეტიც: პაველი ახალვე აპირებდა ფეხბურთიდან წასვლას, მაგრამ ტურინულ კლუბში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო "იუვენტუსში" დარჩა და გუნდის დახმარებას აპირებს.

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი**

შვედი ფორვარდი ჯერ არსად წასულა, მაგრამ ალბათ უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს რომელიმე მილანურ გრანდთან. ამ ფეხბურთელში "იუვენტუსი" 40 მილიონ ევროს მიიღებს.

**პატრიკ ვიეირა**

ფრანგი საყრდენი დღე-დღეზე დატოვებს "იუვენტუსს". მას არაერთი გრანდი იწვევს. პატრიკს არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია.

**ფაბიო კაპელო**

დონ ფაბიო სასამართლოს ვერდიქტსაც კი არ დაელოდა, ისე დატოვა ტურინული კლუბი და მადრიდის "რეალს" ჩაუდგა სათავეში.

# მარადონას კაცი

მარი ჭავახიშვილი



"თქმა არ უნდა, გახარებული ვარ, ხელახლა რომ მომეცა არგენტინის ნაკრებში მუშაობის შანსი. ვფიქრობ, ამჯერად ჩემს განკარგულებაში მყოფ ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევ", - ეს სიტყვები არგენტინის ნაკრების ახალ თავკაცს ალფიო ბასილეს ეკუთვნის, სპეციალისტს, რომელმაც ამ პოსტზე ხოსე პეკერმანი შეცვალა.

ხასიათის სიმტკიცითა და სიმკაცრით გამორჩეული არგენტინელი მწვრთნელი "ალბისელესტეს" შორეულ 90-იან წლებში (კერძოდ, 1991-დან 1994 წლის ჩათვლით) თავკაცობდა. დროის იმ არცთუ მცირე მონაკვეთში არგენტინის ნაკრებმა ორჯერ აღმართა სამხრეთ ამერიკის თასი. მაგრამ ბასილეს ეს მიღწევა აღარავის ახსოვდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში, როცა სამხრეთამერიკელებმა რუმინელებისგან მარცხი იწვნიეს. მეორე დღეს ალფიო ბასილემ თანამდებობა დატოვა.

საერთოდ, ბასილეს მიერ გაწვრთნილი არგენტინის ნაკრების თამაში მუდამ არაერთგვაროვან შთაბეჭდილებას ტოვებდა.

1993 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა არსებობის ისტორიაში ალბათ ყველაზე სამარცხვინო მარცხი იწვნიეს: კოლუმბიელებთან 0:5 განადგურდნენ. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, ამერიკაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე, შემტევი ფეხბურთის მქადაგებელი არგენტინის ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდი იყო.

რუმინელებთან მარცხის მიუხედავად, არგენტინელები აშკარად მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ. თუმცა, ნაკრებიდან ბასილეს წასვლას ამან ვერაფერი უშველა.

ამის შემდეგ სამხრეთამერიკელი სპეციალისტი ადგილობრივ "სან ლორენცოს" ჩაუდგა სათავეში, შემდეგ მექსიკის "ამერიკას" წვრთნიდა, თუმცა მალევე დაბრუნდა სამშობლოში "კოლონ დე სანტაფეს" მწვრთნელის რანგში. ერთი წლის წინ ბასილე მარადონას "მშობლიური" "ბოკა ხუნიორსის" გაწვრთნას შეუდგა. კლუბში მისი მუშაობით კმაყოფილნი იყვნენ და ამიტომაც "ბოკას" პრეზიდენტ მაურისიო მაკრის მისი გაშვება, სულ ცოტა, იანვრამდე არ უნდოდა.

"როგორც იქნა, თავი მოვუყარე გამოცდილ კოლექტივს, რომელსაც ბევრი წარმატების მოტანა შეუძლია. უკვე კარგა ხანია გააზრებული მაქვს, რომ ტიტულების მოგება წამყვანი ფეხბურთელების დაკარგვის პირდაპირპროპორციულია. მაგრამ ის, რომ მწვრთნელსაც უნდა შეველიოთ, უკვე მეტისმეტია", - აცხადებდა ცოტა ხნის წინ მაკრი, რომელიც იმითაც უკმაყოფილო იყო, რომ გამოცდილმა მეკარემ რობერტო აბონდანსიერმა "ბოკა" ესპანურ "ხეტაფეში" გაცვალა.

როგორც ჩანს, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ხულიო გრონდონამ მაინც თავისი გაიტანა და "ბოკას" აართვა მწვრთნელი, რომელიც ნაკრებში ოფიციალურად 15 სექტემბერს შეუდგება მუშაობას.

ამ ამბავში კიდევ ერთი ფაქტია საინტერესო - არგენტინის ნაკრებში ბასილეს დანიშვნაში დიდი წვლილი მიუძღვის დიეგო არმანდო მარადონას. თავის დროზე "ბოკას" ხელმძღვანელობას სწორედ არგენტინელმა ლეგენდამ ურჩია კლუბში ბასილე მიეწვიათ. იმ დროიდან მოყოლებული არგენტინაში ალფიო ბასილეს "მარადონას კაციც" კი შეარქვეს.

და, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად მარადონა ჯიუტად ამტკიცებდა, კარგი იქნება, თუ ბასილე ნაკრებში მომავალი წლიდან მივაო, "მარადონას კაცმა" მოვლენები დააჩქარა.

# ვაკანსია - უშიშროების საველე ოფიცერი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უშიშროების საველე ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაოს შესრულების ადგილია BP-ს ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენები **აღმოსავლეთ საქართველოში.** უშიშროების საველე ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობა იქნება საველე უშიშროების საკითხების კონტროლი და ამ საკითხებში სათანადო გარანტიების შექმნა და რჩევების მიცემა BP-ს ხელმძღვანელობისათვის. მითითებისამებრ, იგი კოორდინირებას გაუწევს უშიშროების დაცვის ღონისძიებებს ამ მიზნით გამოყოფილი *მოქმედების არეალის* ფარგლებში. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები გავრცელდება კომპანია "BP-საქართველოს" და კონტრაქტორების ყველანაირ საქმიანობაზე უშიშროების სფეროში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობებში შედის:

- ყოველკვირეული კავშირი იქონიოს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, უშიშროების მხრივ შექმნილი მდგომარეობის გარკვევის მიზნით, და შედეგები ასახოს ყოველდღიურ მოხსენებებში. გააღრმავოს ურთიერთობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა სამსახურთან, მათგან სათანადო დახმარების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- დაამყაროს და მუდმივად იქონიოს მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა სტრატეგიული მილსადენების დაცვის ადგილობრივ სამმართველოსთან, საზღვრის დაცვის სამსახურთან და *მოქმედების არეალში* არსებული სამხედრო ნაწილების მხედრობასთან.
- *მოქმედების არეალში* მოიპოვოს და დაამუშავოს სიტუაციური ინფორმაცია და ანალიზის შედეგები აცნობოს "BP-საქართველოს" უშიშროების სფეროს ხელმძღვანელებს და შესაბამის საველე თანამშრომლებს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორისტულ საქმიანობასა და დამნაშავეობაზე.
- მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს უშიშროების საფრთხეების შეფასება, საკუთარი *მოქმედების არეალის* ფარგლებში.
- იქონიოს კავშირი, უხელმძღვანელოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი *მოქმედების არეალში* კონტრაქტით მომუშავე უშიშროების სამსახურების თანამშრომლებს, რათა მათი მოქმედებები შესაბამისობაში იყოს BP-ს უშიშროების სტანდარტებთან და პროცედურებთან.
- იქონიოს მჭიდრო კავშირი "BP-საქართველოს" საველე კონტიგენტთან, მათ შორის, ექსპლუატაციის ტექნიკოსებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცრებთან და მიწის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან. საჭიროებისამებრ მიაწოდოს მათ ინფორმაცია უშიშროების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.
- შესაბამისი მითითების მიღების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებში, *ინციდენტის მართვის ჯგუფს* და საველე თანამშრომლებს მიაწოდოს რჩევები და აღმოუჩინოს დახმარება.
- იმოქმედოს "BP-საქართველოს" უშიშროების სამსახურის სახელით, საპროტესტო აქციების და სხვა სამოქალაქო არეულობების დარეგულირების დროს.
- დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეადგინოს ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი წერილობითი ანგარიშები.
- უზრუნველყოს პირველადი რეაგირება უშიშროების კუთხით "BP-საქართველოს" საქმიანობის პროცესში მომხდარ საავტომობილო ავარიებზე.
- ჩაატაროს გამოძიება და/ან დახმარება აღმოუჩინოს გამოძიების ჩატარების პროცესში, ხელმძღვანელობიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.
- ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს დიზელის/საწვავის მოხმარების კონტროლს.
- დაიცვას და გაატაროს BP-ს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პოლიტიკა.
- უზრუნველყოს რეგულარული კოორდინაცია *მოქმედების არეალში* მომუშავე ქვეკონტრაქტორის უშიშროების პერსონალთან.
- საჭიროებისამებრ შეასრულოს სხვა დავალებები და მითითებები, ექსპლუატაციის ნაწილის და პროექტის საქმიანობაში დახმარების მიზნით.

**მოთხოვნები:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სამხედრო, უშიშროების სამსახურში ყოფნის ან პოლიციაში მუშაობის გამოცდილება;
- ცოდნა და გამოცდილება რისკის ანალიზის და რისკის მენეჯმენტის სფეროებში;
- ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური და უშიშროების მდგომარეობის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის ფლობა;
- ავტომობილის მართვის მოქმედი მოწმობა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - გამართული ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარი და გამორჩეული ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაკვირვების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ, რთული კლიმატის და რელიეფის პირობებში, მათ შორის, ქალაქგარეთ, მოშორებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 9 აგვისტო, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერსGქ. ბათუმში ინასარიძის ქუჩა **N9,** კობალაძის ქუჩა **N11, N13** შენობების ფასადების შეღებვის, ჭავჭავაძის ქუჩა **N39,** პორტის შესახვევი **N4-ში** საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვისა და აივნების პანელებით შემოსვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ინასარიძის ქუჩა **N9,** კობალაძის ქუჩა **N11, N13** საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვის სამუშაოები.

**ლოტი N2** ჭავჭავაძის ქუჩა **N39** ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების შეღებვისა და აივნების პანელებით შემოსვის სამუშაოები.

**ლოტი N3** პორტის შესახვევი **N4**-ში რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების შეღებვისა და აივნების პანელებით შემოსვის სამუშაოები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 აგვისტოდან 2006 წლის 22 აგვისტომდე 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 21 აგვისტოს 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

**6**. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია სამი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40,

**ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გიორგი ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გიორგი ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად :

ა) მიკრობთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული ;

ბ) მიკრობთა ბიოქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

გ) ფაგების მორფოლოგიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

დ) ინფექციური იმუნოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

ე) გენური ინჟენერიის და ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი /მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

ვ) მიკრობთა ეკოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

ზ) მიკრობთა გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

თ) ფაგების სტანდარტიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი /მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებასთან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ბაქტერიოფაგების კვლევა, მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს და კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (კვლევის მიმართულებები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები)

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიებისა და შესაბამის სამეცნიერო სფეროში მოღვაწეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთები უნდა წარმოდგენილ იქნას ა. წ. 4 სექტემბრამდე გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ს/კ ინსტიტუტის კანცელარიაში, მისამართი: თბილისი, გოთუას ქ. 3. საბუთების ელექტრონული ვერსია შესაძლებელია გაიგზავნოს მისამართზე: kutateladze@pha.ge .

**კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 12 სექტემბერს.**

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს აუქციონს N14, N23 პორტალური ამწეების და რვა ცალი რეზერვუარის ბალანსიდან ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზებაზე

**1. ინფორმაცია სააუქციონო ობიექტის შესახებ:**

**ლოტი N1** - სარეალიზაციო ქონება - N14, N23 პორტალური ამწეების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი;

- ჯართის სავარაუდო ოდენობა შეადგენს 189 ტონას.
- საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1 (ერთ) ტონაში 130 აშშ დოლლარის ექვივალენტს ლარებში დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;

**ლოტი N2** - სარეალიზაციო ქონება - 8 ცალი რეზერვუარის ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი;

- ჯართის სავარაუდო ოდენობა შეადგენს 10 ტონას.
- საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1 (ერთ) ტონაში 140 აშშ დოლლარს ექვივალენტს ლარებში დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;

- **"ბე"** - 1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
- **ბიჯი -** 5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.
- **"აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი" -** 20 ლარი.

**- განაცხადების მიღების ადგილი** - აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს 2006 წლის 3 აგვისტოდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 17 აგვისტოს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48.

**- აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო -** 2006 წლის 18 აგვისტო 12:00 სთ. ქ. ფოთი, დ.აღმაშენებლის N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ადმინისტრაციული შენობა.

**- შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საბანკო რეკვიზიტები -** "საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი **- ა/ა 117253900 კოდი 220101535;** "თი-ბი-სი ბანკი" ფოთის ფილიალი **- ა/ა 609103 კოდი 220101937;** "პროკრედიტ ბანკი" ფოთის ფილიალი **- ა/ა 467177 კოდი 220101920.**

- აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება აუქციონის გამართვიდან და შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში საკუთარი სახსრებით დაჭრას და გაიტანოს ჯართი ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიიდან.

**2.** აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ჯართის შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა.

**3.** აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ხელშეკრულების დადება - სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ მყიდველს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება.

- აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.
- აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურთან" გააფორმოს ხელშეკრულება.
- აუქციონში გამარჯვებულს "ბე"-ს თანხა ეთვლება ანგარიშსწორების დროს. ყველა დანარჩენ მონაწილეს აუქციონის შედეგების გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მონწილის მოთხოვნის საფუძველზე, უბრუნდება შემოტანილი "ბეს" თანხა.

**4.** თანხის გადახდის ვადა - მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღებიდან 45 დღის ვადაში, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) შეიტანოს ნაღდად და ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

- თუ მყიდველი აღნიშნულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ჯართის თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება.

**5.** აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და თანხმობას გამოცხადებული პირობების შესრულებაზე;.
- "ბეს" და "მონაწილის ბილეთის" ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.
- სააუქციონო კომისიის მიერ განაცხადის რეგისტრაციისა და "მონაწილის ბილეთის" შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურში", ტელეფონი: 995 293 7-01-15

*შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს **საავიაციო საწვავის (ბენზინი)** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ლოტი 1 - AV GAS 100LL - ტიპის საავიაციო ბენზინი (სითხე) - 100000 (ასიათასი) ლიტრი.

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი და/ან ქ. ქუთაისი.

4. მიწოდების ვადები: ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 22 აგვისტოს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ლოკომოტივის მოწყობილობების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს 27 ლოტად სალოკომოტივო მოწყობილობის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდ-ენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავი | დიზელის უ1 დ 12-300 12-ცილინდრიანი 4-ტაქტიანი ცილინდრის დიამეტრი - 150მმ, დგუშის სვლა - 180/186, მაქსიმალური სიმძლავრე - 300 ცხ.ძ | ც | 1 |
| 2 | ძრავი | Dდიზელის У1Д6-250 კომპლექტში 6-ცილინდრიანი 4-ტაქტიანი მაქსიმალური ძალა 250 ცხ.ძ | ც | 2 |
| | ძრავი | Dდიზელის ძრავი ЯМЗ-238 | ც | 2 |
| 3 | რადიატორი წყლის | კაბინის გამათბობელი 77.020-0.0000 | ც | 2 |
| | რადიატორი წყლის | დიზელის ძრავის 0866-1 | ც | 3 |
| 4 | ტურბოჰაერმბერი | ТКР-14 | ც | 6 |
| 5 | ფილტრი | დიზელის 0,12 Г 41-14 | ც | 2 |
| | ფილტრი | ზეთის 0196.30.2402 | ც | 2 |
| | ჰაერის ფილტრი | დიზელის ძრავის [ციკლონი] | ც | 4 |
| 6 | კომპრესორი | მარკა ВВ0.8/8-720 | ც | 1 |
| 6 | კარდანი | კომპრესორის (ავტო მანქანა გაზ-52) | ც | 3 |
| | რემკომპლექტი | კომპრესორის ВВ0,8/8-720 | კომპ | 3 |
| | დოლი | კომპრესორის ამძრავი ВВ0,8/8-720 | ც | 1 |
| | ქურო | კომპრესორის მოჭიდების ВВ0,8/8-720 | ც | 1 |
| 7 | დისკი | ფრიქციული მექანიზმის 273X5 | ც | 48 |
| | ღერძი | ჰიდროგადამცემის აღმძვრელი 77.020-34-01-001 | ც | 4 |
| | ქურო | ჰიდროტრანსფორმატორის აღმძვრელ-გამთიშველი მთავარი გადამცემის დიამეტრით 535 მმ | ც | 3 |
| | ჩანგალი | ჰიდროგადაცემის გადამრთველი | ც | 6 |
| 8 | საკისარი | 313 | ც | 8 |
| | საკისარი | 218 | ც | 15 |
| | საკისარი | 317 ГОСТ8338-75 | ც | 12 |
| 9 | მანჟეტი | ზეთის 155X165 | ც | 59 |
